

ჩვენთან არს უბრალო!



სუგანო ვაჭიბისა. 3.1990

კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელი მოხუედ  
ზეთანიად, აღადგინე ლაზარე ოთხისა დღისაჲ მკუდრეთით.  
რომელთა იხილეს და რწმენა, დაღადებდეს და იტყოდეს:  
რომელი მოხუედ და მოსლვად ხარ, იესუ მაცხოვარო  
ჩუენო, დიდებაჲ შენდა.



გვერდი 1-ის ღირებულება

# ჯვარი ვაზისა

1  
1990

დაიბეჭდა  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის,  
უწმინდესისა და უნეტარესის,  
ილია მეორის  
ღვთაობითი განკარგულებით.

თბილისი  
1990





**სრულიად საქართველო კათოლიკოს-  
პატრიარქის, უნეიდუნისა და უნეიტარქის,  
ილია II სიტყვა, ნარკომთქმული სიონის  
ტაძარში, 1990 წლის 13 მარტს**

**სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.**

ჩვენთან არს ღმერთი!

წმიდა მეფე ღვთის წინასწარმეტყველი ამბობს: "წყალობაჲ შენი უფალო, თანამავალ მეყავ. მე ყოველთა ღმერთა ცხოვრებისა ჩემისათა". ყოველი ჩვენგანი გრძნობს და ხედავს, რომ წყალობა ღვთისა, ღვთის სიყვარული და ღვთის მფარველობა არის ჩვენთან. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს წარსულს, ვნახავთ, რომ წყალობა ღვთისა არ მოკლებია საქართველოს, როცა უამრავი მტერი გვეხვია თავს, როცა ერს უჭირდა და მუდამ იყო რაღაც სასწაულებრივი ნიშანი - ნიშანი ღვთის დიდი მფარველობისა.

საქართველოს ეკლესია იყო, არის და მუდამ იქნება სული ქართველი ერისა. საქართველოს ეკლესია არის ის წმიდა საგანე, სადაც აღიზარდა, აღორძინდა, სადაც ფერი იცვალა ქართველი ადამიანის სულმა. ქართული ეკლესია ის კარიბჭეა, საიდანაც ქართველმა ადამიანმა დაიწყო სულიერი აღმავლობა და ფერისცვალება. აი, ამიტომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას. თქვენ იცით, რომ V საუკუნეში ლოცვითა და ღვაწლით წმიდისა ღიღისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა, საქართველოს ეკლესიის მეთაურად დადგენილ იქნა კათოლიკოსი პეტრე და იმ დროიდან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. დიდი პატრიარქი ანტიოქიისა თეოდორე ბალსამონი ამბობს, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის პატრიარქისაგან, ანტიოქიის კრების დადგენილებით. მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რა გამოიარა ქართველმა ერმა, საქართველომ. ბევრი რამ მოისპო, მრავალი საბუთი დაიკარგა, მათ შორის საბუთი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და სადაო გახდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. სწორედ ამის გამო 1811 წელს რუსეთის იმპერატორის არაკანონიერი ბრძანებით საქართველოდან გაწვეულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, ერეკლე II-ის ძე და ძმა გიორგი მეფისა, უკანასკნელი მეფისა და აღარც ღირსებია ჩამოსვლა საქართველოში. და აი, იმ დროიდან, 1811 წლიდან იწყება განსაცდელი საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი ერისა. იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ეგზარქოსი. პირველი ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავიც მალე რუსეთში გაიწვიეს და ამის შემდეგ ყოველი ეგზარქოსი, თანახმად რუსეთის იმპერატორის ბრძანებისა, რუსი უნდა ყოფილიყო. აიკრძალა სიონში ქართული წირვა-ლოცვა, თბილისის სასულიერო სემინარიაში ლექციები იკითხებოდა რუსულ ენაზე, წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ უფლება ქართველ სტუდენტებს წირვა ქართულად ჩატარებინათ. ასე გრძელდებოდა 1917 წლამდე. თქვენ იცით, რომ საქართველოს ეკლესიას 1816-1917 წლების განმავლობაში მართავდა 19 ეგზარქოსი და მათ შორის მხოლოდ პირველი იყო ქართველი. 1917 წელს, ისევ ღვთის დიდი წყალობითა და ღვთის ლოცვა-კურთხევით, მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს ეპისკოპოსი კირიონი /საძაგლიშვილი/. ამ წელს აღადგინა საქართველოს ეკლესიამ და ქართველმა ერმა დაკარგული ავტოკეფალია. მაგრამ მრავალმა ეკლესიამ არ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მათ შორის - კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. და, თქვენ იცით, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი არის ამავე დროს მსოფლიო პატრიარქი.

კონსტანტინოპოლის ეკლესია დაარსებულია IV საუკუნეში, როგორც თვითონ კონსტანტინოპოლი.

თქვენ იცით, რომ IV საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომიდან გადმოიტანა სოფელ ბიზანტიონში ღვინაქალაქი. შემდგომში ეს სოფელი აშენდა, გაიზარდა. ის ღვინადელი კონსტანტინობოლია, იმპერიას კი ბიზანტიის იმპერია ეწოდა, და რადგან ეს იყო კეისრის ქალაქი, პატრიარქსაც ეწოდა მსოფლიო პატრიარქი ანუ ეკუმენიკური პატრიარქი. გადიოდა წლები... განვლო 1500-მა წელმა და მაინც სადღო იყო ჩვენი ავტოკეფალიის საკითხი. თქვენ იცით, რომ XI საუკუნის დასაწყისში უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I თავის სიგელზე ხელს აწერს, უკვე როგორც კათოლიკოს-პატრიარქი. კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული ემატება მას, როგორც საქართველოს ეკლესიის მეთაურს, მაგრამ, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, - ჩვენ ვერ ვნახეთ, არ არსებობდა საბუთი, რომელიც დაადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და საქართველოს ეკლესიის მამამთავრის წოდებას. წლების განმავლობაში იყო დავა და მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოსა და კონსტანტინოპოლს შორის. ეს დავა დაიწყო 1963 წელს როდოსის კუნძულზე. მე მაშინ გახლდით ახლადნაკურთხი ეპისკოპოსი შემოქმედელი და მომიწია დაწყება ამ კამათისა როდოსზე, რაც შემდგომშიც გაგრძელდა. განსაკუთრებით გაცხოველდა ამის შესახებ ლაპარაკი და მსჯელობა 1977 წლიდან. თქვენ გახსოვთ, ჩემი ვიზიტი შესდგა 1979 წელს კონსტანტინოპოლში. იქ გაიმართა საუბარი, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ. 1987 წელს საქართველოში ჩამობრძანდა ყოვლადუწმიდესი, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I. მაშინაც გვექონდა ამის შესახებ საუბარი. არაერთხელ წასულა ჩვენი დელეგაცია კონსტანტინოპოლში და კონსტანტინოპოლის დელეგაცია ჩამოსულა საქართველოში. ღვთის ლოცვა-კურთხევით და ღვთის მადლით მივაღწიეთ საბოლოოდ ამ შეთანხმებას და ამჟერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელსაც ეწოდება საქართველო 1500 წლის მანძილზე. მინდა წარმოგიდგინოთ ეს ორი სიგელი და გითხრათ, რომ ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდროს, ღვთის წყალობით და ღვთის ლოცვა-კურთხევით, ვერავინ ვეღარ შეახებს ხელს საქართველოს ეკლესიას.

ლოკუმენტები დაწერილია ბერძნულად. პირველზე გამოსახულნი არიან მაცხოვარი, მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე, რომელთა მეფობის დროს ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია, როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში. ეს სიგელი ადასტურებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, რის შესახებაც გვექონდა დავა და განსაკუთრებით ვითხოვდით, რომ ეცნოთ ეს ძველი ავტოკეფალია, რადგან ჩვენ ეხლა კი არ ვღებულობთ ავტოკეფალიას, არამედ იგი ჩივილეთ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის დროს და ეს უნდა წარმოჩენილიყო. სწორედ ეს არის მასში აღნიშნული და აღიარებული. მას ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდი. მეორე სიგელი ადასტურებს საქართველოს ეკლესიის მამამთავრის - პატრიარქის წოდებას. მასზე გამოსახულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა, როგორც მფარველი საქართველოსი, წმიდა ნინო და წმიდა ილია წინასწარმეტყველი. აქაც ხელს აწერს ყოვლადუწმიდესი მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და წმიდა სინოდის წევრები. მე მინდა გითხრათ, რომ ეს ისტორიული აქტი მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ეკლესიისათვის, არამედ, განსაკუთრებით, მთელი ჩვენი ერისათვის. მინდა გითხრათ, ადრე რომ ყოფილიყო დაწერილი ეს საბუთები, ჩვენ აგვცდებოდა ის განსაცდელი, რომელიც გამოიარა ქართველმა ერმა და საქართველოს ეკლესიამ ეგზარქოსობის დროს. მადლობა ღმერთს, ჩვენ გაუხდით ღირსი, ჩვენ გაუხდით მოწმე იმისა, რომ ღვთის წყალობა, ღვთის ლოცვა-კურთხევა არ ტოვებს ქართველ ერს. ეს არის ნიშანი ჩვენი თავისუფლების მოახლოებისა...

ჩვენთან არს ღმერთი!





საქართველოს უნაყოფო  
პარტოკომპლექსი კლესიის  
ავტოკეფალიის სწრაფი და  
მტკიცების სიგელი

დიმიტრიოსი,  
წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა,  
ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა  
წმიდისათა.

ქვეშარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა და აღ-  
ვარდინებდეთ მისა მიმართ ყოველსა, რომელ არს  
თავ მისა ქრისტე, რომლისაგან ყოველი გუამი  
შეაწვერებულ და შემტკიცებულ არს ყოვლითა  
შეახლებითა უხუებისათა შეწვევისაებრ საზომისა  
თვითეულისა ასოისა; სიორძილსა მას გუამისასა  
ჰყოფით აღსაშენებლად თავისა თქუენისა  
სიყვარულით" /ეფეს. 4,15-16/. ამბობს მოციქული  
ერთა პავლე, და მართლაც ერთი სამწყსოა და  
ქრისტეს ერთი სხეულია, და ასევე იწოდება  
ღვთისძიერი ქვეყანასა ზედა ეკლესია მისი სულიერი  
ერთიანობის გამო, და არანაირი, რა თქმა უნდა,  
გზით არ შეუძლია ხელი ამას, არც პირველ და  
არც მის შემდგომ საუკუნეებში, სტრუქტურისათვის  
ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებ-  
ისა, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებულნი,  
შინაგანად თვითმმართველნი, თავიანთივე მწყემს-  
მთავართაგან და მოძღვართაგან და ქრისტეს  
სახარების მსახურთაგან მართულნი არიან და  
შეადგენენ ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო  
ეკლესიას.

ასეთივე კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად  
საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი  
წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც  
უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თა-  
ვისუფალი განმგებლობა და შესაბამისად,  
საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაცია. რწმე-  
ნაში სიმტკიცისა და ეკლესიური ცხოვრებით  
მრავალი და შესანიშნავი მაგალითის მაჩვენებელი.  
იგი დღესაც შეუწელებლად და უცვლელად იცავდა  
და იცავს ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის  
მოძღვრებებს და მის მიერ აღიარებულ  
ქვეშარიტებებს. ამჟამად კი, თავის განმგებლობაში  
კანონიერების მსურველი, ყველა წმიდა მსგავსი  
აღმსარებლობის ეკლესიებთან მეგობრულ და  
სიყვარულით სასვე ურთიერთობაში და სამსახურში  
მყოფი მიმართავს, ყოველი ხელსაყრელი  
შემთხვევისას, ჩვენს ეკუმენურ საპატრიარქო ტახტს  
და ითხოვს კურთხევასა და მტკიცებას თავისი  
თვითმმართველობითი სტრუქტურისა. რამეთუ ასე  
შეთანხმებულმა, ვითარცა ვაზმა განუყოფელი

ღვთის ვენახისა, ადგილობრივ მართლმადიდებელ  
ეკლესიათა კანონიერ პლეადაში მყოფმა, განაგრძოს  
აყვავება ქრისტეს სხეულისა.

ეს ღირსებით სასვე მიმართვა და თხოვნა სიყ-  
ვარულით მივიღეთ ჩვენ და ჩვენმა წმიდა და  
კურთხეულმა სინოდმა, ვინაიდან ჩვენი ეკუმენური  
ტახტი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს  
სამართლიანი უფლებებისა და სტატუსის მომთხოვნ  
წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიებს; ხელი  
ჩასჭიდოს მათ და დაეხმაროს დროის  
აუცილებლობით გამოწვეული ცხოვრებისეული  
პრობლემების გადაჭრაში, რამეთუ, თანახმად  
მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ცხოვრებისა და  
წესისა, ღირსეულად მოპოვებულმა მისმა  
ავტორიტეტმა აღაგოს ავტოკეფალური  
მმართველობის მინიჭების უფლების უპირატესობით  
და ჩამოუყალიბა გარკვეული ადმინისტრაციული  
უფლებები. ამდენად, ჩვენი უმდაბლესობა და ჩვენი  
კურთხეული მიტროპოლიტი, ყოვლადპატივდებუ-  
ლთა თანა სულიწმიდის მიერ ჩვენს ძმებთან და  
თანამწირველებთან ერთად განიმსჭვალა აზრით და  
სიამოვნებით იწონებს, რომ პატაკად მომავალი  
წმიდა და დიდი მსოფლიო კრებისა, ჩვენმა უპირვე-  
ლესმა ტახტმა, კონსტანტინოპოლის ეკლესიამ  
აკურთხოს, ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს  
წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი  
სტრუქტურა. იგი მუდამ გარანტირებული და  
ხელშეუხებელი იქნება ჩვენი წმიდა რწმენისა და  
საეკლესიო კანონიკური წესის თანახმად,  
მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობაში.

სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწ-  
მიდით განათლებულნი ვაცხადებთ  
საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე  
თვითმმართველი სტრუქტურითა და  
ორგანიზებით, რაც უძველესი დროიდან  
გააჩნდა და რაც დამოწმებულია, აგრეთვე,  
ბალსამონის მიერ, რომელიც წერს:  
"...ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა  
უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი  
ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი  
ბეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დად-  
გენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და

**ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა**./იხ. Γ. Α. Παλλη - Μ. Ποτλη, Συναγμα των θειων 'Ιερων κανονων, 'Αθηνησιν 1852, τομ. Β. σελ. 172/. მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, ამასთანავე, იმას, რომ იგი სახელდებულა **როგორც "წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოსა"**. ვცნობთ მას როგორც ჩვენს სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად, თანახმად წესისა. სხვა ადგილობრივ წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კანონიერი უფლებებით მოქმედს მეთაურად ჰყავს უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, და კანონიკური და საეკლესიო წესის თანახმად, აღიარებს და პატივს ცემს ჩვენი მსოფლიო საპატრიარქო ტახტის პირველადობას, და ვითარცა თავის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, სცნობს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან შემდგარ სინოდს, რომლის თავმჯდომარეც არის ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსი სრულიად საქართველოსა.

ჩვენს უწმიდეს სამოციქულო და მსოფლიო სა-პატრიარქო ტახტთან, ასევე, ყოველ მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიასთან სულიერი და კანონიკური ერთიანობის დაცვის მიზნით, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური წესის თანახმად, ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსი სრულიად საქართველოსა მოვალეა მათ მეთაურებს აცნობოს მისი არჩევა და აღსაყდრება სამშვიდობო საინტრონიზაციო ეპისტოლეებით. წარმოაჩინოს ამასთანავე, აღმსარებლობა და დასტური მისი და მისდამი რწმუნებული წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომ შეუზღალავად დაიცავს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასა და ღვთისმოსაობას, და ამასთანავე, მართლმადიდებელი ეკლესიის საღმრთო და წმიდა კანონებსა და წესებს; რიგის მიხედვით მოიხსენიებს წმიდა დიპტიქში სახელს ყოველი მსოფლიო პატრიარქისა და სხვა უწმიდეს პატრიარქთა და წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების უნეტარეს განმგებელთა. რაც შეეხება წმიდა მირონის საკითხს, დაცული იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი, რათა ხილულად და უხილავად შედგეს და განცხადდეს შინაგანი და გარეგანი გაზუსტებული

ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა. ამასთანავე, ვურჩევთ, რომ მოგადი ხასიათის საეკლესიო პრობლემებისა თუ დაბრკოლებათა დროს, რომელნიც ავტოკეფალური ეკლესიების საგანმგებლო საზღვრებში იჩენენ თავს, ხოლო საყოველთაო განსჯასა და კენჭისყრას ექვემდებარებიან, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსმა სრულიად საქართველოსა მიმართოს ჩვენს უწმიდეს მსოფლიო საპატრიარქო ტახტს, რომლის მიერაც დაუკავშირდება ყოველ მართლმადიდებელ საეპისკოპოსოს, ჭეშმარიტი სიტყვის მართლმკვეთელთა და, თავისივე თხოვნის შესაბამისად, მიიღებს მისგან სარწმუნო აზრსა და შეხედულებას მისას და ძმური ეკლესიებისას.

ამრიგად, ჩვენს მუდმივ, სრული შემადგენლობის, წმიდა და კურთხეული სინოდის 1990 წლის 23 იანვრის სხდომაზე ნაფიქრს, განსჯილს და სინოდურად ჩვენს მიერ დამტკიცებულს რომ მტკიცედ დავიცავთ, ვადასტურებთ ამ საპატრიარქო და სინოდური სიგელით, რომელიც შედგენილი და ხელნაწერილია ჩვენი წმიდა და ქრისტეს ღიდი ეკლესიის წესდების თანახმად, ზუსტად და უცვლელად. ვაუწყებთ და ვუგზავნით მთავარეპისკოპოსს მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოსს სრულიად საქართველოსა, ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელ ძმასა და თანამწირველს უფალი ილიას, სრულიად საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის კურთხეული სინოდის თავმჯდომარეს და როგორც წესია, აგრეთვე ეკლესიური კანონიკის მიხედვით მოქმედ და გამოცხადებულ მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს, დასაცავად და განსამტკიცებლად სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობისა.

უფალი ღმერთი ჩვენი, მადლითა და წყალობითა პირველისა, დიდისა და უმაღლესისა მღვდელმთავრისა ქრისტე ღმერთისა ჩვენისა, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა ღვდისა მისისა, მარადქალწულისა ღვთისმშობლისა მარიამისა, პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი, წმიდათა და დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, წმიდა მოციქულთასწორის ნინოსი და იირსთა და ღვთივდაცულ მამათა ჩვენთა, განამტკიცებს და დაიცავს წიაღსა ერთი წმიდა და კათოლიკე ეკლესიისასა, ძმურ ავტოკეფალურ ეკლესიასა სრულიად საქართველოსა, და წარუძღვება და აყვავებს მას საღმრთელად წმიდისა სახელისა თვისისა, ხუგეშად მორწმუნე მრევლისა მისისა და სიხარულად ჩვენი წმიდა სამოციქულო მსოფლიო ტახტისა და ყოველთა მოძმე მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა.

საქართველოს საბჭოთაო სოციალისტური რესპუბლიკის  
საგარეო ურთიერთობების მინისტრის  
სამსახურის მიერ

სტამბოლი, 4 მარტი, 1990 წ.

თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, ბატონო დიმიტრიოს I, კონსტანტინოპოლისა - ახლისა რომისა მთავარეპისკოპოსო, მსოფლიო პატრიარქო, ქრისტეს მიერ ჩვენო საყვარელო ძმავ!

ყოვლად სამღვდელთა მღვდელმთავართა, ძმანო და დანო!

"დიდ ხარ შენ უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენი, და ვერვინ შემძლებელ არს მადლის მიცემად საკვირველებათა შენთა". საკვირველია გზა, რომელიც განვლეს ზერძენმა და ქართველმა ერებმა და ჩვენმა უძველესმა ეკლესიებმა: დიდება და დამკვირება, განსაცდელი და ღვთის წყალობა... მრავალი მტერი გარს ერტყა ჩვენს ქვეყნებს და ფიქრობდა, რომ გოლგოთაზე დამთავრდებოდა ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსებობა; მაგრამ შესცდა იგი, როგორც სცდება ყოველი ზოროტის მომქმედი. ჩვენს ერებს და ეკლესიებს ღვთისაგან სიკვდილი არ ეწერა. გოლგოთას ხომ აღდგომა და ამაღლება მოსდევს. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენ არ გადაგვიხვევია ქრისტეს გზიდან, როგორც გამოთქვა ჩვენმა დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ წმიდა ილია მართალმა /ჭავჭავაძემ/ - ქრისტე ჯვარს უკვა ჩვენთვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესთვის. ამ მძიმე ბრძოლაში ჩვენს ხალხთან ერთად მუდამ იყო ჩვენი ეკლესია.

მეოთხე საუკუნე განსაკუთრებულია ჩვენს ისტორიაში. საქართველოში ქრისტიანობა გახდა სახელმწიფოებრივი რელიგია და ჩვენ ეკლესიურად და პოლიტიკურად დაუკავშირდით ახლად შექმნილ ბიზანტიის იმპერიას.

ნიშნად ჩვენი მეგობრობისა და სულიერი კავშირისა, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ახლად გაქრისტიანებულ საქართველოს გამოუგზავნა ერთ-ერთი ლურსმანი, რომლითაც ჯვარცმული იყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ეს სამსჭვადი დღესაც ინახება საქართველოს ეკლესიაში, როგორც უდიდესი სიწმიდე.

თქვენ იცით, რომ საქართველოს ეკლესია მეხუთე საუკუნემდე შედიოდა ანტიოქიის იურისდიქცია-

ში. მეხუთე საუკუნეც განსაკუთრებულია ჩვენს ისტორიაში, ვინაიდან ანტიოქიის კრების დადგენილებით, ანტიოქიის მამათმთავრის პეტრე II დროს საქართველოს ეკლესიას მიენიჭა ავტოკეფალია. ეს იყო ფაქტი ვახტანგ გორგასლის მეფობისა. საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიაში დაადგინეს პირველი კათოლიკოსი პეტრე.

XII საუკუნის დიდი ზერძენი კანონისტი, შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე ბაღსამონი წერს: "ამზობენ, რომ იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის, დიდი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე. გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს" /გეორგიკა, 8 თბ., 1970, გვ. 18/.

ეს თარიღი აღიარებულია ქართულ საერო და საეკლესიო მეცნიერებაში და შესულია საერთაშორისო საცნობარო ენციკლოპედიებში. მაგ., ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: "ვახტანგ გორგასალმა მთელი საქართველო გააერთიანა და დაიწყო ბრძოლა ცეცხლთაყვანსმცემლობის წინააღმდეგ... მან იმოგზაურა იერუსალიმში, ანტიოქიის პატრიარქისაგან ითხოვა რომ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები არჩეული ყოფილიყვნენ ქართველთაგან... აქედან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია" /ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია, ტ. XVIII, 1893, გვ. 797/.

ახალ კათოლიკურ ენციკლოპედიაში წერია: "რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, მისი ნამდვილი ავტოკეფალური სტატუსი დათარიღებულია V საუკუნით" /ახალი კათოლიკური ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 1116, 1117, 1966 წ./.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედია გვაუწყებს: "საქართველოს ეკლესია, ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებელ ეკლესიათაგანი, აღმოცენდა IV საუკუნეში. პირველად შედიოდა ანტიოქიის საპატრიარ-

ქოს შემადგენლობაში, V საუკუნიდან გახდა ავტოკეფალური.

აღბათ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ათენში 1965 წელს გამოცემულ "მწიგნობრივ და რელიგიურ ენციკლოპედიაში" ტერმინ კათალიკოსის განმარტებისას მითითებულია, რომ ვითარცა ტიტული იგი ზოძიებულ იქნა უკვე IV საუკუნეში იმ ეკლესიათა მეთაურებისათვის, რომლებიც მომდინარეობენ ანტიოქიის საპატრიარქოდან, ასეთებია: სელევკია - კტისიფონტის (სპარსეთი), სომხეთისა და იბერიის (საქართველოს) ეკლესიები (ტ. VII, გვ. 103).

ქართლის ცხოვრების მოწმობით, V საუკუნეში, ავტოკეფალიის მიღების დროს, როცა პეტრე იყო დადგენილი საქართველოს პირველ კათოლიკოსად, ჩვენთან შეიქმნა თორმეტი საეპისკოპოსო კათედრა /ქართლის ცხოვრება, გვ. 198, 199/. V საუკუნიდან ქართულმა ეკლესიამ მიიღო ეროვნული სახე; აღმოცენდა ეროვნული კულტურა, სასულიერო მწერლობა, ხუროთმოძღვრება, მონასტრული ცხოვრება.

V საუკუნის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი ამბობს: "იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ" /გეორგიკა, 1965, ტ. II, გვ. 48/.

XI-XIII საუკუნეები ითვლება საქართველოს ოქროს ხანად. XI საუკუნიდან იწყება ახალი აღმავლობის პერიოდი ჩვენი ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საეკლესიო ცხოვრებაში. როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში ამ დროს არსდება და ვითარდება საგანმანათლებლო ცენტრები-აკადემიები.

ქართულ ამროვნებაზე დიდი გავლენა იქონია XI საუკუნის კონსტანტინოპოლის /მანგანის/ აკადემიამ, რომელსაც სათავეში ედგნენ დიდი ფილოსოფოსნი და მოაზროვნენი - მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. ქართულ ენაზე დაცულია მიქაელ ფსელოსის ტრაქტატები: "პირმშოსათვის" და "დღესასწაულთა შესახებ".

კონსტანტინოპოლის აკადემიაში აღიზარდნენ XI-XII საუკუნეების დიდი ქართველი ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. იოანე პეტრიწმა ქართულ ენაზე ორიგინალურ ფილოსოფიურ ნაშრომებში განავითარა თავისი მასწავლებლის იოანე იტალოსის მოძღვრება. XI საუკუნეში საქართველოს მამათმთავარი უკვე ატარებს კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას, რაც დასტურდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეღქისედკ I სიგელით. XI საუკუნიდან დაწყებული შემდგომ პერიოდში პატრიარქის ტიტული მუდამ ახლავს ჩვენი ეკლესიის მეთაურს.

რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ადგილს

დიპტიქში, საქართველოს საპატრიარქოს მუდამ ეკავა VI ადგილი რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის შემდეგ.

1259 წლის საბუთში ვკითხულობთ: "...ჩვენცა გლახაკი ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სვეტიცხოველისა მეექვსესა პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა კათოლიკობი ნიკოლოზი ვამტკიცებ და წარავწერ" /ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 66/.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის დასასრულს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იერემია II მიანიჭა რუსეთის ეკლესიის მეთაურს პატრიარქის წოდება და დიპტიქში V ადგილი /რომის გამოკლებით/, ხოლო საქართველოს პატრიარქს დაუთმო VI ადგილი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორცაა საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღება, პატრიარქის ღირსების მოპოვება და დიპტიქში VI ადგილის დაკავება, არ მოხდებოდა ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის გარეშე, რადგან ეს იყო როგორც საეკლესიო, ისე მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტები.

დარწმუნებული ვართ, რომ იქნებოდა სათანადო ტომოსები, მაგრამ თქვენი და ჩვენი აზრების გამო ეს მნიშვნელოვანი საბუთები არ შემოგვრჩა.

ჩვენ უკვე მეორედ ჩამოვედით თქვენს დიდებულ ქალაქში, რომ აღვადგინოთ ძმური ურთიერთობა. ჩვენს შორის არ უნდა იყოს გაუგებრობა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდისა და ჩემი სახელით მადლობას გწირავთ თქვენ, თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, თქვენ წმიდა სინოდს, რომ მიიღეთ ახალი გადაწყვეტილებანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის წოდების ცნობის თაობაზე, რომელიც ჩვენ უძველესი დროიდან გაგვანჩნია.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ძმური და ტრადიციული ურთიერთკავშირი ჩვენ ორ უძველეს ეკლესიას შორის მომავალში უფრო მეტად განმტკიცდება და გაღრმავდება. ჩვენი ერი დიდი სიყვარულით იხსენებს თქვენს ჩამობრძანებას საქართველოში. ეს იყო დაუვიწყარი და ღვთის მადლით ალსავსე დღეები.

კვლავ სიყვარულით გიწვევთ ჩვენს სამშობლოში. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მეტად გაიხარებს თქვენი მობრძანებით.

ვისურვებთ, თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, მრავალჟამიერ და უხვი ნაყოფით ალსავსე სიცოცხლეს, ხოლო მსოფლიო საპატრიარქოს - სულიერ წინსვლასა და გაბრწყინებას.

ორი II-სერი

საპარტიო ტარა, მართლმადიდებლობის კვირა, 1990 წელი/

უნეტარესო, უწმიდესო და ქრისტეს მიერ  
საყვარელო ძმაო.

უწმიდესმა, სამოციქულო და მსოფლიო საპარტიო ტარა, რომელსაც წყალობითა ღვთისათა მიღებული აქვს ყოველთა ეკლესიათა ზედა მოციქულებრივი ბრუნვა და აქვს რწმუნება მათთვის დროის აუცილებლობით გამოწვეული ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებისა და გადაჭრისა, შეისძინა საქართველოს ღირსეული ეკლესიის თხოვნა მასზე, რომ ოფიციალურად იქნეს ცნობილი საუკუნეების განმავლობაში არსებული მისი თვითმმართველი სტრუქტურა და ორგანიზება და, ამასთანავე, მიუჩინოს მას სათანადო ადგილი წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. ერთსულოვანი, სინოდური გადაწყვეტილებით შედგენილ სიგელს ოფიციალურად ვუბოძებთ თქვენს უნეტარესობას ამ მართლმადიდებელ ეკლესიის სიძველე და მისი ისტორია და აღგვემადლებინა იგი საპარტიო რანგსა და ღირსებაში.

არა მხოლოდ ეს, არამედ ჩვენმა ტარამ თქვენი მორე თხოვნაც ისმინა - მხედველობაში მიგვედო, უმთავრესად, კავკასიის მიწაზე არსებული თქვენი უძველესი ეკლესიის სიძველე და მისი ისტორია და აღგვემადლებინა იგი საპარტიო რანგსა და ღირსებაში.

ამრიგად, ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უნეტარესობის პატიოსან ხელთ გადავცემთ ჩვენს საპარტიო და სინოდურ დადგენილებას მასზე, რომ ქრისტეს ღირსეული ეკლესიის მიერ თქვენი უნეტარესობა და თქვენი შემკვიდრები აღიარებულია სამოციქულო ხელდასმითა და შემკვიდრებით, ვითარცა მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა და ასევე მოიხსენიებით დღეიდან წმიდა დიპტიქში, უნეტარესო და მეტად საყვარელო ჩვენო ძმაო და კათოლიკოს-პატრიარქო.

ეს ისტორიული ფაქტი სრულიად დღეს მართლმადიდებლობის კურთხეულ ცენტრში წყალობითა და კურთხევითა ყოვლადსანატრელისა ღვთისმშობლისა, დედისა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომლის წილხვედრიც გამხდარა საქართველო ქართული მატრიანების მიხედვით მო-

ციქულთა შორის სამყაროს განაწილების დროს. ხილვითა და მადლითა წმიდისა ნინოსი, რომელსაც ერგო პატივი კეთილშობილი და დიდებული ქართველი ერის საბოლოოდ გაქრისტიანებისა და, ასევე, წმინდანთა შორის მეფისა და მოციქულთა სწორის კონსტანტინე დიდისა, რომელმაც ეპისკოპოსნი და განათლებული სამღვდლოება წარგზავნა იქ, საქართველოს წმიდა მეფის, მირიანის თხოვნის შესაბამისად, რათა წარმატებით დასრულებულიყო ახალი სარწმუნოების გავრცელება თქვენს რეგიონში.

კონსტანტინოპოლის ეკლესია აკურთხებს და ამტკიცებს დღეს საქართველოს უწმიდესი ეკლესიის თვითმმართველ სტრუქტურას და აძლევს ძმურ თანხმობასა და აღიარებას მის საპარტიო ღირსებას. აკეთებს ამას იმის გამო, რომ პატივი დასდოს მის სიმტკიცეს მართლმადიდებლო რწმუნებაში, მის წმინდანებასა და მის მოწამეებს და მისთა ბერთა წმიდა პლავდას და იმისათვის, აგრეთვე, რომ უფრო მეტად გაძლიერდეს რწმუნითა და საეკლესიო კანონით ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობა, რაც, როგორც არასდროს, ისე აუცილებელია დღეს, როდესაც ძლიერი და მოულოდნელი ცვლილებანი და მოვლენათა მსვლელობანი შეინიშნება, მოძვე მართლმადიდებელ ეკლესიებში, და აქაც, უპირველეს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც, რაც მიმართულია უმეტესწილად მისი მრევლის წინააღმდეგ, საწინააღმდეგოდ ჭეშმარიტების მსურველთა, წინააღმდეგ მთელი სამყაროსა.

ჩვენი ეკლესიები დაკავშირებული არიან ქრისტესმიერი სიყვარულით. წყალობითა და მადლითა უფლისა, თავს არიდებენ და ეწინააღმდეგებიან მუდამ თანადროულ ეშმაკისეულ ცთუნებებს და, წინააღმდეგ ყოვლისა ბოროტისა, იძლევიან მანუკეშებულ და საჭირო დასტურს იმისას, რომ შეინარჩუნებენ ჭეშმარიტებას, საშარლოიანობას და ყოველივე სიკეთეს, დმერთი კი მადლით ადავსებს მათ ხალხს სადიდებლად სახელისა თვისისა.

საყვარელო ძმაო,

მიიღე ეს წმიდა სიგელები ქრისტეს წმიდა დედა ეკლესიისაგან, წარუები შენს ღვთისმოსავ ხალხს და გადაეცი ესენი და, ამასთან ერთად, დიდი ქრისტესმიერი სიყვარული, კურთხევა და ამბორი ჩვენი.



"...ევსტათი ანტიოქიელის დროიდან მოკიდებული დაწესებული იყო საქართველოში არჩეული კათოლიკოსის ანტიოქიაში კურთხევა, მაგრამ მუსლიმთა მიერ ანტიოქიის დაპყრობის (ე.ი. 637 წ.) შემდეგ, რადგან 40 წელი კათედრა უპატრონოდ დარჩა, ეს წესი აღარ სრულდებოდა. ბოლოს - დასძენს იგი - სტეფანეს შემდეგ კათედრა დაიკავა თეოფილაქტემ /744-750/ და სწორედ ამ პატრიარქის დროს აფხაზეთის მეფე დავითმა გაგზავნა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ხელდასახმელად მრავალი პიროვნებანი."

მაკარიოსი, XVII ს. ანტიოქიის პატრიარქი, 1669 წ. იყო საქართველოში.

"ღვთა კონსტანტინე სკორის მოსახელისათა ანტიოქიის პატრიარქობასა ნეტარისა თეოფილაქტესა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ ღიღსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებიანი, რამეთუ ღლითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმწამისა ანტიოქელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლვად. ხოლო მან ბჭობითა კრებულისათა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთ თვისთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გახსნილი, რათა თვით მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ხელნი დაეხმოდინ ჟამად-ჟამადა კათოლიკოსსა ქართლისასა..."

ანტიოქიური "ქრონოგრაფი"

საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და  
ზოძების საპატრიარქო სინოდური

განჩინება

დიმიტრიოსი, წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა ახლისა  
რომისა და მსოფლიო პატრიარქი

რამდენადაც, მრავალსაუკუნოვანი წესის თანახმად, ჩვენი უწმიდესი სამოციქულო და მსოფლიო საპატრიარქო ტახტი ინარჩუნებს კანონიერ უფლებას ჩაერიოს ღვთის წმიდა ეკლესიათა მოთხოვნილებებში, გამოიჩინოს გარკვეული მზრუნველობა და დააკმაყოფილოს ისინი, ამიტომ ჩვენი უმდაბლესობა, ჩვენს კურთხეულ და ყოვლადპატივდებულ მიტროპოლიტებთან მსჯელობის შედეგად, საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე, განიმსჯვალა აზრით, რომ საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურსა და დამოუკიდებელს, მართლმადიდებელ ეკლესიათა სისტემაში შემაჯალა და თვითმმართველს, მიეცეს მშური თანხმობა და აღიარება ჩვენი უწმიდესი კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით. როგორც აღრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული - "მთავარეპისკოპოსი მცხეთათბილისისა და კათლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა", ასევე იხსენიებოდეს ამიერიდანაც მართლმადიდებლურ საღმრთო

და წმიდა განგებებში.

ღრმად დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ჩვენი წმიდა და ქრისტეს ღიდი ეკლესიის განსჯის და მისი წმიდა სინოდის დადგენილებას გაიზიარებენ და მხარში დაუდგებიან უნეტარესნი პატრიარქნი და განმგებელნი ღვთის ყოველი წმიდა ეკლესიისა და მიღებული იქნება ერთსულოვანი თანხმობა საქართველოს მოძმე ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარების შესახებ. გამოვთქვამთ ჭეშმარიტ იმედს, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის შენებას, ეკლესიის სიძლიერეს და წინსვლას.

სიხარულით ვაუწყებთ ყოველივე ამას ჩვენთვის ძალზე საყვარელ და ყოვლადღირსეულ თქვენს უნეტარესობას, თქვენს ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს, მორწმუნე წმიდა სამღვდელოებს, საქართველოს საპატრიარქოს ღვთისმოსავ და მორწმუნე მართლმადიდებელ ხალხს.

ვეამბოროები თქვენს საყვარელ უნეტარესობას მშური ამბოროთ, მივმართავთ თქვენს ქრისტესმოყვარე მრევლს ჩვენი პირველმღვდელმთავრული ლოცვა-კურთხევით და ვითხოვთ ყოველთათვის მადლსა და უსაზღვრო წყალობას უფლისას.

მისი ღვთაებრივი ყოვლადუწმიდესობის მსოფლიო

პატრიარქის ბატონ დიმიტრიოსის მისასალმებელი სიტყვა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სიგელსა და საპატრიარქო ტიტულის

განჩინებაზე ხელმოწერისას

3 მარტი, 1990 წ.

წმიდაო ძმაო,

ქრისტესმიერი გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით და დიდის სიხარულით სხვა დროსაც მიგვიღიხართ აქ და გაგვიცვლია წმიდა ამბოხი. დღეს განსაკუთრებით დიდია ღვთის წყალობა ჩვენზე. სიხარული ჩვენთა ეკლესიათა და პირადად ჩვენი უკიდურესობამდე აღესილი. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენი შეხვედრა ისტორიული ფაქტის გამო ხორციელდება, რომელიც წინ, უფლისაკენ და მსოფლიოში ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ერთიანობისაკენ წარუძღვება ჩვენს სამშოს. მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ ღირსი გავხდით თქვენი უნეტარესობა და თქვენი პატიოსანი თანმხლები პირნი მიგველო ჩვენს ახალ საპატრიარ-

ქო რეზიდენციაში, რომელიც გთხოვთ ჩათვალთ და მიიჩნიოთ, როგორც თქვენი საკუთარი სახლი.

უფლისმიერ ჩვენო ძმაო და თანამწირველო, ვმადლობთ სამეზბით დიდებულ ღმერთს, რომლის მიერაც ყოველი კეთილი საზოძვარი წარმატებით გვირგვინდება, ამ კურთხევისათვის ჩვენზე და ჩვენს მოძმე ეკლესიებზე რომ გარდამოავლინა.

ვიხარებდეთ და ვვალდობდეთ და ვიცხოვროთ დღეს ცოდნითა ამითა.

გმადლობთ ჩვენთან ვიზიტისათვის და გისურვებთ სულიერ კმაყოფილებას თქვენი აქ ყოფნის განმავლობაში.

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება!



**მისი ყოვლადუწმიდესობის მსოფლიო პატრიარქის  
დიმიტრიოს I ინტერვიუ ააის-ის ჟურნალისტებთან**

საქართველოს მოქმე ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების აღიარება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მნიშვნელოვანი საეკლესიო ფაქტია, რომელიც, გარდა იმისა რომ პატივისცემის გამოვლინება უძველესი და ღირსი ეკლესიის მიმართ, ამასთანავე ხელს უწყობს უფრო მჭიდრო პანორთოდოქსალურ კავშირსა და თანამშრომლობას, რაც დღეს უფრო მეტადაა აუცილებელი, ვიდრე ოდესმე.

კონსტანტინოპოლის დედა ეკლესიის სიხარული გამოწვეული ამ მოვლენით არ არის ნაკლები, ვიდრე, სამართლიანად, პატივდებული ეკლესიისა, რომელიც ჩვენთვის, აქ, განსაკუთრებით ძვირფასია.

ამ ქმედებით მსოფლიო საპატრიარქო ეცადა პა-

ტივი მიეგო კეთილშობილი, მორწმუნე და ამაყი ქართველი ხალხისათვის, რომელმაც მთელი ისტორიის განმავლობაში მტკიცედ დაიცვა მამათა მართლმადიდებლური რწმენა და იბრძოდა მისთვის, ამასთანავე გამოავლინა ჰეროიზმი, მაღალი თვითშეგნება და მოთმინება ყოველგვარ განსაცდელში.

ყველა ჩვენს მსმენელს ვუსურვებთ დიდი სიხარულით აღსავსე მომავალ აღდგომას.

მაღლი, სიხარული, მშვიდობა და ნათელი აღდგომისა უფლისა ჩვენისა იყოს მუდამ მათთან და მათ ოჯახებში.

მაღლი უფლისა ჩვენისა იყოს ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისა და ზიარება წმიდისა სულისა იყოს ყოველთა თქვენთა თანა.



"...შემდეგი ეკლესიები არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს: ბულგარეთის ეკლესია, რომელსაც პატივი მიანიჭა იუსტინიანემ..., კვიპროსის ეკლესია. ამას პატივი მიანიჭა მესამე და მეექვსე კრებამ...; იბერიელთა ეკლესია, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით (წინათ ის ანტიოქიას ექვემდებარებოდა): მათი მღვდელმთავრები, ჩვეულებრივ, ხელთისხმებოდნენ საკუთარ ეპისკოპოზთაგან."

მათე ზლასტარესი

**კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (383 წ.) მეორე კანონის განმარტების დროს თეოდორე ბალსამონი ლაპარაკობს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე:**

"ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იბოვი ავტოკეფალურად. როგორც (მაგალითად), ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას... იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებაში. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმიდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქმნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს".

**თეოდორე ბალსამონი**

" მეფე დავითის დროს ანტიოქიაში გამგზავრებულია 12 მონაზონი, ათი არაბებს მოუკლავთ გზაში. საქართველოში არჩეული კათოლიკოსის ანტიოქიაში ხელდასახმელად ჩასვლა ევსტათი ანტიოქიელის (IV ს.) დროიდან მოდის და თეოფილაქტემ იოანეს იმ პირობით დაასხა ხელი, რომ წირვის დროს საქართველოში ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენებინათ. თანაც ყოველ სამ წელში საქართველოდან ანტიოქიის პატრიარქისათვის უნდა გაეგზავნათ მისთვის კუთვნილი შემოსავალი იმ 1000 სოფლიდან და მეტოქიდან, რომელიც თითქოს ქართლის მეფემ ევსტათი ანტიოქიელს შესწირა. ეს შემოსავალი - განაგრძობს ბრეკი - ანტიოქიაში იგზავნებოდა დღემდე - 1767 წლამდე /იგულისხმება, რომ შემდეგშიც ასე გაგრძელდა - ვ. გ./ და ანტიოქიის მამულის მოსაველეად, გარდა იმისა, რომ საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა პატრიარქის ნაცვალი, მუდმივად იმყოფებოდა პატრიარქის ილუმენი, რომელიც ქართველებს პატრიარქის ნებას აუწყებდა და მოძღვრავდა."

**მიხეილ ბრეკი**  
X-VIII ს. მოღვაწე

იხ. ვ. გოლაძე, "ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება"



# „სსსანიშო ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებაჲს

## ბანგათაპისუფლნას ოქჲს

ავტოკეფალია (1978-1990 წლები)

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს მიიღო, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ქართული ეკლესიის მამამთავრის საპატრიარქო ტიტული არაერთგზის გამხდარა საყოველთაო განსჯის საგანი. მე არ შევეხები ისტორიაში ცნობილ ამ მომენტებს. მოგიხსენებთ მხოლოდ იმას, რაც 1978-1990 წლებში მოხდა.

1978 წელს, მაისში, საქართველოს ეკლესიის ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რათა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ისათვის აღსაყდრება მიეღო. /უწმიდესი ილია II აღსაყდრებულ იქნა 1977 წ. 25 დეკემბერს/.

დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე /იგი ახლა ქალკედონის მიტროპოლიტია/ და შვეციის მიტროპოლიტი პავლე.

მისასალმებელი სიტყვა საოცრად თბილი და კეთილგანწყობილი იყო. ცოტა არ იყოს დამახინა უწმიდესის ილია II შემფოთებულმა სახემ სვეტიცხოვლის ტაძარში, როდესაც მე ამ სიტყვას ვთარგმნიდი. თურმე პატრიარქის სმენას არ გამოპარვია ის, რომ მისასალმებელ სიტყვაში არსად იხსენიებოდა სიტყვები: "საქართველოს საპატრიარქო" და "კათოლიკოს პატრიარქი". მათ ნაცვლად ყველგან "საქართველოს ეკლესია" და "კათოლიკოსი" ფიგურირებდა. ხოლო კვერთხზე, რომელიც ახლად აღსაყდრებულ პატრიარქს გამოუგზავნა მისმა ყოვლადუწმიდესობამ მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I, ასეთი წარწერა იყო გაკეთებული: "კონსტანტინოპოლელი დიმიტრიოსისაგან, ივერიელ ილიას". უხერხულობის თავიდან ასაცილებლად თვით მსოფლიო პატრიარქი არ იყო მოხსენიებული პატრიარქად.

როგორც უწმიდესის ილია II-ისაგან ვიცით, ჯერ კიდევ 1963 წ. კუნძულ როდოსზე მიმდინარე ერთ-ერთ კონფერენციაზე მოსვლია მას კამათი მსოფლიო საპატრიარქოსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებთან საქართველოს ეკლესიის სტატუსისა და ქართული

ეკლესიის მამამთავრის ტიტულის შესახებ. მაშინ მისი უწმიდესობა ილია II ახლად აღსაყდრებულ ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი გახლდა.

1979 წლის მაისში უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ეწვია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. მისი ყოვლადუწმიდესობის დიმიტრიოს I და წმიდა სინოდის წინაშე მისმა უწმიდესობამ ილია II უკვე ოფიციალურად დააყენა სამი საკითხი: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2. ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტული და 3. საქართველოს ეკლესიის ადგილი მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიმიტრიოში.

კონსტანტინოპოლის ეკლესიამ ისტორიული დოკუმენტები მოითხოვა საამისოდ.

საქართველოში დაბრუნებისთანავე უწმიდესმა ილია II შემოიკრიბა ქართველი მეცნიერები და თანადგომა და თანამშრომლობა სთხოვა მათ.

საქართველოს ეკლესიის მთელი სინოდი, ყოველი თანამშრომელი, დიდი თუ პატარა, სპლდელელო პირი, თუ საერო, ყველა ერთი აზრით განიძჭვალა. ყველას დიდი სურვილი გაუჩნდა თავისი პატარა წვლილი შეეტანა ამ დიდ საქმეში.

დიდი გულმოდგინებით ჩაებნენ ამ საქმეში ჩვენი მეცნიერები: ქალბატონი მარიაკა ლორთქიფანიძე, ქალბატონი ბაბილინა ლომინაძე, ბატონი ნოდარ ლომოური, ბატონი ზაზა ალექსიძე და სხვები. მაპატიონ თუკი ყველას გვარს ვერ დავასახელებ ახლა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის ქალბატონ ელენე მეტრეველის დახმარებით გადაღებულ იქნა ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველი დოკუმენტის ასლი, რომელიც კი ამ ინსტიტუტში ინახებოდა.

მოგეხსენებათ, რომ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II ოთხი წლის განმავლობაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი გახლდათ. ამ წლებში მას ხშირად უხდებოდა შვეიცარიაში ყოფნა. შამხუბში იმყოფება მსოფლიო საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრი, რომელსაც მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელი დამასკინოსი განაგებს. სწორედ ამ მიტროპოლიტს ჰქონდა დავალებული საქართველოს ეკლესიასთან არსებული საკითხების კურირება და მომზადება. ამიტომაც

მისი უწმიდესობის ილია II შევიცარიაში ყოველი გამგზავრება დიდ მღელვარებასთან იყო დაკავშირებული.

ნელ-ნელა ივსებოდა და იბრღებოდა ამ საბუთების რაოდენობა. ვთარგმნიდით მას ბერძნულ და ინგლისურ ენებზე და განუწყვეტლივ რამდენიმე ცალად მიჰქონდა ეს საბუთები პატრიარქს და არიგებდა არა მხოლოდ მართლმადიდებლებს შორის, არამედ აძლევდა ყველას, ვინც ამ საკითხებით დაინტერესდებოდა.

ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო საეკლესიო ფორუმებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხს ეხებოდა ეს ფორუმები, მისი უწმიდესობა და ასევე, მის მიერ წარგზავნილი პირნი ყოველთვის პოულობდნენ შესაფერის მომენტს, რომ ამ საკითხზე ელაპარაკათ.

მოგეხსენებათ, აგრეთვე, რომ ამ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას მრავალი დელეგაცია ეწვია. მათ შორის მრავალი მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი. ყოველ მათგანთან კვლავ და კვლავ მეორდებოდა და დღის წესრიგში იდგა ეს საკითხი. მაგრამ ბერძნულენოვან ეკლესიათა კალენდარში, რომელშიც დღესასწაულებთან ერთად მართლმადიდებელ ეკლესიათა თანამედროვე სტრუქტურაცაა გაშუქებული, საქართველოს საპატრიარქო კვლავაც ავტონომიურ ეკლესიათა რიგში იდგა, ხოლო მისი მეთაური მხოლოდ კათოლიკოსად მოიხსენიებოდა.

ყოველი კალენდრის მიღებისთანავე საქართველოს ეკლესიიდან იგზავნებოდა შესწორებული ვარიანტი, მაგრამ ამაოდ.

1982 წლის 3 ივლისს ოფიციალური წერილებით მიმართა მისმა უწმიდესობამ ყოველი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს მისი და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით. წერილში საკმაოდ ვრცლად და დამაჭერებლად იყო წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. წერილს თან ერთვოდა დოკუმენტებიც.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მისი უნეტარესობის ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის ნიკოლოზ VI-ის დამსახურება. მან თავისი და ალექსანდრიის ეკლესიის სინოდის სახელით ოფიციალური წერილით მიმართა მსოფლიო საპატრიარქოს, მის ყოვლადუწმიდესობას დიმიტრიოს I, რომ მხარს უჭერდა პატრიარქ ილიას კანონიერ მოთხოვნებს საქართველოს ეკლესიის სტატუსის შესახებ. ამ წერილის ასლი პატრიარქმა ნიკოლოზმა ჩვენს ეკლესიასაც გამოუგზავნა.

მინდა წინ გაუვსწრო ცოტათი მოვლენებს და

აქვე გითხრათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ მივიღეთ ალექსანდრიის საპატრიარქოს 1990 წლის კალენდარი, სადაც დიპტიქში საქართველოს ეკლესია მეექვსე ადგილზე მოიხსენიება. მართალია, მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI გარდაიცვალა, მაგრამ როგორც ვხედავთ, ის ნიადაგი, რომელიც მან თავის ეკლესიაში მოამზადა, ნაყოფიერი აღმოჩნდა. ძმური ურთიერთობები, რომლებიც მისი უნეტარესობის ნიკოლოზ VI-ის და მისი უწმიდესობის ილია II-ის მიერ განმტკიცდა, გრძელდება. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მისი უნეტარესობის პატრიარქ პართენიოსის კეთილგანწყობისა და მისი სამართლიანობის დასტურიცაა.

როდესაც 1987 წელს საქართველოს ეკლესიას ეწვია მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I და კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაცია, მაშინ უკვე საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ აღარ შეიძლებოდა ამ საკითხების ისევ გადადება. პატრიარქები შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ეს საკითხი.

და აი, 1988 წლის თებერვალში ჩამოვიდა ხუთი წარმომადგენლისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა მირონის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. საქართველოს ეკლესიის მხრიდან დიალოგს ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრნი და მეცნიერები: ბატონი ნოდარ ლომოური და ბატონი ზაზა ალექსიძე. დიალოგს წარმართავდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. უნდა გითხრათ, რომ დიალოგი მოსალოდნელზე მეტად დაძაბული აღმოჩნდა.

კონსტანტინოპოლის ეკლესიის დელეგაციას ჩამოუტანია ტიპიური სიგელები, რომლებიც ამა თუ იმ ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების, ან საპატრიარქო ტიტულის ზოძებისას გაიცემა. ამრიგად, მთელი ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი დამოუკიდებელი საეკლესიო ისტორია უგულვებელყოფილი გამოდიოდა. მეხუთე საუკუნეში მიღებული ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას ახლა, მეოცე საუკუნეში უნდა მიეღო?

რა თქმა უნდა დიალოგი უნაყოფო აღმოჩნდა, უფრო სწორად ჩაიშალა. მაგრამ მისი უწმიდესობის ილია II-ისა და დელეგაციის მეთაურის ერთ-ერთი შეხვედრისას თითქოს გამოსწორდა საქმე. მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა, პატრიარქთან საუბრის შემდეგ, სულ სხვა კუთხით შეხედა ამ საკითხებს და აღუთქვა მის უწმიდესობას, რომ საქართველოს ეკლესიის მოთხოვნებს უფრო ნათლად წარმოაჩენდა თავისი ეკლესიის სინოდზე.

ორი თვის შემდეგ, მაისში ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოვიდნენ მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, ამ საკითხთა პირველი კურატორი - მიტროპოლიტი დამასკინოსი და კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის მთავარი მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი. მათ მიერ ჩამოტანილ ტექსტში ცვლილებები იყო შეტანილი, მაგრამ არა ბოლომდე სასურველი.

და აი, 1990 წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე ჩვენს ეკლესიას კვლავ ეწვია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. მისმა უწმიდესობამ პატრიარქმა ილია II და მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა ერთად სწირეს შობის დღესასწაულზე. წირვის დასასრულს მიტროპოლიტმა სინოდის საკათედრო ტაძრის მრევლს და სრულიად საქართველოს /დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლიაცია მიმდინარეობდა ტელევიზიით/ ამცნო, რომ მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული. ხოლო მისი უწმიდესობა პატრიარქი ილია II სტამბოლში მიიწვია სიგელთა მისაღებად.

მეორე დღეს, 8 იანვარს მისი უწმიდესობა ილია II გაეცნო უკვე საბოლოო ტექსტს. მართალია ტექსტში შეტანილი იყო XII საუკუნის დიდი ბერძენი კანონისტი - ბალსამონის ცნობილი სიტყვები, რითაც წარმოჩენილი იყო საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია, ნახსენები იყო "უძველესი ქართული ისტორიული წყაროები და ქრონიკები", მაგრამ ტერმინოლოგია მაინც ქართული სინამდვილისათვის შეუსაბამი იყო. სიტყვების: "ვადიარებ" და "ვცნობ"-ს ნაცვლად ყველგან ეწერა "ვამტკიცებ" და "ვაცხადებ". ამასთანავე, ერთ-ერთი ბოლო მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას მირონი უნდა წამოელო კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან. აი ეს მუხლიც: "წმიდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა წესის თანახმად, საქართველოს მოძმე წმიდა ეკლესიამ მირონი უნდა მიიღოს ჩვენი წმიდა და დიდი ქრისტესმიერ დედა ეკლესიისაგან, რათა ხილულად და უხილავად ჩამოყალიბდეს და განცხადდეს შინაგანი და გარეგანი განუყოფელი ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა".

ისევ გაგრძელდა კამათი. ტერმინების შეცვლას, როგორც იქნა, დათანხმდა მიტროპოლიტი. აქვე გადაშალა და საკუთარი ხელით ჩაასწორა, მაგრამ მირონის საკითხი ჩემს კომპეტენციას და ჩემს ძალეებს აღემატებოდა - განაცხადა. ცდილობდა აეხსნა მისი უწმიდესობისათვის, რომ ეს მუხლი

სიმბოლურია, რომ იგი არავითარი ვალდებულების წინაშე არ აყენებდა ქართულ ეკლესიას. მისი ყოვლადუწმიდესობა სრულიადაც არ მოითხოვს ამ მუხლის შესრულებას და ამით არც არავითარ ეკონომიკურ დამოკიდებულებას არ ექნებათ ადგილი. მაგრამ მისმა უწმიდესობამ ილია II მკაცრად განაცხადა: "საქართველოში არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს პიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევნ ამ თარიღს. მე მჯერა თქვენც და მისი ყოვლადუწმიდესობის დიმიტრიოს I. ეპისკოპოსს არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და საერთოდ, არც ერთი ჩვენგანი უკვლავი არაა. მე არ ვიცი რა ზედი ეწევა, ან როგორ დადგება ეს საკითხი მას შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო".

წამოდგა პატრიარქი. ეს ხომ მოლაპარაკების შეწყვეტას ნიშნავდა. მეტად აღელვებული და შეწუხებული დაბრუნდა სასტუმროში მიტროპოლიტი. მას მართლაც არ ჰქონდა მთლიანად ამ მუხლის ამოღების უფლება. მთელი საღამო მუშაობდა. შეადგინა სამი განსხვავებული ვარიანტი ამ მუხლის შესაცვლელად და დილით, თვითმფრინავზე გამგზავრების წინ, ტრამთან გადმოშვა და მთხოვა მიმეტანა მისი უწმიდესობისათვის. იქნებ როგორმე დათანხმდეს რომელიმეზე და მაშინ, საღამოს მოსკოვში დამირეკო. მეორე დღეს მიფრინავდა მოსკოვიდან. ფიქრობდა, რომ სინოდის წევრებს დაითანხმებდა რომელიმე ამ ვარიანტზე. ასეც მოვიქციე, მაგრამ მის უწმიდესობას ბოლომდე არცერთი ვარიანტი არ მოეწონა. ბოლოს ერთ-ერთში მცირეოდენი ცვლილება შეიტანა და მეც, უკვე გვიან დამით, დავრეკე მოსკოვში. (მოგეხსენებათ, რა ძნელია ტელეფონით ასეთი მნიშვნელოვანი ტექსტის შემუშავება). შევთანხმდით, რომ თუკი ამ, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს დათანხმდებოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდი, მაშინ დეკრეტის გამოგზავნიდა მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი და 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე, სტამბოლში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს საბეიზიდ გადაეცემოდა სათანადო საბუთები.

**სტამბოლი, მართლმადიდებლობის დღესასწაული მსოფლიო საპატრიარქოში**

მოვიდა დეპუტა. ფეხზე დადგა მთელი საპატრიარქო. სულ რაღაც ორ კვირაში უნდა გამშადებულიყო საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობა სტამბოლში, მსოფლიო საპატრიარქოში წარსადგომად. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

1. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.
2. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი.
3. მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ქუთათელი-განათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე.
4. თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი, პროტოპრესვიტერი მამა გიორგი.
5. სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონი ამირან ამირანაშვილი.
6. საპატრიარქოს ბერძნული ენის თარჯიმანი თამარ მესხი.
7. საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მდივანი ზორის გაგუა.

1 მარტს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. საოცრად მღელვარე და დამქანცველი იყო 1 და 2 მარტი მთელი დელეგაციისათვის. 2 მარტს მხოლოდ საღამოს 7 საათზე მოგვცა ვიზები თურქეთის საელჩოში, მაშინ როცა მეორე დღეს დილით უნდა გაფრენილიყავით თურქეთისაკენ.

3 მარტს დილით 4 საათზე გავვით სასტუმროდან. ჯერ ბერლინში ჩავფრინდით, იქ ორსაათნახევარი ვიცადეთ აეროპორტში, შემდგომ კი სტამბოლისაკენ გავფრინდით. ერთი სიტყვით, სტამბოლში რომ ჩავვდით უკვე 7 საათი იყო ადგილობრივი დროით.

დელეგაციას აეროპორტში შეხვდა მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ქალკედონის მიტროპოლიტი ბართლომე, პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი, წმ. სინოდის მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი, პროფესორი სტავრიდისი და სხვა სამღვდელო პირნი.

აეროპორტიდან პირდაპირ საპატრიარქო რეზიდენციაში წავიყვანეს. /სულ ამო აღმოჩნდა ჩვენი მოლოდინი სასტუმროში დასვენებასა და

თავის მოწესრიგებაზე/. საპატრიარქო რეზიდენციაში ჯერ მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I შეგვხვდა. პატრიარქებმა მოიკითხეს ერთმანეთი, ეკლესიები, სამღვდელოება და მრევლი. შემდგომ კი მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I უზარმაზარ დარბაზში შეუძღვა დელეგაციას, სადაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობას ელოდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება და საერო პირნი. მათ შორის იყვნენ: საბერძნეთის ელჩი თურქეთში თავისი მეუღლითა და მცირეწლოვანი შვილით, საბერძნეთის კონსული თურქეთში, საბერძნეთის პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, ფურნალისტები ამერიკიდან, ადგილობრივი გაზეთებიდან და ა.შ.

შესვლისთანავე დაიწყო პარაკლისი. პარაკლისის დასრულების შემდგომ წმ. სინოდის მდივანმა არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი და 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდური განჩინება.

ამის შემდგომ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის ყოველმა წევრმა მოაწერა ხელი ამ დოკუმენტებს. დოკუმენტებს ხელს აწერენ მიტროპოლიტები:

- |                  |             |
|------------------|-------------|
| 1. ქალკედონის    | ბართლომე    |
| 2. როდოპოლისის   | იერონიმოსი  |
| 3. კოლონიის      | გაბრიელი    |
| 4. პერგის        | ევანგელოსი  |
| 5. ლისტროსის     | კალინიკე    |
| 6. დერკონის      | კონსტანტინე |
| 7. ელენუპოლეოსის | ათანასე     |
| 8. მელიტინის     | იოაკიმე     |

მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I და მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მეორე დღეს, 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულზე მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I და კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II

ერთად შეასრულეს საღვთისმშობლის მათთან ერთად ღვთისმსახურება. თანამწირველობდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, ვინც კი ხელი მოაწერა ამ დოკუმენტებს, და საქართველოს ეკლესიის დელეგაციის სასულიერო პირნი. წირვის დასასრულს პატრიარქებმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

მისმა უწმიდესობამ ილია II ამ დღის აღსანიშნავად მის ყოვლადუწმიდესობას დიმიტრიოს I საწიაღე /გულსაკიდი, ე.წ. პანაღია/ აჩუქა წმიდა გიორგის გამოსახულებით, ხოლო წმიდა გიორგის სახელობის საპატრიარქო ტაძარს კი - წმიდა გიორგის სვანური ხატის ასლი და ბარძიმი-ფეშხუმი.

მისმა ყოვლადუწმიდესობამ დიმიტრიოს I კვერთხი უბოძა მის უწმიდესობას ილია II-ს.

როგორც წინა საღამოს შარაკლისი და დოკუმენტების ოფიციალური გაფორმება, ასევე საზეიმო ღვთისმსახურებაც საბერძნეთის ტელევიზიამ გადაიღო და ნაჩვენები იქნა იმავე საღამოს.

საზეიმო ლიტურგიის შემდგომ მოეწყო დიდი სერობა, რომელსაც ესწრებოდნენ სტუმრები - საქელესით და საერთო პირნი.

ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I, მისი მარალყოვლადუსამღვდელოესობის მიტროპოლიტ ბართლომესა და არქიმანდრიტ მელიტონის თანხლებით მის უწმიდესობასა და უნეტარესობას ილია II ეწვია სასტუმროში. ეს ერთგვარი საპასუხო ვიზიტი იყო და პატივისცემის გამოვლინება საქართველოს ეკლესიის მეთაურის მიმართ.

პატრიარქებმა გააანალიზეს მომხდარი ფაქტი და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს, ისაუბრეს როგორც კერძოდ თავიანთ ეკლესიებზე, ასევე მთელი მართლმადიდებლობის წინაშე არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მეთოდებზე.

ამით ერთგვარად დასრულდა ვიზიტის ოფიციალური ნაწილი და საქართველოს ეკლესიის დელეგაციას საშუალება მიეცა ახლოს გაცნობოდა მსოფლიო საპატრიარქოს ცხოვრებას, მის მაჯისცემას.

**"ვიყვარებდით ურთიერთას..."**

5 მარტს, ორშაბათს, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მისი ყოვლადუსამღვდელოესობის ქალკელონის მიტროპოლიტის ბართლომესა და პროფესორ სტაურიდიის თანხლებით პრინცთა კუნძულებზე გაემგზავრა. ეს კუნძულები სულ ერთი

საათის სავალზეა სტამბოლიდან /12 მილი/. ისინი მწვანე პირამიდებით ამოზრდილან მეტისმეტად მშვიდ მარმარილოს ზღვაში. საოცრად ლამაზი კუნძულებია, მწვანეში ჩაფლული, სუფთა ჰაერით, ლამაზი სახლებით და უამრავი ყვავილებით. გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ კუნძულის არც ერთ მცხოვრებს არა აქვს უფლება იყოლიოს მანქანა. კუნძულზე, როგორც გვითხრეს, სულ ორი მანქანაა, ერთი ნაგვისა, რომელიც კუნძულს ასუფთავებს და მეორე - საზღვაო სასწავლებლისა. კუნძულზე მხოლოდ ფაეტონები და ეტლები დადიან, მაგრამ ვერსად ნახავთ ცხენების მიერ დასვრილ ქუჩებს. ცხენებს სპეციალური ჩანთები უკეთიათ, სადაც ნაკელი გროვდება და არ აჭუჭყიანებს კუნძულს.

პრინცთა კუნძულები და მათზე არსებული ეკლესია-მონასტრები სულის განსასვენებელი და თავშესაფარი იყო ზიზანტიის საიმპერატორო კარზე მომხდარი ინტრიგებისა და დევნილი უფლისწულებისა და დედოფლებისათვის. ამ კუნძულებზე მიდიოდნენ საკუთარი ნებითაც და უმეტესწილად - ძალით. ეს მშვენიერი, სამოთხისავით ლამაზი კუნძულები გადასახლების ადგილი იყო.

ხალკის კუნძულზე, მთის მწვერვალზე არის ხალკის ცნობილი საღვთისმეტყველო აკადემია. იგი დაარსდა 1844 წელს, დიდი ტრადიციებისა და სულიერების ცენტრი იყო. მასში არა ერთი და ორი დიდი ღვთისმეტყველი აღიზარდა.

გვინდა იცოდეს ქართველმა მკითხველმა, რომ თვით მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I და საქართველოს ეკლესიის დიდი მკვლარი და მოყვარული, აწ განსვენებული ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI ამ საღვთისმეტყველო სკოლის კურსდამთავრებულნი არიან.

ახლა კი დუმს ხალკის აკადემიის ბარი. ჩაკეტილია აუდიტორიები, ცარიელია ეს უზარმაზარი, სამსართულიანი შენობა. სუფთად და ლამაზად ალაგია სამკითხველო დარბაზებში უნიკალური, ძველი, მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო წიგნები. როგორც ჩანს, მზრუნველობას არ აკლებენ მათ წმიდა სამების მონასტრის ბერები /სულ სამი ბერია/, მაგრამ მთავარი ხომ ეგ არ არის. მოწაფენი და მასწავლებლები აღარ არიან ამ აკადემიაში, რომ ამ წიგნებში არსებულ სიბრძნეს დაეუფლონ, რომ მართლმადიდებლობის მომავალი ააღორძინონ.

ზარს ჩამოჰკრეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა და ქუთათელ-გაენათელმა მთავარეპისკოპოსმა კალისტრატემ. დალოცა და აკადემიას კვლავ ამოქმედება და განახლება უსურვა

მისმა უწმიდესობამ ილია II-მ.

აქ მონასტრისა და აკადემიის მიდამოებში ატარებს ბაფხულის ცხელ დღეებს მისი ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I. პრინცთა კუნძულის პირველ კუნძულზე - პროტოსზე კი სპეციალური სამაფხულო დასასვენებელი საბავშვო ბანაკია. მისი ყოვლადუწმიდესობის დიმიტრიოს I მზრუნველობითა და ლოცვა-კურთხევით ატარებენ აქ ბაფხულს ხელმოკლე და უღელმამო ბავშვები.

სამშაბათს, 6 მარტს, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პერგის მიტროპოლიტის ევანგელოსის, პროფესორების: სტავრიდისის და რაიჩანოფსკის თანხლებით ქალაქ ნიკეაში გაემგზავრა /ამ ქალაქს დღეს იზნიკი ჰქვია/. ეს ის ქალაქია, სადაც 325 წელს ჩატარდა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, ხოლო 869 წელს - მეშვიდე. აქ შემორჩენილია საძირკველი იმ სასახლისა, სადაც I მსოფლიო კრება ჩატარდა, და აია სოფიის ეკლესიის ნანგრევები, სადაც VII კრება ჩატარდა. საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ჩატარა მცირე ლოცვა ამ ადგილებზე და წარმოთქვეს მრწამსი. როგორც ცნობილია, სწორედ ამ VII საეკლესიო კრებაზე იქნა შემუშავებული და საბოლოოდ დადგენილი იგი.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, აია სოფიას ამ ეკლესიის ეკედერში არის სარკოფაგი არიოზისა, იმ არიოზისა, რომელმაც მწვალებლურ მიმდინარეობას დაუდო სათავე.

ნიკეა ტბის პირასაა განლაგებული. იგი ოთხივე მხრიდან შიდა და გარე კედლებით იყო შემოზღუდული. სამხრეთი კედლის ერთ-ერთი მხარე და კოშკი ახლა დანგრეულია და იქ მთავარი სამამქანო გზა გადის. ოთხივე კოშკი რომელიმე წმინდანის სახელს ატარებდა და მასში მცირე ეკლესია იყო მოწყობილი. ერთმანეთში ირევა ანტიკური და ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ნიმუშები...

ნიკეაში ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს. შენარჩუნებული აქვთ ენა. ისინი საუბრობენ აჭარულ დიალექტზე. ენა იცის როგორც ასაკოვანმა ხალხმა, ისე პატარა ბავშვებმაც. როგორც ჩანს, ოჯახში ქართულ ენაზე მეტყველებენ. იმწამსვე შემოგვებვივნენ როგორც კი გაიგეს, რომ ქართველები ვართ. ერთი წუთითაც არ შეაყოვნა ისინი იმან, რომ ანაფორებში იყვნენ სასულიერო პირნი შემოსილნი. მოდიოდნენ, გვესალმებოდნენ, დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ უწმიდეს ილია II.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევა მიხდა მოლიგონო. დელეგაციისათვის სრულიად უცნობი იყო ქარაველების ყოფნა ნიკეაში და ამიტომ ცოტა

მოუმზადებლები ჩავედით ამ ქალაქში. ერთი სიტყვით, საჩუქრები არ გვქონდა თან წადებული. უწმიდესმა ილია II წმიდა ნინოს მედალიონები და წმიდა გიორგის ხატები დაურიგა გარშემოხვეულ იქაურ ქართველებს. საკმაოდ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი მომიბრუნდა და მითხრა:

- იქნებ უთხრათ პატრიარქს, რომ ნულა არიგებს ხატებს და მედალიონებს. ესენი ხომ მუსულმანები არიან, ვინ იცის როგორ მოექცვიან ამ სიწმიდეთ?

ვიღრე მე მიტროპოლიტის ნათქვამს გადაცემი პატრიარქს, უცებ მომესმა:

- მაგას არ მისცე, ეგ ჩვენებური არაა, - ეუბნებოდა ერთი ახალგაზრდა პატრიარქს და ხელიდან გამოსტაცა ხატი მის გვერდით მყოფს.

- კი მაგრამ, შენ იცი ეს რა არის, იცი როგორ უნდა გაუფრთხილდე მას? - ვკითხე მე და ვიღრე სათქმელს გავაგრძელებდი პასუხიც მივიღე:

- ეს სამშობლოა! ლამაზი საქართველოა! უმეტესწილად მამაკაცები იყვნენ იქ თავმოყრილნი და სათუთად ინახავდნენ წმიდა გიორგის ხატებს გულის ჭიბეში.

ალარაფერი მითქვამს პატრიარქისთვის. ისევ ბერძენ მიტროპოლიტს მივუბრუნდი და იმ ახალგაზრდის პასუხი ვუთხარი. მიტროპოლიტმა ცრემლები მოიწმინდა და მითხრა:

- ახლა კი ვხვდები, რატომაც გვესებათ ცრემლებით თვალები ყოველი ქართველის დანახვაზე.

მეტად აღელვებულებმა დავტოვეთ ნიკეა. საოცარი სითბოთი და სიყვარულით აივსო იქაურობა მაშინვე. არ გვეთმობოდნენ ჩვენი თანამოძმეები ასე ადვილად. ვეპატიჟებოდით საქართველოში, ისინი კი კვლავ ნიკეაში გვიხმობდნენ.

- ისე მიდიხართ პური ერთად არ ვჭამოთ? - ისმოდა აქეთ-იქიდან.

- შევრცხვით, პური ერთად არ გვიჭამია, - მოგვახბოდნენ უკვე მანქანაში ჩამსხდრებს და ვგრძნობდით ყელში რაღაც მშრალი ბურთი გაგჩხეროდა ჩვენც და იმათაც. კიდევ კარგი დაიძრა მანქანა, თორემ საუკუნედ იქცა ეს გაუსაძლისი წამები.

ხუთშაბათს, 8 მარტს დილით ადრე ქართული კათოლიკური მონასტრისაკენ გავემართეთ. პატარა, ლამაზი, მაგრამ მოუსაფარია დღეს ეს მონასტერი. ჩვენ როცა მივედით, წირვა დასასრულს უახლოვდებოდა. სულ ორიოდე ქალი შეადგენდა მის მრევლს. პადრე კი ხალესიანგლთა ორდენის

წარმომადგენელი, იტალიის ქალაქ ბარის მკვიდრი აგოსტინო შურიანო გახლავთ. 1956 წლიდან სტამბოლში იმყოფება. მანამდე კი 18 წელი ეგვიპტეში უღვაწია. იცნობდა პირადად ერთ-ერთ უკანასკნელ ქართველ მოძღვარს ამ ეკლესიისა პეტრე ტატალაშვილს /1956-61/. იგი წმინდანი კაცი იყო - გვითხრა პადრე აგოსტინომ.

ტაძარი საკმაოდ მოუვლელია. მტვერი სჭამს მონასტრის მიმდებარე კელიებსა და ოთახებს. ერთ-ერთ ოთახში პატარა ზიზლიოთუკის მაგვარია, თაროზე მტვერიანი წიგნებია დაწყობილი. მეორეში სურათებია გამოფენილი: იქ მოღვაწე მამანი, მათი მოწაფენი...

"მარიამ ღვთისმშობელი იბერიის მოციქულთა მეთხუთსეუდ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა" - ვკითხულობთ ტაძარში. ტაძრის შესასვლელ კარებთან, ხელმარჯვნივ, აქ მოღვაწე სასულიერო პირთა სიაა:

- ფ.რ.პ.მ. პეტრე ხარისჭირაშვილი 1890-1892
- მ. სტეფანე გიორგაძე 1892-1898
- მ. ალფონსი ხითარიშვილი 1898-1905
- მ. ბენედიქტე ვარდიძე 1905-1912
- მ. პიობალიძე 1912-1921; 1942-1956
- მ. შიო ბითძანიშვილი 1912-1937
- მ. პეტრე ტატალაშვილი 1956-1961
- 1966 წელი. მაისი
- პავლე ზაზაძე თავმჯდომარე
- პავლე აკობაშვილი გამგე საგანისა

მაისის თვეში ამ ტაძარში ყოფილა როზარიოს /ფსკენილის/ ანუ განუწყვეტელი ლოცვის დღესასწაული. მაშინ კი, თურმე მთელი მაისის თვის განმავლობაში, სავსეა ტაძარიც და მისი შემოგარენიც. საღამოს ექვსი საათიდან იწყება ლოცვა. აქ მოდიან ქრისტიანებიც, მუსულმანებიც და სხვა აღმსარებლობის ადამიანები, ღვთისმშობელი დედა ყველას მოუხმობს, ყველას აერთიანებს სიყვარულით.

ამ ტაძრიდან ცხოველმყოფელი წყაროს მონასტერში მივედით. თაყვანი ვეცით ცხოველმყოფელი წყაროს სასწაულმოქმედ ხატს და დავეწაფეთ თვით ამ წყაროს, რომელიც მონასტრის საძირკველში ცოცხლობს ჭურ კიდევ. აქვე, მის შემოგარენში, არის კონსტანტინოპოლის ეკლესიის პატრიარქთა და დიდთა მეცენატთა საძვალე.

მონასტრის ეზო საფლავიდან აღებული ლოდებითაა მოპირკეთებული. თურქებს, ფულის დაზოგვის მიზნით, საფლავიდან აუღიათ ლოდები, მათზე გამოსახული ჭვრები აუთლიათ, ხოლო წარწერები ჭურ კიდევ იკითხება. ჩვენმა თანმხლებმა პროფესორმა გვითხრა, თითქოს იქ ქართული საფლავის ლოდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

ამავე დღეს, დღის მეორე ნახევარში მისი უწმიდესობა და უნეტარესობა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია სტამბოლის მერის მოადგილეს. შეხვედრამ ძალზედ თბილ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ჩაიარა. საოცარია, სტამბოლში, სადაც არ უნდა მიხვიდე, აუცილებლად "გურჯს" ე.ი. ქართველს გადაეყრები. თუ სრულად ქართველი არაა, მაშინ, ან დელითაა ქართველი, ან ბებიით, და ა.შ. ნიკეისაგან განსხვავებით სტამბოლში ბევრმა არ იცის ქართული ენა. მხოლოდ ის იცის, რომ "გურჯია". ასევე მოხდა სტამბოლის მერის რეზიდენციაშიც.

9 მარტს დასრულდა საქართველოს ეკლესიის ვიზიტი მსოფლიო საპატრიარქოში. უკანასკნელად ვეწვიეთ მსოფლიო საპატრიარქო რეზიდენციას. ისევ მისი ყოვლადუწმიდესობის გულთბილი შეხვედრები, ისევ საუკეთესო სურვილები...

დელეგაცია აეროპორტში გამოაცილა მისმა მალაწყოვლადუსამღვლელესობამ ქალკელონის მიტროპოლიტმა ბართლომემ, პერგის მიტროპოლიტმა ევანგელოსმა, კოლონიის მიტროპოლიტმა გაბრიელმა, წმიდა სინოდის მდივანმა მელიტონმა, პროფესორმა სტავრიდისმა.

გამარჯვებული, სიხარულით აღვსილი ბრუნდებოდა დელეგაცია სამშობლოში. მოგვქონდა გამარჯვების საბუთები, რომლებსაც ასე ეწოდა მთელი ქართველი ერი. სიხარული გაგვიორმაგდა, რადგან ვიგრძენით, რომ სტამბოლელი ქართველებიც იზიარებდნენ ჩვენს სიხარულს და ეამაყებოდნენ კიდეც ეს ფაქტი.

- ბაზაჲ მიდის, ბაზაჲ მიდის, ისევ ობლებად დავრჩით, - ყურში ჩაგვესმის სტამბოლელი ქართველი ქალის სიტყვები, გამომშვიდობებისას რომ მიმართავდა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II. და მაგონდება ქართული ანდაზა: "სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო". მართლაც რომ ასეა.

სამართლებრივი პარამეტრების კვლევის აკადემიური ცენტრი  
პარამეტრების კვლევითი უბანი

**“ფერატი-ფლორენსის მსოფლიო საეკლესიო კრება (1437-1439 წწ.)”\***

“პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: პერაკლის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი - ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი - მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი - იბერიის მიტროპოლიტი...”

ო. ტაბალუა, “საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში”, ტ. I, თბ., 1984, გვ. 214, ლათინური ტექსტი, იქვე, გვ. 280.

“ჩვენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათა ზეგარდმო მოსულთა უბიწოთა დედისა მისისა ხელითა შეთელილისა კუართისა საუფლოსა მიერ სუეტიცხოვლის მუქქესე პატრიარქი და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკობი ნიკოლოზ, ვამტკიცებ და წარუწერ...”

1260 წელს ქართველთა პატრიარქის ნიკოლოზ IV-ის /1247-1282/ მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის მიერ გაცემული დოკუმენტიდან.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 155, დოკ. N3.

1. 1020/1033 წლების კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკის მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ზოძებული შეწირულების საბუთი:

“... ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკობ-პატრიარქმან მელქისედეკ...”

ო. დოლიძე, “ქართული სამართლის ძეგლები”, ტ. III

2. XI ს-ის “ქართლის ცხოვრება” კათოლიკოს-პატრიარქ ოქროპირის და კათოლიკოს-პატრიარქ გიორგი ტაოელის შესახებ:

“გარდაიცვალა კათალიკოს-პატრიარქი ოქროპირ და დაჯდა გიორგი ტაოელი”.

“ქართლის ცხოვრება”, ტ. I, გვ. 296-313.

3. XI ს. “ქართლის ცხოვრება” კათოლიკოს-პატრიარქ გაბრიელ საფარელის შესახებ:

“გარდაიცვალა გიორგი ტაოელი და დაჯდა კათალიკოს-პატრიარქად გაბრიელ”.

ქართლის ცხოვრება”, ტ. I, გვ. 313.

4. რომის პაპის ინოკენტი IV-ის /1243-1254/ წერილი (1245) ქართველთა პატრიარქისადმი,

არსენისადმი /1244-1248/:

"ქართველთა პატრიარქს, რათა იგი დაუბრუნდეს ერთიან ეკლესიას... მოგიკითხავთ თქვენ მუდმივი სიყვარულით".

ო. ტაბალუა, "საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში", თბ., 1984, გვ. 88, დოკ. N2

5. რომის პაპის ნიკოლოზ VI /1288-1292/ მიერ საქართველოს ეკლესიის პატრიარქის აბრაამ I-ისადმი 1289 წ. 9 ივლისს გამოგზავნილი წერილი:

"პატიოსან ძმას, ქართველთა პატრიარქს, შშვილობა და მოციქულებრივი კურთხევა..."

მ. თამარაშვილი, "ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის", თბ., 1912, გვ. 19-20 დოკ. N4.

6. 1310 წლის დოკუმენტი კათოლიკოს-პატრიარქ ექვთიმეს შესახებ:

"ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექუთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოსო და მურიტგან გარდმოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი..."

კ. კაკელიძე, "ეტიუდები", ტ. III, გვ. 314.

7. 1454 წელი - კათოლიკოს-პატრიარქ დავით III /1443/47-1459/ დოკუმენტი:

"სახელითა ღმრთისათა... ესე... წიგნი და სიგელი კულუხის დაკვეთილობისა დაგიწერეთ, გიბოძეთ და მოგეცით... ჩუენ ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა პატრიარქმან კათალიკომმან დავით თქუენ დიდთა და მცირეთა ჭუარის მსახლობელთა".

ს. კაკაბაძე, "ისტორიული საბუთები", ტ. III, თბ., 1913, გვ. 33, დოკ. N7.

8. კათოლიკოს-პატრიარქ მალაქიას სიგელი, შედგენილი 1532 წელს:

"... ჩვენ, ქრისტეს მიერ ქართლისა პატრიარქმან მალაქია მას ფამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ-პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა."

ო. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, თბ., 1970, გვ. 254.

9. 1516-1536 წწ. სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ ბასილისა: "...კურთხეულმა ქართლისა კათალიკომ-პატრიარქმან ბასილი ესე წყალობის წყალებისა სამკუიდრო წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ თქუენ..."

ო. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, თბ., 1970, გვ. 256.

10. 1542 წ. სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ თეოდოსისა:

"კურთხეულმან ქართლის კათალიკომ-პატრიარქმან თეოდოსი ესე უკუნისამდე... მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ..."

ო. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, თბ., 1970, გვ. 259.

11. 1556 წ. სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ დომენტისა:

"ესე უკუნისამდის გასათავებელი წიგნი მოგახსენე მე, მტბევარმა სახა, თქუენ... ქართლის კათალიკოზ-პატრიარქსა დომენტის..." ეს კათალიკოზ-პატრიარქი იხსენიება 1559, 1560 წლების სიგელებშიც.

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, თბ., 1970, გვ. 262.

12. 1562 წლის სიგელი კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზისა:

"... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქსან ნიკოლოზ ესე მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგიზოდეთ..." ეს კათალიკოზ-პატრიარქი იხსენიება 1562-1565 წ. სიგელებშიც.

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, თბ., 1970, გვ. 270-272.

13. ერისთავ ვამეხ შაბურისძის 1565 წ. საბუთი კათალიკოს-პატრიარქ მარკობისადმი გაგზავნილი:

"თქუენ... მცხეთისა საყდარსა და სუეტსა ცხოველსა და მათსა მპყრობელსა... ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა მღვდელთმოდღუართმთავარსა პატრიარქსა პატრონსა კათალიკოზსა მარკოზს..."

ს. კაკაბაძე, "ისტორიული საბუთები", წ. II, თბ., 1913, გვ. 7, დოკ. N10.

14. რომის პაპის კლიმენტი VIII /1592-1605/-ის წერილი ქართველთა კათალიკოს-პატრიარქის დემეტრეს მიმართ (ეს წერილი დათარიღებულია 1598 წლის 1 აპრილით):

"ფრიად პატივცემულსა ძმასა ჩემსა დემეტრეს, ქართლის და იბერიის და მცხეთის პატრიარქს".

Archivio sereto Vaticano. Armorum XLIV  
vol.42, pag. 101-103. იხ. დოკ. N13.

15. 1627 წლის სიგელი კათალიკოს-პატრიარქ ზაქარიასი:

"...ქართლისა კათალიკოზსან-პატრიარქსან პატრონსან ზაქარია ესე წყალობისა და ნებართვის წიგნი და სიგელი გიზოდეთ თქუენ..." (ეს პატრიარქი იხსენიება 1623-1630 წ. სიგელებშიც).

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, გვ. 487.

16. 1630 წლის 31 აგვისტოს რომის "პროპაგანდა დე ფიდეს" წერილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი:

"საქართველოს პატრიარქს ... პაპმა განსაკუთრებულის წერილით და კარდინალესმა ამ წიგნით პატივი გცეს და გამოუთქმელი მადლობა მოგახსენეს..."

მ. თამარაშვილი, "ისტორია კათალიკოზისა ქართველთა შორის", თბ., 1932, გვ. 622, დოკ. N16.

17. 1648 წ. სიგელი კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორესი:

"ქართლისა კათალიკოზსან, პატრიარქსან პატრონსან ქრისტეფორე... წყალობისა წიგნი და სიგელი გიზოდეთ შენ..." (იხსენიება 1649 წლის სიგელებშიც).

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, გვ. 513-514.

18. 1705 წ. სიგელი კათალიკოს-პატრიარქ დომენტისა:

"...კათალიკოზ-პატრიარქსა დომენტის ღმერთმან შეუნდოს!.." (პატრიარქი დომენტი იხსენიება 1706, 1710, 1715, 1727 წლების სიგელებში).

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III,  
გვ. 642, 644, 664, 697, 713.

19. 1737 წლის წერილში მიწერილი კათოლიკოს-პატრიარქ დომენტის მიერ იმპერატრიცა ანასადმი:  
"... ასულს დიდისა ხელმწიფისა იოვანესო, თვითმპყრობელი უფალო, უფალო ანნა... კათალიკოს-  
პატრიარქი დომენტი..."

**Переписка Грузинских царей с российскими государями от 1659 г. до 1770 г.  
М. Бюссе. С/Петербург, 1861, стр.218-219. იხ. დოკ. N24.**

20. 1711 წლის "პროპაგანდა დე ფიდეს" წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი:  
"ბატონს საქართველოს პატრიარქს, 24 იანვარი 1711 წ. პაპს დიდად სათნო ეყო თქვენი დიდებულების  
წიგნი..."

**მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.**

21. 1743 წლის სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-სა:  
"... სრულიად საქართველოს პატრიარქი და მიტროპოლიტი-ალავერდელი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი  
ვამტკიცებ ამ... სიგელსა". (იხსენიება 1747, 1749, 1751, 1754, 1755-1788 წლებში).

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III,  
გვ. 773-დან 946-მდე.

22. 1742-1769 წლების სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ ბესარიონისა:  
"... რაჭის ერისთავის ძემან კათალიკოზ-პატრიარქმან ეფალმან, ბატონმან ბესარიონ შემოგწირეთ კნინი  
ესე შესაწირავი..."

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, გვ. 880.

23. 1788 წლის სიგელი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-სა:  
"ქ. ყოვლისა საქართველოს პატრიარქი და ალავერდელი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი მოგიწერ..."  
(კათალიკოზ-პატრიარქი ანტონ II იხსენიება 1789, 1790-1810 წლების სიგელებშიც).

ი. დოლიძე, "ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III,  
გვ. 974-დან 1111-მდე.



უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1982 წლის 3 ივნისს ოფიციალური წერილით მიმართა მის ყოვლადუწმიდესობას მთავარეპისკოპოსს კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქს დიმიტრიოს I.

წერილი ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო წოდებას და საქართველოს ეკლესიის ადგილს მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიქში. ამ წერილის ასლები დაუგზავნა აგრეთვე, მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა მამამთავრებს. გთავაზობთ რამოდენიმე გამომხაურებას ამ წერილზე.

**უნეტარესო მთავარეპისკოპოსო მცხეთისა და თბილისისა და კათოლიკოსო სრულიად იბერიისა, ქრისტე ღმერთში ძალზე საყვარელო და სასურველო ძმად და თანამწირველო ჩვენი უმდაბლესობისა, უფალო ილია, თქვენს ღირსეულ უნეტარესობას ძმურად უფლის მიერ ვეამზობრებით და სიხარულით მივესალმებით**

მივიღეთ და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით, ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე, ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და თქვენი წმიდა სინოდის ძმურ წერილს /N244-I 3 ივლისით დათარიღებული/, რომელიც შეეხება წმიდა დიპტიქში თქვენი წმიდა ეკლესიის ადგილს, ისტორიული და კანონიერი მონაცემებით.

მოგმართავთ პასუხით და მადლობას მოვახსენებთ თქვენს უნეტარესობას ამ წერილისათვის. გაცნობებთ, რომ სინოდის გადაწყვეტილებით ეს დოკუმენტები გადაეგზავნა ჩვენი სინოდის შესაბამის კომპეტენტურ საბჭოს.

კვლავ ვეამზობრებით თქვენს უნეტარესობას ძმური ამბორით, ვრჩებით უფლისმიერი ღიდი სიყვარულით და შესაფერისი პატივისცემით.

1982 წ. აგვისტოს 17.

**თქვენი უნეტარესობის ქრისტესმიერი ძმა მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი**

**ქაირო, 6 დეკემბერი, 1982**  
**უნეტარეს მთავარეპისკოპოსს მცხეთისა, თბილისის მიტროპოლიტს და კათოლიკოს-პატრიარქს სრულიად იბერიისა**  
**უფალო ილიას**  
**თბილისი**

უნეტარესო წმიდაო ძმაო!

იმისათვის რომ საქმის კურსში იყვეთ, თქვენს საყვარელ უნეტარესობას ვუგზავნი N132 და 493 დოკუმენტების ფოტოასლს, რომლებიც ეხება ჩვენთვის ცნობილ საკამათო საკითხებს.

გისურვებთ, რომ უფალმა გაგაძლიეროთ თქვენს მისწრაფებაში.

ჩვენ მუდამ თქვენს გვერდით ვიმყოფებით.

საქმის წარმატებით დასრულების მოლოდინში, გემშვიდობებით ღიდი სიყვარულით.

**ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი**

**მცხეთა-თბილისის უნეტარესო მთავარეპისკოპოსო, კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად**

**იბერიისა, ქრისტეს ღმერთში ძალზე საყვარელო და სასურველო ძმად და თანამწირველო ჩვენი უმდაბლესობისა, უფალო ილია, თქვენს უნეტარესობას ძმურად ვეამბოროებით და სიხარულით მივესალმებით**

სიხარულით მივიღეთ თქვენი ძვირფასი წერილები, რომლითაც მოგვმართეთ ჩვენ და მსოფლიო პატრიარქს ბატონ დიმიტრიოსს, მის მღვდელმთავართა წმიდა სინოდს და რომლითაც მიმართეთ, აგრეთვე, სხვა მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიებს.

ყურადღებით გავეცანით ყოველივე იმას, რასაც წყაროებიდან გვაწვდით ჩვენი თვალთახედვის გასამყარებლად საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალიის დადგენის თარიღის შესახებ. ავლნიშნეთ, რომ თქვენ ზრუნავთ იმისთვის, რომ დიპტიქებში დაცული იქნას სინოდური აღიარებისას ჩამოყალიბებული საყოველთაო პანორთოდოქსალური შეგნება და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მსოფლიო საპატრიარქო, როგორც თქვენ აღნიშნავთ, საკამათო საკითხად ხდის საქართველოს უწმიდესი ეკლესიის ავტოკეფალიას.

ჩვენ მივღეთ იმ რიგს, რასაც ჩვენი წინარე, აწგანსვენებული პატრიარქი ქრისტეფორე აღიარებდა და მოგიხსენებთ დიპტიქში რუსეთის უწმიდესი ეკლესიის პატრიარქის შემდეგ.

ვინაიდან არასწორად მიგვაჩნია ამ საკითხის დაყენება, რამეთუ იგი გააცივებს ძმათა შორის სიყვარულს, ამიტომ წერილი მივწერეთ მის ყოვლადუწმიდესობას მსოფლიო პატრიარქს ბატონ დიმიტრიოსს. გვწამს, რომ მსოფლიო კრებების კანონთა თანახმად უპირატესობის პატივის მქონე, უძველესი სამოციქულო და საპატრიარქო ტახტი კონსტანტინეპოლის ეკლესიისა მოაშუშებს თქვენს გულისტკივილს და სიყვარულის დასტურად, პანორთოდოქსალურ ეკლესიურ სინდისს წარმართავს ისე, რომ მყარად დადგინდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის, "რათა ერთსულ და ერთ ზრახვა იყვენით" /ფილ. 2,2-3/. მოწამეობას ჩვენი უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიისა ვაძარებთ "ქრისტეს სხეულს" ქვეყანასა ზედა დევნილს და ვნებულს ურთიერთგაუგებრობის გამო.

თქვენ, ძალზე საყვარელო და სასურველო ძმად და თანამწირველო, თქვენს წმიდა ძმებთან ერთად, წმიდა სინოდთან, სამღვდლოებასთან და მორწმუნე ხალხთან ერთად იმოქმედეთ მოთმინებით და სიყვარულით და ყოველივე აკეთეთ სადიდებლად ღვთისა, ჩვენი წმიდა ეკლესიებისა და ჩვენი უბიწო რწმენისათვის.

წმიდა გულით და გულწრფელი ძმური გრძნობით მოგმართავთ თქვენთ უნეტარესობავ, გეამბოროებით და ვრჩები

თქვენი ღირსეული უნეტარესობის საყვარელი ძმა და თქვენი სამსახურისათვის მუდამ მზადყოფი.

ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი ათენი, 8 სექტემბერი, 1982 წელი.

**ყოვლად უნეტარესო მთავარეპისკოპოსო კონსტანტინეპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქო, ქრისტეს მიერ საყვარელო და სასურველო ძმად და თანამწირველო ჩვენი უმდაბლესობისა, უფალო დიმიტრიოს, თქვენს ღირსეულ უნეტარესობას ძმურად ვეამბოროებით და ზესრული სიხარულით მივესალმებით**

ქრისტეს მიერ საყვარელმა ძმამ და თანამწირველმა სრულიად საქართველოს კათოლიკოსმა, ბატონმა ილია II, მიმდინარე წლის 3 ივლისს მოგვწერა წერილი და გამოგვიგზავნა, აგრეთვე, იგივე რიცხვით დათარიღებული თქვენი ყოვლადუწმიდესობისადმი მიმართული თავისი წერილის ასლი, რომელიც შეეხება საქართველოს უწმიდესი ეკლესიის ავტოკეფალიის და საპატრიარქო ტიტულის საკითხს. იგი იშველიებს წყაროებს და ეხება ამ საკითხის ისტორიულ საფუძვლებს.

გაცნობებთ, რომ აწგანსვენებული პატრიარქი ქრისტეფორე, თანახმად სინოდის გადაწყვეტილებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა პანორთოდოქსალური აზრი იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, სრულიად საქართველოს კათოლიკოსს მოიხსენებდა დიპტიქში რუსეთის უწმიდესი ეკლესიის პატრიარქის შემდეგ.

ღვთის წმიდა ეკლესიების წესის თანახმად, ყურადღებით მივუდექით ქრისტეს მიერ საყვარელი ძმის სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ილია II ძვირფასი წერილებს და ვწერთ რა თქვენს ღირსეულ ყოვლადუწმიდესობას, გამოვთქვამთ ჩვენს შიშს იმის შესახებ, რომ იბერიის წმიდა ეკლესიის ავტოკეფალიის

საკითხის დაყენება გამოიწვევს უთანხმოებებს როგორც დიორთოდოქსალურ, ასევე დიაქრისტიანულ შუკრებებზე, რაც გამოვლინდება სიტყვის სიმწარით ან საერთო უარის თქმით "ერთსულოვნებაზე" დიალოგებში, რომლებსაც ვიწვევთ დიორთოდოქსალური, თუ დიაქრისტიანული საკითხების ასახსნელად და განსახორციელებლად.

ამრიგად, ჩვენი სურვილია, ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო გადაწყვეტილება მივიღოთ მსოფლიო საპატრიარქოსაგან, რამეთუ გვინდა ვირწმუნოთ, რომ არა მარტო გააქარწყლებთ და მოხსნით ყველა გულსტაკივილსა და ბზარს ძმათა სიყვარულში, არამედ კანონიერად, პანორთოდოქსალურ საეკლესიო სინოდის წარმართავთ ახალი სიყვარულის ქმედებისაკენ, ისე რომ, კამათის გარეშე ჩადგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, გარეშე ყოველგვარი ტენდენციურობისა და ყოველგვარი გარემოებებისა.

ერთსულოვნებით, ერთიანობით და სიყვარულის კავშირით, ვილოცოთ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ჩვენს დროშიც და მარად. მოწამეობას ჩვენი უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიისა, ვადარებთ "ქრისტეს სხეულს" ქვეყანასა ზედა დევნილსა და ურთიერთგაუგებრობის გამო ვნებულს.

ყოველივე ამას სიყვარულითა და სუფთა სინდისით ვაუწყებთ თქვენს ღირსეულ ყოვლადუწმიდესობას, კვლავაც გეამბორებით და ვრჩებით.

თქვენი ღირსეული უნეტარესობის ქრისტეს მიერ საყვარელი ძმა და თქვენი სამსახურისათვის მუდამ მზადმყოფი

ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი  
1 სექტემბერი, 1982 წ., ათენი.

**მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უფალ ილიას, ქრისტეს მიერ საყვარელ ძმას და თანამწირველს ჩვენი უმდაბლესობისა, იესო ქრისტესმიერი ამბოროი**

ძმური სიყვარულით მივიღეთ 3 ივლისით დათარიღებული ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უნეტარესობის N254-4 წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ - გვიჩვენებს უძველესი დროითგანვე დადგენილ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის. გვიგზავნით აგრეთვე მისი ყოვლადუნეტარესობის ბატონ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილი წერილის ასლს და გამოთქვამთ დაბეჭდილებულ აზრს, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამეობრივმა, მაგრამ, ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს მისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქში.

გპასუხობთ სიყვარულით და გაცნობებით, რომ ყურადღებით და ძმური სიყვარულით გავეცანით თქვენს ძვირფას წერილებს თავად ჩვენ და ასევე ჩვენი წმიდა სინოდის სხდომაზე და ვგრძნობთ ამ საკითხის მთელს სერიოზულობას და მისი დეტალური შესწავლის აუცილებლობას მთელი ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ. გადავწყვიტეთ შესწავლილ იქნეს საქართველოს ეკლესიის საკითხი, ხოლო დიპტიქის საკითხი მივანდოთ მომავალ პანორთოდოქსალურ კონფერენციას.

დიდი სურვილით გეამბორებით და გისურვებთ, რომ უფალმა დიემრთმა კეთილად ჩაუნერგოს დიდი და წმიდა სინოდის მონაწილეებს ამ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა.

გეამბორებით უფლისმიერი ძმური გრძნობით და ვრჩები ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უნეტარესობის ქრისტესმიერი ძმა და თქვენი სამსახურისათვის მუდამ მზადმყოფი

იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროსი  
წმიდა ქალაქი იერუსალიმი, 1 სექტემბერი, 1982 წ.

**მცხეთის უნეტარესო და უწმიდესო მთავარეპისკოპოსო, თბილისის მიტროპოლიტო და კათოლიკოსო სრულიად საქართველოსა, ქრისტე ღმერთში ძალზე საყვარელო ძმად და თანამწირველო ჩვენი უმდაბლესობისა, უფალო ილია, თქვენს უნეტარესობას უფლის მიერ ვეამბოროებით და მივესალმებით**

თქვენი წერილის პასუხად, რიშელიც შეეხება საქართველოს ეკლესიის ადგილს ელლადის ეკლესიის მიერ გამოცემულ კალენდარში, სინოდის გადაწყვეტილებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ კალენდარში ადგილი დაცულია მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მიღებული რიგის მიხედვით.

ჩვენი ცნობები საქართველოს წმიდა ეკლესიის შესახებ, შეძლებისდაგვარად აშუქებენ მის ცხოვრებას, მოღვაწეობას და ადმინისტრაციულ სტრუქტურას, და სხვა არავითარ მიზანს არ ემსახურებიან.

ვსარგებლობ შემთხვევით თქვენთან დაკავშირებისა და გთხოვთ მიიღოთ, უნეტარესო, გულწრფელი გრძნობები ღრმა სიყვარულისა პირადად ჩემგან და ასევე ჩემი წმიდა ეკლესიისაგან. გვწამს, რომ არავითარი მიზეზი და საბაზი არ გაახუნებს იმ ტრადიციულ ძმურ ურთიერთობებს, რომლებიც ჩვენს წმიდა ეკლესიებს შორის არსებობს.

გეამბოროებით კვლავ ქრისტესმიერი ძმური წმიდა ამბორით, მთელი გულით შევთხოვთ დამფუძნებელს ეკლესიისა, დაგიფაროთ და დაგიცვათ თქვენ ყველანი და საქართველოს ეკლესია ღვთის კურთხევით აღსავსე მრავალსა წელსა.

ქრისტესმიერ საყვარელი ძმა, მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელლადისა სერაფიმე.  
ათენი, 18 მარტი, 1981.

**თბილისის უნეტარესო მიტროპოლიტო და კათოლიკოსო სრულიად საქართველოსა, ჩვენთვის ძალზე საყვარელო და სასურველო ძმად და თანამწირველო, უფალო ილია, თქვენს უნეტარესობას ძმურად ვეამბოროებით უფლის მიერ და სიხარულით მივესალმებით**

ხელთა გვაქვს მიმდინარე თვის 3 რიცხვის თქვენი უნეტარესობის წერილი და ასლი .იმ წერილისა, რომლითაც მიმართეთ მის ყოვლადუწმიდესობას, მსოფლიო პატრიარქს ბატონ ღიმიტრიოსს, რომელიც ეხება თქვენი წმიდა ეკლესიის ავტოკეფალიას და მის კანონიერ ადგილს დიპტიქში.

მადლობას მოგახსენებთ თქვენს საყვარელ უნეტარესობას ამ წერილების გამოგზავნისათვის, რომლებიც საკმაოდ გვიშუქებს თქვენთვის მტკივნეულ საკითხებს. ვიმედოვნებთ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიათა მომავალი დიდი სინოდი შედგება და გაითვალისწინებს თქვენი უნეტარესობის მოთხოვნას და დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებას მისცემს საქართველოს ღირსეულ ეკლესიას.

კვლავ ვეამბოროებით თქვენს ღირსეულ უნეტარესობას და ვევედრებით უფალს, რომ მოგანიჭოთ ხანგრძლივი, ჭანმრთელობით სავსე სიცოცხლე.

თქვენი ღირსეული უნეტარესობის ქრისტესმიერი საყვარელი ძმა, კვიპროსის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი.

კვიპროსის წმ. საარქიეპისკოპოსო,  
1982 წლის 19 ივლისი.

**მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქსა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს**

თქვენო უწმიდესობავ,

უფლისმიერ საყვარელო უწმიდესო მეუფევე!

დიდი ყურადღებით გავეცანი თქვენს ეპისტოლეს მისი უწმიდესობის, კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსისა და მსოფლიო პატრიარქის, უწმიდეს დიმიტრიოს I-ის მიმართ.

ჩვენ ვიზიარებთ და მზარს ვუჭერთ თქვენს ენერგიულ საქმიანობას ძველი ქართული ეკლესიის

კანონიერი უფლებებისა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიპტიქში სათანადო ადგილის აღდგენასთან დაკავშირებით. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს ამის შესახებ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წევრებთან შეხვედრებზე.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, რათა აღსდგეს სამართლიანობა.

იმედი გვაქვს, მისი უწმიდესობა, უწმიდესი პატრიარქი დიმიტრიოს I და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდი მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან თქვენს ეპისტოლეს და მასში დაყენებული საკითხი დადებითად გადაწყდება.

გისურვებთ ღვთის წყალობას. უცვლელი ძმური ქრისტესმიერი სიყვარულით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი.  
29 სექტემბერი, 1982 წ. ქ. მოსკოვი.

**მის უწმიდესობასა და უნეტარესობას, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს თბილისი**

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

ნათლად გვახსოვს ჩვენი ამასწინანდელი საუბრები მართლმადიდებლურ დიპტიქებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ყოველი მართლმადიდებელი ეკლესია კანონიკური ურთიერთობისა და ერთიანობის ნიშნად თავის ღვთისმსახურებაზე შესაბამისი თანამიმდევრობით იხსენიებს მოძმე ეკლესიათა მღვდელმთავრებს. ამ საუბრების წყალობით დავადგინეთ, რომ ჩვენს მიერ რწმუნებული ორივე ეკლესია შკაცრად იცავს სამოციქულო სწავლების სიწმიდეს, რომლის მიხედვითაც ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების საპატრიარქო ტახტი და მისი წარმომადგენლები თანასწორუფლებიანია ლიტურგიკულ, საკრალურ და კანონიკურ მსახურებაში; ისინი არიან წევრები ერთიანი მართლმადიდებელი ოჯახისა, მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში, ამა თუ იმ ცენტრის აღორძინებასა და დაცემასთან დაკავშირებით, პატივისა და ღირსების შესაბამისად, განსხვავებულ ადგილს იკავებდნენ წარმომადგენლობისა და პირველობის პრეროგატივების მიხედვით. ეკლესიათა საპატრიარქო ტახტის რანგობრივი თანამიმდევრობის არასრულყოფილებისა და დროებითობის გათვალისწინებით, და ამასთან, მართლმადიდებლობის ერთიანობის წმიდად შენახვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს მართლმადიდებელ სამყაროში თითქმის ერთხმად მიღებულ ოფიციალურ დიპტიქს:

1. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო
2. ალექსანდრიის საპატრიარქო
3. ანტიოქიის საპატრიარქო
4. იერუსალიმის საპატრიარქო
5. მოსკოვის საპატრიარქო
6. საქართველოს საპატრიარქო
7. სერბეთის საპატრიარქო
8. რუმინეთის საპატრიარქო
9. ბულგარეთის საპატრიარქო
10. კვიპროსის საარქიეპისკოპოსო
11. ელადის საარქიეპისკოპოსო
12. პოლონეთის ავტოკეფალური ეკლესია
13. ჩეხოსლოვაკიის ავტოკეფალური ეკლესია
14. სინაჟის საარქიეპისკოპოსო
15. ამერიკის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული დიპტიქი მისაღებია თქვენთვის და აკმაყოფილებს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიას.

თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის ქრისტესმიერი ძმა, რომელიც სასოებს თქვენს წმიდა ლოცვებზე  
ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე

პრალა, 16 ივლისი, 1982 წ. N557/82.

მის უწმიდესობას, უწმიდესსა და უნეტარესს

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს  
თბილისი

თქვენო უწმიდესობავ,

უწმიდესო და უნეტარესო მწყემსმთავარო,

პატივი მაქვს თქვენს უწმიდესობას ვაუწყო, რომ მივიღე თქვენს მიერ კონსტანტინოპოლის უწმიდესი პატრიარქის დიმიტრიოს I-სადმი მიწერილ ეპისტოლეს და ახსნა-განმარტებითი წერილის ასლი (3 ივლისი, 1982 წ. N254-13), საქართველოს უძველესი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიერ უფლებათა დისკრიმინაციის შესახებ. არ არის გასაკვირი, რომ ფანარულნი ორჭოფულად უდგებიან ახალგაზრდა ეკლესიათა ავტოკეფალიის აღიარებას. მაგრამ ჭეშმარიტად გაუგებარია ის ეჭვი, რომელსაც ისინი საქართველოს ეკლესიისადმი ავლენენ.

თქვენო უწმიდესობავ, ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესია სრულიად იზიარებს თქვენს შეხედულებას და მხარს უჭერს იმ სამართლიან ისტორიულ ცნობებს, რომლითაც თქვენი უწმიდესობა ასაბუთებს, რომ საქართველოს ეკლესიამ უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი ღვთის უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში.

უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ჩემი მადლიერება იმ მოკითხვისა და გულთბილი სურვილებისათვის, რომლითაც ღირს მყავით წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. ნება მიბოძეთ, ჩვენი მღვდელმთავრებისა და პირადად ჩემი სახელით, ჩვენი სამწყსოს სახელით, თქვენს უწმიდესობასა და საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს მივმართო ლოცვისმიერი სურვილებით.

თქვენო უწმიდესობავ, გფარავდეთ ღვთის მოწყალება, მისი მადლით მოგენიჭოთ ჯანმრთელობა, მშვიდობა, სულის უშფოთველობა და ყოველგვარი კეთილდღეობა. დაე, დიდი შემწეობა გამოგიჩინოთ უფალმა მაღალ სამღვდელმთავრო საქმიანობაში, რომელსაც ღირსეულად უძღვებით. თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობას შესანიშნავი შედეგი მოაქვს მშვიდობის განმტკიცებისა და ქრისტიანთა ღვთაებრივი ომოფორიის ქვეშ დაახლოების საქმეში: "რომელმან განვლა ცანი, იესო, ძე ღმრთისაჲ" (ებრ. 4,14).

გთხოვთ, მომიხსენოთ თქვენს წმიდა ლოცვებში. უცვლელი შვილისმიერი სიყვარულით, თქვენი უწმიდესობისათვის ღვთისადმი მთელი სულითა და გულით მლოცველი, თქვენი ერთგული, უმდაბლესი ძმა და თანამწირველი.

პრალის მიტროპოლიტი  
ღორთიელი

ვარშავა, 20 აგვისტო, 1984 წ.

მის უწმიდესობას, უწმიდესს ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ, უფლისმიერ საყვარელო უწმიდესო მეუფეო!

პოლონეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრების სახელით და პირადად ჩემგან გთხოვთ, მიიღოთ ქრისტესმიერი მოკითხვა და ჩვენი გულითადი კეთილი სურვილები. უფალმა აკურთხოს საქართველოს წმიდა მიწა, დაიფაროს იგი და სიკეთე მიჰმადლოს.

ამჟერად გიგზავნით მსოფლიო პატრიარქის უწმიდესი დიმიტრიოს I-სადმი მიწერილი წერილის ასლს, რომელიც თქვენი უწმიდესობის ეპისტოლეს ეხმაურება (3.07.1982 წ.).

უფალმა აგვისტოსს ეს სურვილი, მისი წმიდა სახელის სადიდებლად და მისი ეკლესიის მშვიდობისათვის.

თქვენი უწმიდესობის მორჩილი და მოსიყვარულე ძმა ქრისტეში  
ვასილი  
სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიტროპოლიტი.

ვარშავა, 20 აგვისტო, 1984 წ.  
მის უწმიდესობას, უწმიდეს დიმიტრიოს I-ს,  
კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო  
პატრიარქს  
სტამბოლი

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო მსოფლიო მეუფეო!  
უფალმა მოგანიჭოთ მშვიდობა და მადლი!  
პოლონეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის საკითხი, ავტოკეფალიის, დიპტიქისა და ჩვენი დროის მართლმადიდებელ ეკლესიათა ძმურ ოჯახში მის ადგილთან დაკავშირებით.

ეპისკოპოსთა კრებამ ერთხმად დაადგინა:

1. საქართველოს ეკლესია უნდა ჩაითვალოს სამოციქულო ეკლესიად, რამდენადაც იგი დააფუძნა სიმონ კანანელმა უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ეკლესია შეიქმნებოდა; მეფე მირიანის განმგებლობის დროს, მოციქულთასწორის წმიდა ნინოს ქადაგების შემდგომ, 326 წ. ქრისტიანობა გამოცხადდა სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივ რელიგიად.

2. 468 წ.-ს საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო ავტოკეფალია. ეს ფაქტი მისთვის სასარგებლოდ მეტყველებს, როგორც ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, ისე დიპტიქში მის ადგილზე.

3. 1811 წ.-ს იმპერატორ პეტრე დიდის ბრძანებით, საქართველო ადმინისტრაციულად შეუერთდა რუსეთს; ეთნოგრაფიული, კულტურული, საეკლესიო და საწეს-ჩვეულებო თვალსაზრისით იგი დამოუკიდებელი დარჩა. მიგვაჩნია და დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის მისი კანონიერი ადგილი დიპტიქში და ავტოკეფალიაც, როგორც ისტორიულად, ასევე ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით.

საეკლესიო კრების წინა პერიოდში, (უფლის შეწევნით დაე, შედგეს იგი), ვაღიარებთ ვართ მართლმადიდებელნი ვიყოთ გაერთიანებულნი და სამართლიანნი. ამასვე მოითხოვს ჩვენგან ეკუმენური ურთიერთობანიც, ჩვენ გველის დიდი შრომა უძველეს აღმოსავლურ ეკლესიებთან ერთიანობის აღსადგენად. როგორ შევიკრიბებით მომავალ მსოფლიო კრებაზე და რა სახით წარვსდგებით ქრისტიანული სამყაროს წინაშე?

თქვენს უწმიდესობას ვაცნობებთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ და თხოვნით მივმართავთ, გულმოდგინედ განიხილოს საქართველოს ეკლესიის დიპტიქისა და მისი ავტოკეფალიის საკითხები და იხელმძღვანელოს მადლით წმიდა მართლმადიდებლობისა და უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, "რათა ყოველნი ერთ იყვნენ" (იოან. 17,21).

ვითხოვთ თქვენი უწმიდესობის წმიდა ლოცვებს.

მარად თქვენი ერთგული, თქვენი უწმიდესობისა და უნეტარეობის ქრისტესმიერი მოსიყვარულე ძმა

ვასილი

მიტროპოლიტი სრულიად პოლონეთისა და ვარშავისა.



### საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის

როგორც ჩვენმა საზოგადოებამ იცის, მიმდინარე წლის 23 იანვარს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო წმიდა სინოდმა მიიღო ოფიციალური დადგენილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა, რითაც წარმატებით დამთავრდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ცენტრსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებანი.

4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II სამეიშო ვითარებაში გადაეცა საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების და საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ზოძების საპატრიარქო და სინოდალური განჩინების სიგელები, რომლებიც როგორც ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, ჩამოტანილ იქნა საქართველოში.

ამის შესახებ თვით ქართული ეკლესიის მეთაურის მიერ გაკეთდა ინფორმაცია საქართველოს ტელევიზიით, დაიწერა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ იმის გამო, რომ ფართო საზოგადოების გარკვეული ნაწილი ნაკლებად არის ჩახედული უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულში, მომხდარი ფაქტი ზოგან არასწორად იქნა გაგებული: კერძოდ, უძველესი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა და აღიარება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ გაგებულ იქნა როგორც ამ უკანასკნელისაგან ქართული ეკლესიისათვის მონიჭება დამოუკიდებლობისა. რა თქმა უნდა, ასეთი გაგება შემოაღწიებული ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენისა იქნებოდა გაყალბება არა მარტო უძველესი ქართული ეკლესიის ისტორიისა, არამედ მთელი ქართველი ერის წარსულსაც კი. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მივცეთ ჩვენს საზოგადოებას გარკვეული ახსნა-განმარტება ამ მოვლენასთან დაკავშირებით:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ეკლესიათაგანია ქრისტიანულ სამყაროში. იგი, როგორც ეკლესია, ჩამოყალიბდა IV საუკუნის 20-იან წლებში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული. ეს მოხდა 326 წ. (ქართულ ეკლესიაში არსებული

ტრადიციის მიხედვით), როცა კაბადოკიელი ქალწულის - წმიდა ნინოს ქადაგებებით ქრისტიანობაზე მოექცა ქართველთა მეფე მირიანი და მთელი ერი. მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება ადრეა დაწყებული. პირველ საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული მოძღვრება იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა წმ. ანდრია პირველწოდებულმა და წმ. სვიმონ კანანელმა, ხოლო საქართველოს სამხრეთ რაიონებში ღვთის სიტყვას ქადაგებდნენ წმიდა მოციქულები ბართლომე და თადეოზი. სწორედ ქრისტეს მოციქულების მიერ იქნა ჩვენში დათესილი ქრისტიანობის პირველი მარცვლები, რომლებიც შემდგომ ნელ-ნელა იქნა აღორძინებული და გამრავლებული. ამიტომაც არის, რომ საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან სამოციქულო ეკლესიის სახელითაა ცნობილი.

ასე რომ, IV საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა ჭეშმარიტ ქრისტიანულ სჯულზე მოქცევის პქონდა მნიშვნელოვანი წანამძღვრები. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 325 წლის ცნობილ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნის ეპისკოპოსი დამნუსი. მართალია, ვარაუდობენ, რომ დასახელებული მღვდელმთავრები იყვნენ ბერძენთა ტომისანი, მაგრამ იმისი თქმა, რომ იმათ სამწყისს შეადგენდნენ მხოლოდ ზღვისპირეთში მცხოვრები ბერძენები - სინამდვილეს იქნება მოკლებული. შავი ზღვის სანაპიროზე IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანული ეპარქიების არსებობა ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ პერიოდისათვის ქრისტიანობას ნაზიარები იქნებოდა საქართველოს ამ რეგიონებში მცხოვრები ქართველებიც.

როგორც "ქართლის ცხოვრებიდან" ვგებულობთ, ახლად დაარსებულმა ივერიის ეკლესიამ პირველი სამღვდლოება მიიღო ბიზანტია-რომის დედაქალაქიდან - კონსტანტინოპოლიდან. წმიდა ნინო განმანათლებლის რჩევით, ქართველთა მეფე მირიანი აგზავნის დელეგაციას საბერძნეთში კონსტანტინე იმპერატორთან, რათა ქრისტიანობაზე ახლადმოქცეული ქართველი ერის მოსანათლად და დასამოძღვრად გამოგზავნოს სასულიერო პირნი. ბიზანტიის იმპერატორი წმ. კონსტანტინე დიდი სინარულით ასრულებს ქართველთა მეფის სურვილს და საქართველოში აგზავნის იოანე ეპისკოპოსს და მასთან ორ მღვდელს და სამ დიაკონს, რომელნიც

ჯერ დიდებულთ, ხოლო შემდეგ უბრალო ერს ნათლავენ მტკვრის და არაგვის შესაყარში ანუ როგორც მას შემდგომ უწოდებენ "ქართველთა იორდანეში". აქედან იწყება ქართული ეკლესიის ისტორია: სასულიერო პირთა გამრავლება, ტაძრების შენება, ეპარქიათა ჩამოყალიბება და სხვა: ახლადდაარსებული ქართული ეკლესია, როგორც უძველესი წყაროებიდან ჩანს, თავიდან დაუქვემდებარა ანტიოქიის საპატრიარქოს, როგორც საქართველოსთან უახლოეს საპატრიარქოს. ეკლესიის მეთაური ატარებდა მთავარეპისკოპოსის ტიტულს.

ქართული ეკლესიის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გაგრძელდა V საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე ქართველთა კეთილმსახურმა მეფემ - ვახტანგ გორგასალმა საქართველოს ეკლესიის მეთაური არ აღიყვანა კათალიკოსის ხარისხში, რითაც ეკლესიას მოუპოვა "ავტოკეფალია" ანუ თვითმწყობის უფლებანი. ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმას, კერძოდ კი კათალიკოსობის დაწესებას ვრცლად ეხება ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, რომლის მიხედვითაც: ვახტანგ მეფე სპარსელებთან ერთად შეიჭრა საბერძნეთში, პონტოში მრავალი ქალაქი მოაოხრეს, ბევრი დაატყვევეს. სპარსელები განსაკუთრებით შეუბრალებლნი იყვნენ ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა მიმართ "...რომელ ჰპოვებდეს ეკლესიის მსახურთა, დაჰკლვიდეს". ვახტანგი, როგორც ქრისტიანი მეფე, სთხოვს სპარსელებსა და სომხებს, რათა "არავის ჰკლვიდნენ მოწესეთაგანსა, არამედ ტყუე ჰყოფდნენ", და ახსენებს, რომ პაპამისი მირიანიც სპარსელებთან ერთად ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, კეთილად ეპყრობოდა ღვთისმსახურ მამებს, რის გამოც ღმერთი ამარჯვებინებდა მას ურიცხვ მტერზე.

ოთხი თვის მძიმე შეჭირვების შემდგომ ვახტანგ მეფის წყალობით პონტოს ქრისტიანებმა შვებით ამოისუნთქეს. გახიზნული ხალხი, მღვდლები, დიაკვნები და მოწესე მონაზვნები გამოქვაბულებიდან გამოვიდნენ და სიმშვიდისათვის ღმერთს აღიდებდნენ. მათგან ორი, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი, რომელნიც ადრე წმიდა გიორგი ღვთისმეტყველის საფლავზე აგებულ ტაძარში მსახურობდნენ, მოვიდნენ ვახტანგ მეფესთან და ღვთის სახელით ქართველთა მეფეს ქრისტეს ეკლესიის მსახურთა თავისუფლებისათვის მაღლობა მოახსენეს. საუბრისას პეტრე და სამოელი სთხოვენ ქრისტიან მეფეს, რათა ბერძენთა მეფეს დაუემგობრდეს. მეფე ვახტანგი ითხოვს ამისთვის ღვთის განსაკუთრებულ ნიშანს და სთხოვს პეტრეს

და სამოელს, რომ ევედრონ ამისთვის უფალ ღმერთს. ღვთის განგებით ვახტანგი იმავე ღამით სიზმარში ნახულობს საკვირველ ჩვენებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ მის მერმინდელ ცხოვრებაზე. მან იხილა ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, ეკლესიის დიდი მოძღვარი და მასწავლებელი - წმ. გიორგი ღვთისმეტყველი, ბიზანტიის კეისარი და პეტრე სამოელითურთ. წმ. გიორგის ლოცვა-კურთხევით ვახტანგი ნათლის გვირგვინს დაადგამს პეტრეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი უდარეს გვირგვინს ადგამს სამოელ მონაზონს. კეისარი კი ვახტანგს ამბოროთა და მეფური პატივით მოიკითხავს, როგორც თანასწორს. აღნიშნული ჩვენებისას იხილავს ჯვარს გვირგვინით. წმ. ნინოს, პეტრესა და სამოელის თავლებით კეისარი ვახტანგს დაადგამს ამ გვირგვინს. აი აქ სამჭერ გაისმის მღვდელმთავრის მიერ წარმოთქმული სიტყვები: "ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა". ამის შემდეგ: "შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი". და მესამეჯერ ითქვა: "გვირგვინიცა წამებისა მიიღო".

ამ საკვირველი ჩვენების შემდეგ ვახტანგ მეფე მაღლობდა ღმერთს, რომელმაც ყოველივე გა-მოუცხადა და მტკიცედ განიზრახა პეტრეს კათალიკოსად და სამოელის ეპისკოპოსად კურთხევა, როგორც ეს ჩვენებაში იყო მინიშნებული.

ზემოაღნიშნულზე იმტომ შეჭერდით ვრცლად, რომ მეცნიერთა უმეტესობას დღესაც ვერ მიუგნია ვახტანგ მეფის მიერ კათალიკოსების დაწესების მიზეზისათვის, თუმცა ჯუანშერს საოცრად გარკვევით აქვს იგი მოთხრობილი. კათალიკოსობაზე ვახტანგმა ლოცვა-კურთხევა ბეციდან მიიღო. უფალი წმ. გრიგორი ღვთისმეტყველის პირით უცხადებს მას, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს "ეპისკოპოსთა მთავრის" პატივი უნდა მიანიჭოს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ საკვირველ ჩვენებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ერის განმანათლებელს წმიდა ნინოს. ჩვენების დასაწყისში სწორედ ეს ნეტარხსენებული დედა ეუბნება ვახტანგს: "აღდეგ მეფეო, და განკრძალულად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ბეცისა და ქუყანისანი მოვლენ შენდა"-ო. ხოლო ცოტა გვიან წმ. ნინოსა და პეტრე-სამოელის თავსდებით ვახტანგმა ბრწყინვალე სამეფო გვირგვინი კეისრის ხელიდან მიიღო. თავის დროს წმიდა ნინომაც თავისი მოციქულებრივი მოღვაწეობაც ხომ ბეციური ლოცვა-კურთხევით

დაიწყო და აი საუკუნეზე ცოტა მეტი გადის და სულიერად უკვე მომტკიცებულ-მოღონიერებული ქართული ეკლესიისათვის წმიდანის ლოცვით შეფუ ვახტანგ "ეპისკოპოსთა მთავრის" ანუ "კათალიკოსის" დადგინების უფლებას ღებულობს. ეს იყო უმეტესად ნიშანი იმისა, რომ ქართული ეკლესია თვითმწყობის უფლების მიღებით, აღმოსავლეთში ქრისტიანული რწმენის მტკიცე საყრდენი და ბურჯი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, რაც ყველაზე უნდა ყურად იღოს, არის ის, რომ საქართველოს ეკლესიის სათავეში კათალიკოსის დადგენაში თვით ბეცა მონაწილეობს.

ძეგლია თქმა, ფიქრობდა თუ არა ვახტანგი საბერძნეთში გალაშქრებამდე კათალიკოსობაზე. თუკი ის ქართული ეკლესიის მეთაურის კათალიკოსის ხარისხში აყვანას მართლად ფიქრობდა, მაშინ საკათალიკოთო კანდიდატურა უცხოეთში კი არა, საქართველოში უნდა შერჩეულიყო და საამისოდ მიქაელ ქართლის მთავარეპისკოპოსიც შეიძლება გამომდგარიყო. მაგრამ წყაროებში ამამე არაფერია ნათქვამი. ჩანს, ვახტანგმა კათალიკოსობაზე ფიქრი საკვირველი ჩვენების შემდგომ იწყო. პეტრეს კათალიკოსად და სამოელის ეპისკოპოსად კურთხევა თვით ღვთის ნება იყო და მის წინააღმდეგ არ შეიძლებოდა ვახტანგი და კეისარი აღმდგარიყო.

კარგა ხანს ვახტანგმა ეს განზრახვა ვერ შეასრულა. მალე ის სპარსეთში გაიწვიეს საზრძოლ-ველად, საიდანაც ჯუანშერის თქმით მხოლოდ შეიდი წლის შემდეგ დაბრუნებულა საქართველოში. მას ქართლის მთავარეპისკოპოსის მიქაელის ნახვა მოუნდომებია. მიქაელს, როგორც ჩანს, იმით განაწყნებულს, რომ მეფეს კათალიკოსად პეტრეს დადგენა ჰქონია განზრახული, შური აღძვრია. მიქაელს თავისი გაბოროტების ნამდვილი მიზეზი არ გაუმხელია, მიზეზიანობაც კი დაუწყია. მას მეფისათვის ისიც კი შეუთვლია: "შენ დაგატყვევებიას ქრისტე და ცეცხლსა ესავ", ე.ი. ქრისტიანობა უარ-გიყვია და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიგიღიაო. ვახტანგი შეეცადა დაერწმუნებინა მიქაელი, რომ ეს ბრალდება არასწორი იყო. რაც შეეხება იმას, რომ მას განზრახული ჰქონდა პეტრეს კათალიკოსად კურთხევა - ეს დაუმოწმებია. რახან მიქაელ მთავარეპისკოპოსი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მას საკათალიკოსო ტახტზე ასვლა არ მოუწევდა, შეეცადა შფოთის ჩაგდებას და ამიტომ მეფე და მისი მხედრობა შეაჩვენა. მდგომარეობა რომ არ გაემწვავებინა, ვახტანგი თვითონ ხლებია მიქაელს და, მაშინდელი წესის თანახმად,

მოუნდომებია ფეხზე მოხვეოდა მღვდელმთავარს, ამ უკანასკნელს კი, ჯუანშერის თქმით, მეფისათვის ფეხი უკრავს და კბილიც კი ჩაუმტვრევია. ვახტანგ მეფეს თავი შეუკავებია და გაკანდიერებული მღვ-დელმთავარი გასასამართლებლად კონსტანტინოპო-ლის პატრიარქისათვის გაუგზავნია, რომელსაც მიქაელი დაუსჯია და მღვიძარეთას მონასტერში განუწყესებია.

მიქაელის გადაყენების შემდგომ, ჯუანშერის თქმით, "წარავლინეს პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას და მიუწერეს ანტიოქიის პატრიარქმან, მეფემან და პატრიარქმან კონსტანტინოპოლელმან", რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ქართლის მოქცევის დროს პირველი ეპისკოპოსი აქედან იქნა გაგზავნილი, რითაც "მათ ვერ მოაწყეს საქმე წესისამებრ სჯულისა", რადგან ქართლი ანტიოქიელის სამწყსოს წარმოადგენდაო. მაგრამ იმ დროის სპარსელებსა და ბერძენებს შორის ამტყდარი შფოთის გამო საქმის კანონიერი მოგვარება ვერ მოხერხდა. ახლა მას ეგზავნებოდა ქართველთა გამოგზავნილი პირნი საკურთხებლად". ანტიოქელმა პატრიარქმა მართლაც აკურთხა პეტრე ქართული ეკლესიის კათალიკოსად, სამოელი და კიდევ თორმეტი პირი კი ეპისკოპოსებად. საკათალიკოსო ახალი ტაძარიც აუშენებია ვახტანგს მცხეთას ძველი მომცრო ტაძრის ალაგას "და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა".

პირველი კათალიკოსის პეტრეს დადგენასთან დაკავშირებით "ქართლის მოქცევის" ქრონიკაში წერია: "აქედან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად"-ო. კათალიკოსობის დაწყება რომ ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა მოპოვებასაც ნიშნავდა, მიანიშნებს ის ფაქტი, რომ ვახტანგმა ბერძენთა მეფესა და პატრიარქს არა მარტო პეტრეს კათალიკოსად და სამოელის ეპისკოპოსად კურთხევა მოსთხოვა, არამედ თორმეტი ახალი მღვდელმთავრისაც, რაც კიდევ შესრულდა. ამით კი დასტურდება, რომ ქართულ ეკლესიაში ბემოალნიშნული საეკლესიო რეფორმით არსდება ადგილობრივი საეკლესიო კრება კათალიკოსის თავმჯდომარეობით. კათალიკოსთა 12 მღვდელმთავრისაგან შემდგარი ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, დაუცავთ საყოველთაოდ მიღებული კანონიკური წესი, რომლის მიხედვითაც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსი იყო საჭირო, რათა ადგილობრივ ეკლესიას თავისი უფლებანი სრულიად განეხორციე-ლებინა, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსის გასამარ-თლებსას. ყოველივე ზემოთქმულიდან მტკიცდება, რომ ვახტანგ მეფეს საბერძნეთიდან კათალიკოსი

გამოუთხოვია ავტოკეფალური უფლებებით.

ივანე ჭავჭავაძის აზრითაც "აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის" "კათალიკოსი" დამოუკიდებელი ეკლესიის მთავარი ეპისკოპოსისა და საქეთმპყრობელის აღმნიშვნელი წოდებულება იყო. ასე ესმოდათ და ასეთი მნიშვნელობით ხმარობდნენ მაგალითად, ასურთა ეკლესიაში... სომხურშიც და ქართულშიც. მაშასადამე, ვახტანგ გორგასლისაგან საქართველოში კათალიკოსობის დაწესება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწყებად უნდა ვიგულისხმოთ".

როგორც უძველესი წყაროებიდან ჩანს, კათალიკოსობის დაწესების შემდგომაც, ქართული ეკლესიის მეთაურის კურთხევა ანტიოქელი პატრიარქის მიერ ხდება. ეს ფაქტი ხშირად მეცნიერთათვის საეჭვოს ხდოდა ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობას. ქართველთა ეკლესიის სათავეში არაქართველის დგომა, ერთი შეხედვით, გარკვეულ უხერხულობას ანიჭებს ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულობას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქართველოდან ანტიოქიის სამპატრიარქოში საკათალიკოსო კანდიდატურის წარგზავნასა და იქ მის კათალიკოსად კურთხევაში არ შეიძლება ეკლესიური დამოუკიდებლობის დანახვა. ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ამით ქართული ეკლესია ემორჩილებოდა ანტიოქიას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კათალიკოსი ქართლის სულიერი მწყემსი იყო მაშინდელ საქართველოში მცხოვრები მრავალი ეროვნების ქრისტეს მიმდევრისა და მასზე დიდად იყო დამოკიდებული საერთოდ ქრისტიანობის გავრცელების საკმე აღმოსავლეთში, ნაწილობრივ მაინც გასაგები გახდება ის, თუ დასაწყისში რატომ ხდებოდა ეკლესიის სათავეში არაქართველის დადგენა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი შემზადებული ეკლესიის სათავეში ქართველი მწყემსმთავრის დასადგენად. საამისოდ უპირველესად საჭირო იყო საღმრთო და საღვთისმსახურო ლიტურატურის ქართულ ენაზე სრულად გადმოღება, ქართველ იერარქთა რიცხვის გაზრდა და მათი საღვთისმეტყველო განათლების ამადლება და სხვა, რაც, რა თქმა უკუნ ვერ მოხდებოდა. მართლაც, VI საუკუნიდან, ჯუანშერის მოწმობით, საკათალიკოსო ტახტზე ქართველ მღვდელმთავრებსაც დაუწყიათ ასლვა "... ითხოვეს იუსტინიანესაგან ქართველთა, რათა დასხდებოდნენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველთანი... ხოლო იუსტინიანე დაწერა წიგნი და დაბეჭდა თვსითა ბეჭდითა ესრეთ, რათა დასხდებოდნენ კათალიკოსად

ნათესავნი ქართველთანი". ქართველებიდან საკათალიკოსო ტახტზე პირველად ასულა საბა. ამის შემდეგ "... არღა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი".

ახლა, რაც შეეხება ანტიოქელი პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის კათალიკოსთა კურთხევას - არც ეს უნდა იქნას გაგებული, როგორც ქართული ეკლესიის ანტიოქიელისადმი დამოკიდებულება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანტიოქიის ეკლესია სულიერი მშობელია ქართული ეკლესიისა, იგი ჩვენი ეკლესიისათვის დედა ეკლესიაა. ასეთია ჩვენში ეკლესიური ტრადიცია და იმავეს ამოწმებს ჩვენი საისტორიო მწერლობაც. როგორც შვილი ვერ მოწყდება უცებ მშობელ დედას და მასთან მშობლიური ძაფები აკავშირებს მუდამ, ისევე, უცებ არ შეიძლება ქართული ეკლესია მოწყვეტილიყო ანტიოქიისა. პირიქით, ეს კავშირი ძალზედ ესაჭიროებოდა ქართულ ეკლესიას ქრისტეს ჭეშმარიტ სჯულში განსამტკიცებლად და ღვთისაგან დაკისრებული მისიის შესასრულებლად. კათალიკოსის ანტიოქელისაგან დადგენაში ჩვენ უნდა დავინახოთ დედა ეკლესიის ახალნერგ ეკლესიაზე ზრუნვა. მშობელიც ხომ ადევნებს თვალს შვილის ცხოვრებას მას შემდეგაც, რაც ეს უკანასკნელი იწყებს დამოუკიდებლად არსებობას. ანტიოქელი ქართველ კათალიკოსთა კურთხევით ინარჩუნებდა ეკლესიათა ერთიანობისა და სიახლოვის გარანტიას, "რათა ყოველნი ერთ იყვნენ" (ინ. 17,21). ამ კავშირის საჭიროებას გრძობდნენ ჩვენი წინაპრებიც და კიდევ უფრო ხილვადობდნენ მას.

მაგრამ შემდგომში, როგორც ეს წყაროებიდანაც ჩანს, მაჰმადიანური გარემოცვის გამო, როცა აღმოსავლეთში მდგომარეობა გართულდა, კავშირი საქართველოს ეკლესიისა ანტიოქიასთან დიდად გაძნელდა. ანტიოქელთან საკათალიკოსო პირის წარგზავნა და იქ მისი კურთხევა თითქმის შეუძლებელი გახდა. ეფრემ მცირე თავის ცნობილ გამოკვლევაში "უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა..." შეეხო საკითხს, თუ როდის და იწყეს ქართველებმა კათალიკოსის ხელდასხმა. ამ საკითხის ცნობა მას უპოვია "ზრონოგრაფსა შინა ანტიოქიას აღწერილსა", რომელშიც შემდეგია მოთხრობილი: "დღეთა კონსტანტინე სკორის მოსახელისასა (ე. ი. კობრონიმისა), ანტიოქიას პატრიარქობისა ნეტარისა თეოფილაქტესა (745-751), მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი თრნი და მოუხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს", რომ "დიდსა ჭირსა შინა

არიან ქრისტიანენი, მკვდრნი ქართველთა სოფლებსანი" იმის გამო, რომ "დღითგან ანასტასი მღვდელმონაქისა (602-610) ანტიოქელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათა კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებდა სლვად"-ო. თეოფლაქტე პატრიარქს ეს გარემოება და საქმის ვითარება ადგილობრივი საეკლესიო კრებისათვის მოუხსენებია და "მან ზნობითა კრებისათა... მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გახსნილი, რათა თვით მათისა საზღაურისა ეპისკოპოსთაგანი ხელნი დაესხმოდის ჟამად-ჟამადსა კათალიკოსთა ქართლისასა, რომელიცა საღმრთო მან მადლმან უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოუყასთა მის ეკლესიისათა თანამდგომითა და წამებითა ეპისკოპოსთადათა წესთაგან საეკლესიოთა". კრების დადგენილება წერილობითაც გაუფორმებიათ. საქართველოდან წარგზავნილი ორი მონაზონიდან კი ერთი სახელით იოანე - კათალიკოსად უკურთხებია.

ფერემ მცირის სიტყვით, იმ დღიდან დადგინდა ანტიოქელი პატრიარქის საქართველოში წირვა-ლოცვაზე მოხსენიება და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში "უკუეთუ ოდესმე გამოჩნდეს წვალებამ, მაშინდა მიაფლინებდეს მუნ ეგზარქოსსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ცლომათა სულიერთა"-ო.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ვხედავთ, ძირითადი საზრუნავი და საფიქრალი ანტიოქელისა სარწმუნოების შეურყენელი დაცვაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ქართველთა კათალიკოსის არჩევისა და დადგინების უფლების ანტიოქელზე დატოვებაც ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ მაშინ ჩვენს ეკლესიას ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა რწმენაში განმტკიცება და გაძლიერება.

ამის შემდგომ ქართული ეკლესიის ანტიოქის საპატრიარქოსთან კავშირის უძველეს ისტორიულ წყაროებში ვეღარ ვხედავთ. ამ მხრივ ჩვენთვის ძალზედ საინტერესოა X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", სადაც აღწერილია IX საუკუნეში ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე ქართული ეკლესიის მეთაურის - კათალიკოსის არჩევა. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან შემდგარი საეკლესიო კრება უცხო საპატრიარქოებთან შეთანხმების გარეშე ირჩევს ეკლესიის მამამთავარს. არსად არ ჩანს ქართული ეკლესიის რომელიმე სხვა საპატრიარქოსთან რაიმე დამოკიდებულება. ეკლესია თვითონ მართავს თავის თავს.

ძალზედ დიდია ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მნიშვნელობა. ეკლესიის დამოუკიდებლობა დიდად უწყობდა ხელს ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც, მდიდარი ეროვნული ქრისტიანული კულტურის განვითარებას და სხვა.

ქართული, ბერძნული და უცხოური წყაროები აღიარებენ, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო V საუკუნის მეორე ნახევარში, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის დროს. აღნიშნულ ფაქტს საუკუნეების განმავლობაში სცნობდა მსოფლიოს მრავალი ეკლესია, გარდა კონსტანტინოპოლისა და ზოგიერთი სხვა ეკლესიისა. კონსტანტინოპოლის ეკლესია, რომელსაც მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის ყოველთვის ჰქონდა პირველობის პრეტენზია, არ აღიარებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, რადგან ეს უკანასკნელი ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ გაიცა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მტკიცებით ქართული ეკლესიისათვის თვითმწყობის უფლების მიცემა უნდა მომხდარიყო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან და არა ანტიოქელი-საგან, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ამის გამო ჩვენი ეკლესიის არც ავტოკეფალიის იძულებით გაუქმებამდე (1811) და არც ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ (1917) კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი არ აღიარებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას და მას ავტონომიურ, მცირე ეკლესიათა შორის მოიხსენებდა. აღნიშნული ეკლესიის მიერ არ ხდებოდა ქართული ეკლესიის მეთაურის პატრიარქობის ტიტულის ცნობაც.

რა თქმა უნდა, ეს საკითხი დიდად აღელვებდა ქართული ეკლესიის მესვეურთ. საჭირო იყო მეცნიერული დასაბუთება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებისა. მრავალი ათეული წელი დასჭირდა ამ საქმის შესრულებას. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როცა ქართული ეკლესია ბრძოლას აწარმოებდა მეფის რუსეთისაგან მიტაცებული ავტოკეფალიის დასაბრუნებლად, ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს ცნობილმა მეცნიერებმა ალექსანდრე ხახანაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა, ქართველმა იერარქებმა, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსებმა კირიონმა და ლეონიდემ და სხვებმა. ეს ბრძოლა გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრე მან მიიღო ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან. მეცნიერთა გამოკვლევებმა საბოლოოდ დაამტკიცეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უტყუარობა.

მოლაპარაკებები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, რომელმაც თითქმის 15 წელიწადს გასტანა, უმეტესად პატრიარქთა ღონეზე მიმდინარეობდა. ბოლოს, როგორც იქნა, მსოფლიო საპატრიარქო ცენტრმა მიიღო ჩვენი ეკლესიისათვის ისტორიული დადგენილება საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცებისა და საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა.

ასე რომ, ჩვენ საქმე გვაქვს არა ავტოკეფალიის მიღებასთან, არამედ ადრე, V საუკუნეში, ჩვენი ნეტარხსენებული წინაპრების მიერ მოპოვებული ავტოკეფალიის აღიარებასთან კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიერ, რაც, რა თქმა უნდა, დიდი გამარჯვებაა ქართული ეკლესიისა და მთელი ქართველი ხალხისა.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია მივულოცოთ ჩვენი უძველესი სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს, უპირველესად კი მის მეთაურს კათოლიკოს-პატრიარქს

ილია II-ს, რომლის ღვაწლიც ამ საქმეში ძალზედ დიდაა, ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს სამღვდელოებასა და მორწმუნე ერს ეს დიდი გამარჯვება და ვუსურვოთ მათ დედა ეკლესიისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კეთილად გადაწყვეტაც.

შევთხოვთ ჩვენი ერის დიდ განმანათლებელს წმიდა მოციქულთსწორ ნინოს და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მეთავეს - წმიდა კეთილმსახურ მეფე ვახტანგს არ მოაკლონ ჩვენს ეკლესიას თავიანთი მეოხება, შევთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რათა მუდამ თავისი საფარველის ქვეშ დაიფაროს საქართველო და მისი წმიდა ეკლესია.

და ბოლოს, ჩვენი წერილის დასასრულს გვინდა მივმართოთ უძველეს ეკლესიას ჩვენსას: "არა გეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო" (რუის-ურბნისის ძეგლისწერა).

### საქართველოს ეკლესიის მეთაურნი

#### მთავარ-ეპისკოპოსნი /318-488/ საქართველოს ეკლესიისა

1. იოანე /318-325/ იყო ნათესავით ბერძენი, წარმოგზავნილი კონსტანტინე დიდისაგან, თხოვნისა გამო მირიან მეფისა,<sup>1</sup> ორის მღვდლით და სამის დიაკონით; თან მოასვენა ჭვარი, ოქროთი შეჭედლილი, თვალმარგალიტითა მკული და ხატი მაცხოვრისა, რომელიც დაცულია დღემდე ალავერდის ტაძარში. მოუტანა მირიანს წერილი კონსტანტინე დიდისა.<sup>2</sup> გზად მიმავალმა იოანემ ააშენა ერუშეთის ტაძარი გუმბათიანი, რომელიც დღესაც მრთლად დგას<sup>3</sup> და მასში დაასვენა ჭვარი და სამსჭვალნი უფლისა. აქედან წამოსულმა ააშენა მშვენიერი მანგლისის ტაძარი. მცხეთაში მოსულმა ნათელჰსცა მირიანს და ქართველთა. ნიკიის კრებამ 325 წ. იოანე დაადგინა ანტიოქიის პატრიარქად და საქართველოს ეკლესიაც ხომ მაგ საპატრიარქოს მიათვალა

/იხ. საქ. სამოთ. 25, 97 გვ./.

2. იაკობ /326-364/ წმ. ნინოს დროს ესე იაკობ იყო მღვდლად და ნათელ ჰსცა კახელთა იოანეს შემდეგ იაკობ იქმნა ეპისკოპოსად მცხეთისა ნინოს თხოვნისამებრ. იხ. ქართლ. მოქც. 20 გვ. ამის დროს ბაკურმა აღაშენა წილკნის ტაძარი /354 წ./ ქ. მოქ. 23 გვ.

3. იოზი /360-394/ იყო ნათესავით სომეხი, მოწაფე და დიაკონი წმ. ნერსესი /იქვე 530 გვ./ გრიგოლ განმანათლებლის შვილი ვარდანესი, ფაუსტ ვიზანტიელის სიტყვით, იყო ეპისკოპოსად ივერიისა და ალოვანისა /ალვანისა/; წმ. ნერსესის მოთხოვნით, ამყარებს საეპისკოპოსო კათედრებს ქართლ-კახეთში (იხ. საქ. ისტ. ბაქრადისა 145 გვ.). ამის დროს აღშენდა ნეკრესის ტაძარი და რუსთავისა თრდატ /მირდატ/ მეფისაგან (ქ. მოქც. 23 გვ.).<sup>4</sup>

4. ელია /396-407/. მის დროს აღშენდა ბოლნისის საეპისკოპოსო ტაძარი (ქართ. მოქც. 26 გვ) და სპარსთა შიშისათვის არმაზის საკერპონიცა.

<sup>1</sup> იხ. საქ. სამოთხ., 87 გვ. ანუ ჩვენს "საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმოხილვაში".

<sup>2</sup> კონსტანტინეს ორი წერილი გვაქვს; პირველი იხ. საქართ. სამოთხეში 95 გვ. და მეორე ვახუშტ. ისტ. 67 გვ. 1885 წ.

<sup>3</sup> იხ. ვახუშტ. გეორგ. 104 გვ.

<sup>4</sup> /ხოლო ქ. ცხოვრებით /102 გვ./ ამ დროს აღშენდნენ ტაძარნი - თუხარისასა /ციხესა შინა/, ერუშეთისა და წუნდისა.

5. **სიმეონ** /408-412/. სპარსთა დაიპყრეს ქართლი, განყენეს ეკლესიანი და ტყვედ შეპყრობილი მეფე თრდატი /მირდატი/ წარიყვანეს ბაღდადს და მოკლეს. ამ დროს სიმეონი იმყოფებოდა "ხევისა კახეთისასა მეფისა ნათესავთა თანა" (ქართ. ცხ. 107 გვ.).

6. **იონა** (415 ქართ. მოქცევით იხ. 27 გვ./). ამა იონას დროს აღაშენა არჩილ მეფემ წმ. სტეფანეს ეკლესია მცხეთაში, არაგვის პირზე. "მაშინ დაეცა ქვემო ეკლესია და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა /სამთავრო?/ და სვეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო" /იხ. იქვე/<sup>5</sup>.

7. **იოანე**.

8. **გრიგოლ (გიორგი) 420**.

9. **ზასილი 430**. "და მისვე არჩილისძე მეფისა (410-434). ოთხნი მთ. ეპისკოპოსნი გარდაიცვალნეს - იონა, იოანე, გრიგოლ და ზასილი"... (ქართ. მოქცევა. 27 გვ. ქართ. ცხ-კი საძნი: იოანე, გრიგოლ და ზასილი. 110 გვ.)

10. **მობიდაგე** (433-440). იყო ნათესავით სპარსთ მოგვთაგანი. მიიღო ქრისტიანობა და ფერთომის შემწეობით მთ. ეპისკოპოსობა. მობიდაგემ უკანასკნელ მიიღო არიოზის წვალეობა, მცდელობდა მის გავრცელებასა საქართველოში და სწერდა "წიგნებსა საცთურებისასა". ამის გამო ქართველნი შეირყივნენ მართლ - მაღიღებლობისაგან. ეს იყო მიზეზი, რომ დედოფალმა (ვახტანგის დედა სარანდუხტმა ანუ საგდუხტმა) მოიწვია საბერძნეთით მეცნიერი ეპისკოპოსი მიხაილი ერთის მხრით შესამოწმებლად - წესთა ქრისტიანებრივთა და გლონოქორის (მობიდაგეს) მოქმედებათა შესარევნელად მართლმადიდებლობისა საქართველოში და მეორე მხრივ - საბრძოლველად ცეცხლის თაყვანისმცემლობასთან. მცხეთაში მოსრულმა მიხაილმა მოახდინა კრება და საქვეყნოდ გამოაშკარავა გლონოქორის მავნებელი იმართულება. კრებამ განაპყვეთა გლონოქორი და მის მაგიერ აღიწია მიხაილი: იხ. *Ист. Грузи Баратова*, 11 რვ. 14 გვ. *Ист. Груз. церкв. iocel.* 28 გვ. და *Савинин* 66 გვ.<sup>6</sup>

11. **გლონოქორ**. 440. მირდატ IV მედროვე, ნათესავით სპარსი.

რანის პიტიახშის ბაიზაზდის (ფეროზის) გაგლეწით მიწოდებული ჰქონდა ერის თაობა ქართლისა, ვახტანგის მცირე წლოვანობისა გამო. ქ. მოქც. 28 გვ.

12. **მიხაილ, ანუ მიქელ**. 446-472. ამა მიხაილის დროს კერძოდ და ვახტანგის მეფობაში საზოგადოდ დიდი განსაცდელი გამოიარა მართლმადიდებლობამ საქართველოში და ამისათვის შეძლებისამებრ დაწვრილებით უნდა მოვილაპარაკოთ წინამოადგილე მობიდაგე შთამომავლობით სპარსი და ცეცხლ-თაყვანისცემის მორწმუნე იყო და მტერი ქრისტიანობისა. მისი ესრეთი განდიდება (მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსობა და ერისთავობა ქართლისა) უნდა მივაწეროთ რანის ერისთავის ფეროზის (ვახტანგის დედის სარანდუხტის მამის) გაგლეწას, რომელიც მტერი იყო ქრისტიანობისა და დიდი მოსავი ცეცხლ-თაყვანისცემისა. ამისათვის მობიდაგეს დამხობა და მის მოადგილედ მიხაილის (ბერძნის) განწესებამ ფეროზი გააცეცხლა და ქართლს აკლეს დაუპირა - ბერძნებს რად უახლოვდებოთ. ფეროზს იახლა ცრემლით მავდრებელი სარანდუხტი და, როგორც იყო, დააშლევინა ქართლის აკლესიის საქმე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცეცხლის თაყვანის მცემლობა არ შეევიწროვებინათ ქართლში და მოგვნი არ ედევნათ. ფეროზმა გამოისტუმრა ბინაქარის მოთავეობით (მობიდაგე ცოცხალი აღარ იყო) ცეცხლ-თაყვანის-ცემის მოძღვარი მეცნიერი საქადაგებლად, რომელთაც მძლავრ მოპირდაპირედ ქართლში დახვდათ მიხაილი. რომ ამისათვის ფეროზის გაგლეწას მიხაილი არ გაეღვენა ქართლიდან, სარანდუხტმა და დიდებულთა ვახტანგის აღმრდასწავლა მიხაილს მიანდეს ერთად ჭუანშერ სპასპეტთან. თვით მიხაილმა კი ფეროზის მრისხანება, სხვათა-შორის, აიცილა მით, რომ სომხებს გამოუცხადა მედგარი სარწმუნოებრივი ბრძოლა; ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ვნათემ (ფულონმა) 470 წ. მეთაურობა გაუწია მონოფიზიტთა და "წმიდაო ღმერთოს" ჩაურთო "რომელი ჩვენთვის ჭვარს ეცვა". სომხებმა შეიწყნარეს მეთაურობა პეტრესი და "წმიდაო ღმერთოს" ჩართულიც; პეტრემ დაიბარა მიხაილიც ქ. დვინში, როგორც თავის უფლების ხელქვეითი, მაგრამ მიხაილმა ცივი უარი განაცხადა პეტრეს მოძღვრების მიღებაზე და ქვით თავიც კი გაუტეხა (4718 წ.). სხვათა-შორის მიზეზად ეს უსიამოვნება-ც-კი შეიქმნა მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსის გაკათალიკოსებისა და დამოუკიდებლობისა. ვახტანგიც ხომ ამისი მონატრი იყო. ფეროზმა ვახტანგს შერთო ცოლად სპარსთა მეფის ქალი 458 წ., ამ ქალს მოჰყვა აღმზრდელი რაფდენი, შემდეგ წრომის მოწამე; ფეროზმა მოყვრობით დააბავა ვახტანგი სპარსეთსა და 460 წ. ერთად ქართველთა და სპარსთა ჯარით პონტოს არე-მარეს აიხრებდა. ვიზანტიის იმპერატორი საიდუმლოდ შეურიგდა ვახტანგს, მის-

<sup>5</sup> ვ. ცხვილოვლი. გაზეთი "ივერია", 1892 წ. N 30 8

თებერვალი.

<sup>6</sup> ვ. ცხვილოვლი. "ივერია", 1892 წ. N 32.

ცა თავისი ქალი ელენე (პირველი მეუღლე მოკვდა, მშობიარე დაჩიბედ) და ბანაკში მოუვიდნენ პონტო-ულთ მოციქულნი - პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი, - ეკლესიათა მისამსახურეთა ტყვევნა აუკრძალე ჯარსო. ვახტანგმა შეიწყნარა მათი სათხოვარი. კეისარმა ლეონმა დაუთმო ვახტანგს - კლარჯეთი, აფხაზეთი (ეგრის მდინარის იქითი) და ნება მისცა მცხეთაში კათალიკოზობის დადგინებისა (იხ. ბაქრაძის ისტორია, 163 გვ.). ამნაირად, სპარსნი უცალონი დარჩნენ და დამარცხდნენ ზერძებისაგან. სპარსნი ემუქრებოდნენ ვახტანგს სამეფოს აკლებით 464 წ. ამ დროს ლეონი ებრძვის ხაზარებს და ვახტანგს სთხოვს შემწეობას - სპარსებზე მერე მე მოგეშველებიო. ამის გამო სპარსნი შეურვიდნენ ვახტანგს, გამაადებულნი საომრად. ვახტანგის დაა მირანდუხტი შეირთო სპარსთა მეფემ და ინდოეთსა და აზაშეთში გაიწვია სალაშქროდ; ხოლო დედა და და ვახტანგს ელოდნენ იერია (ედესის) ქალაქში. ვახტანგმა აქ მოითხოვა დანიშნული ელენე, პეტრე და 12 ეპისკოპოსნი, მოილოცა იერუსალიმი და ღიღებით მისილი მიბრუნდა სამეფოში. აქ დახვდა მთ. ეპისკოპოსი მიხაილი, მრისხანე ანტიოქიის პატრიარქის ცნობებისა გამო, და ვახტანგი შეაჩვენა მცხეთაში სახალხოდ. ვახტანგმა თავი დაიმდაბლა და ამზორისათვის მივიდა მიხაილთან, რომელმაც წიხლით კბილი ჩააგდებინა 473 წ. ვახტანგმა უთხრა: "შურით პქმენ ესე, რამეთუ მოვალს უხუცესი შენი (კათალიკოსი პეტრე) და ამის ძლით რათა აღმძრა მეცა, არამედ მე არა რაა გიყო შენ, გარნა წარგავლინო კონსტანტინოპოლედ". კონსტანტინეპოლში პატრიარქმა გენადიმ კრებით განსაჯა მიხაილი "დათხვევისათვის სისხლისა ტაძარსა შინა" და განკვეთა მღვდლობიდან - "არღარა წირვად" და პატიმარ ჰყვეს მღვიძარეთა მონასტერში საუკუნოდ. (იხ. ვახუშტ. ისტ., 100 გვ., Ист. Груз. иер. Юссел., 28, 89 გვ. და საქართ. სამოთხე 20, 32, 619 გვ.)

ვახტანგმა იქორწინა ელენეზედ, დასვა კათალიკოზად პეტრე და მთ-ეპისკოპოსად სამოელ და ეპისკოპოსნი: კლარჯეთს, წუნდას, ერუშეთს, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმინდას, ჭერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯს, აგარაკს, ნიქოზს (475-478).

პეტრე 475-488. პეტრე ჯერ მთ. ეპისკოპოსად იყო და შემდეგ კათალიკოზად დაიდგინა<sup>7</sup>.

### კათალიკოზნი (488-1811)

1. **პეტრე.** 475-510)\* კაპადოკიელი პონტოდამ, მოწაფე გრიგორი ნაზიანზელისა. ქართ. მოქცევით, პეტრე კათალიკოზად იქმნა 490-493 წლებში (29 გვ.). ამა პეტრემდე ("ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე"). მიიცვალნეს მეფენი 10 და მთავარეპისკოპოსნი 13 (იხ. ქართ. მოქც. 30 გვ.) ებრძოდა სომეხთა ხალკილონის კრების განაჩენის გამო, დაეწრო დღღარშაპადის კრებასა; ამხნევებდა ვახტანგს კობადთან საბრძოლველად საგარეჯოს ბოლოს.

2. **სამოელ I.** 510-525. ამისა ჭამსა ეწამა წმ. შუშანიკი, რომელსაცა ესე სამოელ, წინად მთ. ეპისკოპოსი, "განამტკიცებდა დათმენად სატანჯველთა ყოველ სახეთა", და უვლინებდა მოძღვართა ცორტეში, ანუ სანადირო ქალაქში. (იხ. ვახუშტ. გეოგრ. 142 გვ. საქართ. სამ. 186 გვ.)

3. **პეტრე დაჩი** უჯარმელის (რევის ძე) დროს. დაჩის მეფობაში პეტრე და მის მოადგილედ ჰქმნეს სამოელ<sup>\*</sup>

4. **სამოელ.** დაჩის ძე ბაქარ III დროს (ქართ. მოქც.)

5. **თავბეჩაღე** 530 ფარსმანის დროს.

6. **ჩილირმანე.** 532-544 (ქ. მოქც. ჩიმაგა... 31გ., ქ.-ცხ. ჩირმაგ. 150გ.) ფარსმანის დროსვე. (ფარსმან VI დროს - 528-542)

7. **საბა.** 545-550 (ქართ. მოქც. დასაბია, გვ. 31) ესე საბა იყო პირველ კათალიკოზი ქართველთაგანი, მცხეთელი, აღრჩეული მცხეთაში კრებისაგან (545 წ.) და დადგინებული იუსტინიანეს ნება დართვით 549 წ. ფარსმან VI დროს. საკურთხებლად წარვიდა ანტიოქიის პატრიარქთან, როგორც სხვა ეპისკოპოსნიც შემდეგში. იხ. Барат. II რვ., 93 გვ. ქ. - მოქც. 31-32 გვ.)

8. **ეფთათე** (ეფთვიმე?) 550-551 ქართველივე მცხეთელი (იხ. ქართ. მოქც. 31, 32 გვ.)

9. **კოსმა,** ანუ ევლავიოს, 552-560. ამის დროს მოვიდნენ ათცამეტი ასურელნი მამანი; ამანვე აკურთხა ეპისკოპოსად ისე ათორმეტთაგანი წილკ-

\* "და დასვა პეტრე კათალიკოზი და ესე იყო კართლის მოქცევითგან რო წიქოსა" (ქ. მოქც. 29 გვ.) საზოგადოდ ქართლის მოქცევა 318 წ. არს მირებული ამისათვის 318+170=488 წ. ამ წელსვე დაასრულა ვახტანგმა "სვეტი ცხოველი".

\* ბაქრ. ისტ. 147 (ქართლ. მოქც.)

8 პ. ცხვილოელი. "ივერია" 1892 წ. N 66 27 მარტი.

7 "ივერია" 1892 წელი N 48.

ნის საყდარზედ. (საქ. სამოთ. 209 გვ.)

10. **შაკარი.** 561-569. ამან აკურთხა მღვდლად ღირსი შიო მღვიმელი, თხოვისამებრ ფარსმან მეფისა, ეპისკოპოსთა და საზოგადოებისა; ამისავე ფამ იოანე ზედაზნელი და შიო. (Onuc. IIIUOMTB. nyct. Locc; 17 გვ.)

ფარსმანისაგან შეწირულის 30 ლიტრა ოქროთი ევაგრემ ალაშენა ეკკლესიები შიომღვიმეში და მაკარიმ აკურთხა. ამავე დროს ფარსმანმა შესწირა შიომღვიმის მონასტერსა: სახარება ვახტანგ გორგასლანისა, თარგმნილი დელოფალს საგლუბტისათვის (408-410 წ.), მირდატის მეუღლისა და ვახტანგის დედისა და მკული ოქრო-თვალ მარგალიტითა; ოქროსაგან ქმნული ბარძიმი-ფეშხუმი და სხვ. სახმარნი ნივთნი, ამაზედ გუჯარიც დაუწერა<sup>9</sup>.

11. **სამოელ.** 569-572. ზაქარ IV დროს (557-570).

12. **სიმონ-პეტრე,** ანუ კვირიონ. 572-603. ესე სვიმონ ალყვანილი იქმნა კათოლიკოსად შობილგან 25 წ. მიწერ-მოწერა ჰქონდა რომის პაპა გრიგორისტან (Mpr. r. Tuფ. 170 გვ.). ებრძოდა სომეხთა კათოლიკოსს აბრაამს ხალკიდონის კრების განაჩენის მიუღებლობისათვის 596 წ. დვინს შეკრებილს სომეხთა მოძღვართა კრებასა, რომელსაც თვით არ დაესწრო, ხალკიდონის და სხ. კრებათა დადგინებანი, დღმატთა გამოთქმანი და კანონნი - ამათ თანახმად იმწყესება ჩემი (საქართველოს) ეკკლესიაო. განდგა სომეხთა თანა ერთობისაგან, რომელთაც ამისათვის უწოდეს "ზოროტი" (Ист. Барат. IV р. 79 გვ.). ესრეთ დაირღვა სარწმუნოებრივი ერთობა ქართველ-სომეხთა შორის, გრიგოლ განმანათლებლის დროდგან დამყარებული. ამისი უმთავრესი მიზეზი იყო ბიზანტიის იმპერატორის არკადის (თეოდორეს ძის) სომეხთა თხოვნისა გამო უარი შემწეობაზედ, რომლისა გამო სპარსთა დაიპყრეს სომეხეთი და ემუქრებოდნენ (ფეროზი, ანუ ხოსრო-ფარვიზი) მთლად აყრა-გადასახლებას სომეხებს, თუ ზერძებთან არ მოსპობდნენ სარწმუნოებრივს ერთობასა. ამისათვის

**მეფისა და კათალიკოსის რჩევით** სომეხთა აღიარეს **წვალუბა** იაკობიტთა, რომელიც დაამკვიდრეს სირიიდგან მოსრულთა ცხრა მქადაგებელთა (ფეროზის ბრძანებით) კირიონ. კათალიკოსმა ცურთავიდგან (სანადირო ქალაქი) განდევნა ეპისკოპოსი მოსე. ბევრს ეცადა შემდეგ ეკკლესიათა ერთობას სომეხთ-საზერძეთის დვინის ორს კრებაზედ, კონსტანტინეპოლისა და ბოლოს კარნუქალაქის (არზრუმი) კრებაზედ, მაგრამ ამაოდ, თუმც სომეხთა წარმომადგენელთა აღიარეს განჩინება ხალკიდონის კრებისა (451 წ.). კირიონმა დაიცვა საქართველო ერთბუნეზიანთა წვალუბისგან და დაამკვიდრა მცხეთის საკათალიკოზო დამოუკიდებლივ. 575 წ. კირიონმა აკურთხა გუარამ კუროპალატი მეფედ საქართველოსა (Арх. нут. ბაქრაძისა, 157-8 გვ.)<sup>10</sup>.

**სამოელ** 519-623. წინად შიო. ეპისკოპოსი. ამან, ჭკრეთ მავარდიაკონმან, არწმუნა სახარება ქრისტესი ევსტათი მცხეთელსა და ნათელსცა; ამის მთავარ-ეპისკოპოსობასა 619 წ. აგვისტოში მიიღო გვირგვინმოწამეობისა. ამისავე დროს ხელ-დასხმულ იქმნა წმ. ნეოფიტე ეპისკოპოსად ურზნისისა და ეწამაცა. საქ. სამ. 315, 322 გვ., 309, 359 გვ. ამისავე დროს ჩააგდეს საძირკველი და იწყეს შენება მცხეთის გაღმა ჯვარ-პატიოსნისა და ტფილისის სიონისა. ქართ. მოქც. 34 გვ. და სუჰბ. ისტ. 45 გვ.

**ბართლომე** 615-620. ამის ფამს ივერიონი განდგნენ სომეხთა თანა თანხმობისაგან. იხ. ХРОНОЛ. Ист. Мх. АиРован. საქ. სამ. 256 გვ. ამის დროს ისევ შენდებოდნენ მცხეთის გაღმა ჯვარ-პატიოსანი და ტფილისის სიონი. ვგონებ ირაკლიმ, ვიზანტიის იმპერატორმა, ბართლომე გადააყენა კათალიკოზობიდგან (სტეფანოზის ერთგულებისათვის) და მისის წასვლის შემდეგ სტეფანოზმა ისევ აღიყვანა ტახტზედ. იხ. ქართ. მოქ. 36 გვ.<sup>11</sup>.

(გაგრძელება იქნება)

პუბლიკაცია მოამზადა

**სალომე გოგინაშვილმა**

<sup>9</sup> პ. ცხვილოვლი. "ივერია" N 67 - 1892 წ. 28 მარტი.

<sup>10</sup> პ. ცხვილოვლი. "ივერია" 1892 წ. 2 აპრილი, N 71.

<sup>11</sup> "ივერია" 1892 წ. N 84, 23 აპრილი.

საქართველოს კულტურა და მისი ავტორი

ქართლის ეკლესიის დამოუკიდებლობის ანუ ავტოკეფალიის გაფორმება საქელესიო ტრადიციებში- აც და ისტორიკოსთა უმეტესობისთვისაც საკმაოდ მტკიცედ V საუკუნის მოვლენადაა მიჩნეული და მეფე ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობას მიეკუთვნება.

ამ მოვლენის გარკვევისათვის ძირითად წყაროს XI საუკუნის მემატიანის ჭუანჭერის თხზულება "ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" წარმოადგენს. ეს თხზულება ბევრ ანაქრონიზმს, ზღაპრულ მონათხრობს შეიცავს, მაგრამ ვახტანგის მიერ საქელესიო რეფორმის ჩატარების, ქართლში კათალიკოსობის შემოღებისა და საეპისკოპოსოთა დაარსების შესახებ თხრობა საკმაოდ დამატებული ჩანს და, როგორც უტყობა, სანდო წყაროებს ემყარება. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ვახტანგის საქელესიო ღონისძიებათა შესახებ, მართალია მოკლე, მაგრამ სრულიად გარკვეული ცნობები გააჩნია "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრთიკასაც და ბევრი რამ შემდგომი ვითარებითა და არქეოლოგიურადაც დასტურდება.

"მოქცევაჲ ქართლისაჲს" თხრობიდან ირკვევა, რომ ვახტანგის დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო თავდაპირველად იოველ, ხოლო შემდეგ მიქაელ. მეფესა და ამ უკანასკნელს შორის რაღაც განხეთქილება მომხდარა და მიქაელი ფიზიკურადაც შეხებია მეფეს: "ამან [მიქაელ] მიამთხვა ფერვი გორგასალსა რომლისთვის მიმზისათვის და განაძო ეკლესიისაგან". ვახტანგს წარუვლენია მოციქულნი "საბერძნეთს" /ე. ი. ბიზანტიას/ და უთხოვია კეისრისა და პატრიარქისაგან /იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქი/ კათოლიკოსი. კეისარსა და პატრიარქს გამოუგზავნიათ ქართლში კათოლიკოსად პეტრე, რომელსაც ახლდა მონაზონი სამუელი. და ეს პეტრე იყო ქართლის პირველი კათოლიკოსი. "აქათგან იწყეს კათალიკობთა მამამთავრობად" - ასკენის "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი. 1

უფრო დაწვრილებით აქვს ეს მოვლენები აღწერილი ჭუანჭერს, თანაც ამბავი უფრო ადრეული ხანიდან იწყება. ჭუანჭერის მოთხრობით, თავისი მეფობის პირველ პერიოდში ვახტანგი ირანის შაჰის ერთგული ქვეშევრდომი და ირან-ქართლის ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის მთავარსარდალია. და აი, როცა ამ ლაშქრობის დროს ვახტანგი პონტოში იმყოფებოდა, სხვებთან ერთად, მის ლაშქარს ტყვედ

ჩაუვარდნენ მღვდელნი და მონაზონნი, მათ შორის გრიგოლ ღვთისმეტყველის 2 მიმდევარი: პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი. ვახტანგის ბრძანებით დატყვევებული სამღვდელონი გაათავისუფლეს, ხოლო ორი უკანასკნელი მეფემ დაიხლოვა, რადგან პეტრემ იკისრა მოციქულობა კეისართან და მათი მორიგება. ვახტანგმა აქ ნახა სიზმარი, რომელშიაც იგი, პეტრე და სამოელი წარდგნენ გრიგოლ ღვთისმეტყველის, კეისრისა და წმ. ნინოს წინაშე. გრიგოლ ღვთისმეტყველმა მისცა მას გვირგვინი ნათელი, ისეთივე, როგორიც თვით ედგა თავზე და უბრძანა პეტრესთვის დაედგა იგი; ხოლო პეტრემ გვირგვინი უფრო მცირე, ნაკლები ხარისხის /"უღარე"/ დაადგა სამოელს, შემდგომ სიზმარშივე პეტრემ აუხსნა ვახტანგს, რომ მისთვის გრიგოლისაგან გვირგვინის მიცემა ნიშნავს მისი, ე.ი. პეტრეს განწესებას "ეპისკოპოსთა მთავრად", ხოლო სამოელისთვის "უღარესი" გვირგვინის დადგმა - მის ეპისკოპოსად დადგენას პეტრეს მიერ. გრიგოლმა, ამასთანავე, უწინასწარმეტყველა მეფეს: "შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარნი". 3

მაღე კეისარი და ვახტანგი მორიგდნენ, მაგრამ სიზმარში ნაწინასწარმეტყველებ მოვლენათა განხორციელება დიდხანს ვერ მოხერხდა. ვახტანგს, მართალია, პირველი ცოლი - ირანელი ქალი გარდაეცვალა, მაგრამ ვერ მოიცალა კეისართან შეთანხმებისამებრ მისი ქალიშვილის ცოლად მოყვანისათვის, ვერც პეტრეს "ეპისკოპოსთა მთავრად" განწესებისათვის, რადგან ბიზანტიასთან ომის დამთავრების შემდეგ შაჰმა იგი ირანს გაიწვია და აღმოსავლეთს გაგზავნა სალაშქროდ. მხოლოდ ირანიდან მობრუნების შემდეგ წარავლინა ვახტანგმა მოციქულნი, რათა მათ მოეყვანათ მისთვის ცოლი და მღვდელმთავარნი. და აი აქ, როდესაც მიქაელ მთავარეპისკოპოსმა შეიტყო მეფის განაზრახვი, განრისხდა, ბრალი დასდო ვახტანგს ქრისტესგან განდგომაში და თვით მეფე მისი ლაშქრითურთ დაწყევლა. ვახტანგმა თავი იმართლა, მორჩილად ეახლა ეპისკოპოსს და როცა უნდოდა მის ფერხთა მთხვევა, მთავარეპისკოპოსმა გაჰკრა ფეხი და კბილები ჩაუმტვრია. განრისხებულ ვახტანგს თავის დესპანებთან

1 მოქცევაჲ ქართლისაჲს - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლები /ქვემოთ - ძეგლები.../, წ.1, 1963, გვ.93.

2 გრიგოლ ღვთისმეტყველი იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი 379-381 წწ. პეტრე და სამოელი მის საფლავს ემსახურებოდნენ ქ. ნაზიანზში.

3 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, 1955, გვ. 163-177.

ერთად მიქაელი კონსტანტინოპოლს გაუგზავნა, რათა პატრიარქს იგი დაესაჭა, ქართლში კი ახალი მღვდელმთავრები გამოეგზავნა; პატრიარქმა მიქაელი შერისხა და მღვიმეში მონასტერში ექსორია ქმნა, ხოლო ქართლის მეფის დესპანები ანტიოქიას მიაგვლინა, რათა აქაურ პატრიარქს კათოლიკოსად პეტრე, ეპისკოპოსად სამოელი ეკურთხებინა და შეერჩია კიდევ 12 ეპისკოპოსი ქართლში გასაგზავნად. კეისარი და პატრიარქი ასე მოიქცნენ, რადგან ქართლი ეკლესიურად ანტიოქიის პატრიარქზე იყო დამოკიდებულ-დაქვემდებარებული. ანტიოქიის პატრიარქმა შეასრულა კეისრისა და კონსტანტინოპოლის მღვდელმთავრის თხოვნა. ახლანაკურთხი მღვდელმთავარნი კვლავ კონსტანტინოპოლს მოსულან, სადაც კეისარს ისინი დაუსაჩუქრებია და ქართლს გამოუსტუმრებია. ასე გამხდარა პეტრე ქართლის კათალიკოსად, სამოელი - მცხეთის მთავარეპისკოპოსად და სამეფოში კიდევ თორმეტი ეპისკოპოსი გამწესებულა.<sup>4</sup>

როგორც ირკვევა, პოლიტიკურ სფეროში ვახტანგს არავითარი კავშირი ზიზანტიასთან არ ჰქონია, მაგრამ საეკლესიო სფეროში ზიზანტიასთან ურთიერთობა აშკარაა და სხვაგვარად არც შეიძლება აღიქვას, რამდენადაც ქართლი ეკლესიურად ზიზანტიამ იყო დამოკიდებული. ცხადია, რომ საეკლესიო რეფორმა ვახტანგის საერთო საშინაო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, იგი ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა.<sup>5</sup> მაგრამ ამჯერად ჩვენ ის გვინტერესებს, რომ ვახტანგის ღონისძიებანი მიმართული იყო ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალური სტატუსის მოპოვებისაკენ.

ჯუანშერის ბემომოყვანილი მოთხოვნა ვახტანგის მიერ პეტრე მღვდლისა და სამოელ მონაზონის აღრევე გაცნობის შესახებ, სავარაუდოა იმის ანარეკლი იყოს, რომ ვახტანგი საეკლესიო რეფორმას აღრევე ამზადებდა და მომავალი კათოლიკოსის კანდიდატურაც წინასწარ ჰქონდა შერჩეული, მაგრამ რატომ ეძებს ვახტანგი სხვა კანდიდატს და არ ფიქრობს ქართლის მთავარეპისკოპოსის პოსტზე მყოფი მიქაელის გაკათოლიკოსებას? ვარაუდი იმისა, რომ მიქაელსა და მეფეს კონფლიქტი რომ არ მოსვლიდათ, ვახტანგი მიქაელს არჩევდა კათოლიკოსად, საეჭვოა, რადგან თუ ჯუანშერს დავუპირებთ, ამ კონფლიქტის საბაზი სწორედ ის შეიქნა, რომ მიქაელმა ქართლის ეკლესიის მეთაურად სხვა პირი გა-

მოითხოვა ზიზანტიიდან. ამ კონფლიქტის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. სპეციალისტები /ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე და სხვა/ მიქაელისა და ვახტანგის ურთიერთის წინააღმდეგ ამხედრებას დიდხანს კონფესიურ ნიადაგზე ხსნიდნენ: მონოფიზიტობა - დიოფიზიტობის ბრძოლის ფონზე.<sup>6</sup> ვფიქრობთ, დღეს უკვე ასეთი ახსნა გაუმართლებელია. ჩვენი აზრით, ზ. ალექსიძემ სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ კონფესიური წინააღმდეგობანი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია და მეფე-მთავარეპისკოპოსის შეტაკება სულ სხვა ნიადაგზე მოხდა.<sup>7</sup> ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ გამოდის ცნობილი ბელგეელი ქართველოლოგი მ. ვან ესბროკი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვახტანგ გორგასალის დროს საქართველოში ისეთივე მწვავე სარწმუნოებრივი წინააღმდეგობანი იყო, როგორც იმდროინდელ ზიზანტიასში და მიქაელ-ვახტანგის კონფლიქტი სწორედ კონფესიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული: მიქაელი უკიდურესი ორთოლოქი-ქალკედონიტი იყო, ვახტანგი კი - ან აშკარა მონოფიზიტი, ან შემრიგებლურ /ზენონის "ჰენოტოკონის"/ პოზიციაზე მდგარი.<sup>8</sup>

მ. ვან ესბროკის ნაშრომი უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან დაკვირვება-დებულებებს შეიცავს; გასაგებია ამიტომ მისი მაღალი შეფასება სპეციალისტების მიერ.<sup>9</sup> მაგრამ ვახტანგის დროინდელი ქართლის სარწმუნოებრივი სურათი, რომელიც მ. ვან ესბროკმა წარმოადგინა, ჩვენ არადაამაჯერებლად მიგვაჩნია. ამ საკითხს დავწვრილებით შევხებით ადრე გამოსულ ნაშრომში და ამჟამად იმ მსჯელობას აღარ გავიმეორებთ.<sup>10</sup> აღვნიშნავთ მხოლოდ,

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ.1, 1979, გვ. 370-380, ს. ჯანაშია, შრომები I, გვ. 115-116, 292, კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 332-335.

7 ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალსა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო - ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 99-107.

8 Les plus anciens homeliaires georgiens, etude descriptive et historique par Michel van Esbroeck, Louvain-la-neuve, 1975, გვ. 297-299.

9 კ. მეტრეველი, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე - მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, N4, 1976, გვ. 79-81; თ. მგალობლიშვილი, ქრისტიანული ქართლი IV-V სს-ში - მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, N1, 1988, გვ. 111-115.

10 ნ. ლომოური, საქართველოსა და ზიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, 1989, გვ. 51-53.

4 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 178-191  
5 ს. ჯანაშია, შრომები, ტ.1, 1949, გვ. 291

რომ მ. ვან ესბროკმა ვერავითარი სიცხადე ვერ შეიტანა V ს-ის მეორე ნახევრის რელიგიურ სიტუაციაში, ვერც ის აჩვენა, რომ ქართლში მწვავე წინააღმდეგობა იყო დიოფიზიტ-მონოფიზიტებს შორის. ჩვენ სრულიად დასაბუთებულად გვეჩვენება მ. ალექსიდის დებულება, რომ V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში შინა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არ ყოფილა და ქვეყნის მთავარი საზღვრები ირანისა და მამლუქების წინააღმდეგ ზრდილა გამბარაიყო.<sup>11</sup> როგორც ჩანს, სრული უფლება ჰქონდა XI საუკუნეში განეცხადებინა გიორგი მთაწმიდელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან საუბრისას "ამათ წმიდათა მოციქულთა /ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელისა ნ. ლ./ განათლებულნი ვართ და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არაღარა უარ-გვყოფიეს და არცა ოდეს წვალებინა მიმართ მიღრეკილ არს ნათესავი ჩუენი".<sup>12</sup>

რა ნიადაგზე მოხდა ვახტანგსა და მთავარეპისკოპოსს შორის განხეთქილება დღეს-დღეობით ნათელი არაა; აქ სხვადასხვა ვარაუდია დასაშვები. ერთი რამ ცხადია, რომ ვახტანგს არ აწყობდა მიქაელის ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობელის პოსტზე ყოფნა, იგი მისთვის არასასურველი პირი იყო და მეფეს მისი შეცვლა იმთავითვე ჰქონდა განზრახული. მან ეს განახორციელა და რეფორმირებული ეკლესიის მღვდელმთავრად დასვა თავისთვის სასურველი პირი.\*

უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს თვით ფაქტი ქართლის ეკლესიის მღვდელთმოდღერის კათოლიკოსის რანგში აღბეგებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებულია შეხედულება, რომ ეს ნიშნავდა ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მოპოვებას. ზოლოს და ზოლოს ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, მისი უფლება თვით დაადგინოს, გაასამართლოს და

გადააყენოს თავისი მღვდელთმოდღერანი, პირველ რიგში, ეპისკოპოსები. ეპისკოპოსის ხელდასხმა - გადაყენების უფლება უნდა ჰქონდეს ეკლესიის მეთაურს და ამ ეკლესიაში შემავალ ეპისკოპოსთა კრებას. თავდაპირველად ასეთი უფლებები ჰქონდათ მიტროპოლიტებსა და ექსარხოსებს, შემდეგ უკვე პატრიარქებს.<sup>13</sup> ამჟამად, რომ ვახტანგის დროს განხორციელებულ რეფორმამდე აღნიშნული უფლებები ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა, რადგან დამნაშავე მიქაელი ადგილობრივ ვერ დასაჯეს და კონსტანტინოპოლს გაგზავნეს, სადაც ეს აქცია პატრიარქმა განახორციელა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები, რომ რეფორმის შემდეგ ასეთი უფლებები ქართულმა ეკლესიამ მიიღო, მაგრამ გარკვეული მინიშნებები საამისოდ თითქოს მოიძებნება.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზემოხსენებულმა ვახტანგის სიბმარმა, რომელშიაც გარკვეული სიტუაციური სცენაა გადმოცემული: პატრიარქი გრიგოლ ღვთისმეტყველი გადასცემს მეფე ვახტანგს ისეთსავე გვირგვინს, როგორიც თვით ელგა და უბრძანებს ამ გვირგვინით შეამკოს პეტრე. ეს მომენტი ფრიად საგულისხმოა: მომავალ კათოლიკოსს ადგამენ ისეთსავე "გვირგვინს ნათლისასა", როგორც ელგა თვით პატრიარქს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პატრიარქი და კათოლიკოსი თანასწორუფლებიანი მღვდელმთავრები არიან.<sup>14</sup>

იმავს სიბმარში, პეტრეს პატრიარქის მსგავსი გვირგვინით შემკობის შემდეგ, უკვე თვით პეტრე ადგამს "უღარეს" გვირგვინს სამოელს - მომავალ ეპისკოპოსს. ვფიქრობთ, რომ ესეც ერთგვარი სიმბოლური მინიშნებაა პეტრეს, როგორც ქართლის უმაღლესი საეკლესიო გამგებლის უფლებაზე, თვით დაადგინოს თავისი ეპისკოპოსები.

მეორე მომენტი, რომელშიაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, ესაა ვახტანგის მიერ 12 ეპისკოპოსის გამოთხოვა და შემდეგ ქართლში სწორედ თორმეტი

11 მ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

12 გიორგი მცირე, ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა. ძეგლები... წ. II, 1967, გვ. 154.

\*წინამდებარე წერილი უკვე წარმოებაში იყო, როდესაც გამოვიდა გ. მამულიას სტატია: ვახტანგ გორგასალის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ - მაცნე, ისტორიის... სერია N1, 1990, გვ. 61-73. ჩვენ არ გვექონდა საშუალება მისი დებულებების სათანადო ადგილებში ციტირება-განხილვისა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თავისთავად საყურადღებო წერილში, ავტორმა, ჩვენის აზრით, მაინც ვერ შესძლო დასაბუთება ვახტანგ-მიქაელის კონფლიქტის კონფესიური საფუძვლებისა.

13 В.В. Болотов, Лекции по истории древней церкви, кн. III, СПб., 1913, с.210-222.

14 ეს საკითხები ჩვენს მიერ განხილულია წიგნში: საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. აღმოჩნდა, რომ უფრო ადრე ამ საკითხებზე გამოკვლევა დაუწერია ბ. ლომინაძეს /იხ. საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია - საღვთისმეტყველო კრებული N12, 1989, გვ. 31-99. ამ ნაშრომს გავუცანით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი წიგნი გამოქვეყნდება იყო და სათანადო მითითებათა გაკეთება მაშინ ტექნიკურად ვერ მოხერხდა. ვახტანგის სიბმრის ახსნასთან დაკავშირებით იხ. ამ ნაშრომის გვ. 72-73.

საეპისკოპოსოს დაარსება; მეცამეტე იყო მცხეთის სამთავარეპისკოპოსო, რომელსაც სათავეში სამუელი ჩაუდგა; ვახტანგის დროს ქართლში სწორედ 12 საეპისკოპოსო დაარსდა. საეკლესიო სამართლის ძეგლებში არსებობს მითითება, რომ ეპისკოპოსთა გასამართლებისა და ასევე ახალ ეპისკოპოსთა ხელდასმისათვის აუცილებელი იყო საეკლესიო კრება, რომელშიაც სულ ცოტა 12 ეპისკოპოსი უნდა შესულიყო,<sup>15</sup> უფრო ნაკლები ეპისკოპოსის მონაწილეობა ბრალდებული სამღვდელის განსჯასა თუ ახლის არჩევაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაიშვებოდა.<sup>16</sup> საინტერესოა 419 წლის კართაგენის საეკლესიო კრების მე-12 კანონის კომენტარი, რომელიც XII საუკუნის ცნობილ იურისტსა და საეკლესიო მოღვაწეს თეოდორე ბალსამონს ეკუთვნის. ეხება რა კანონს ეპისკოპოსის განკითხვისას საეკლესიო კრებაში, არანაკლებ 12 ეპისკოპოსის მონაწილეობის შესახებ, მას მოჰყავს ასეთი შემთხვევა: კ. კვიპროსის ეპისკოპოსი იოანე ამატუნი გაუსამართლებია და განუკვეთავს 11 ეპისკოპოსისაგან შემდგარ კრებას და, თუმცა მეთორმეტე იყო კრების თავმჯდომარე კვიპროსის არქიეპისკოპოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუუქმებია კრების დადგენილება სწორედ იმ მიზეზით, რომ გასამართლება მიხდა კრებაზე, რომელსაც ესწრებოდა არა თორმეტი, არამედ თერთმეტი ეპისკოპოსი თავმჯდომარის გარდა.<sup>17</sup>

მაშასადამე, კანონიკურად დამოუკიდებლად მოქმედებდა ეკლესია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნდა სულ ცოტა 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი კრება; სწორედ ასეთ კრებას ჰქონდა ეპისკოპოსთა გადაყენებისა და ხელდასმის უფლება. ამრიგად, შემთხვევითი არ იყო ქართლში სწორედ 12 საეპისკოპოსოს დაარსება: ამიერიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო თავისი შინაგანი საქმეები - ეპისკოპოსთა ხელდასმა-გადაყენება - თვითვე განეგო. ეს გარემოებაც ადასტურებს ქართლის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის, ავტოკეფალიის მიღებას.

15 კართაგენის კრების კანონები - დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 295, შეად. იქვე, გვ. 308; Правила Православной церкви с толкованиями Никодима. т. II. СПб. 1912, с. 153-154.

16 დიდი სჯულის კანონი, გვ. 296.

17 Правила православной церкви... т. II, с. 154, ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. ზ. ლომინაძე, დასახ. საშრობი, გვ. 66-68.

მაგრამ ასეთ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება შემდგომ პერიოდში მომხდარი ფაქტები. XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს ეფრემ მცირეს ბერძნულიდან გაღებული ანტიოქიაში შედგენილი "ქრონოგრაფიიდან" ის ცნობები, რომლებშიდაც დაწვრილებითაა აღწერილი იმპერატორ კონსტანტინე კობრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღება. ამ ცნობის თანახმად, ამ დროს ანტიოქიაში მოსულა ქართლიდან მოციქულად ორი მონაზონი, რომელთაც პატრიარქისათვის ქართული ეკლესიის გასაჭირი მოუხსენებიათ, კერძოდ ის, რომ ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის დროიდან აღარ ხდებოდა ქართლის კათალიკოსის კურთხევა ანტიოქიის პატრიარქის მიერ, რადგან "აგარიანთა" /არაბეთი/ შიშით ქმნილად იყო მიმოსვლა ქართლსა და ანტიოქიას შორის. პატრიარქ თეოფილაქტეს თავის მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებით მიუცია ქართლის ეკლესიისათვის ე.წ. "პროპრეპტიკონი", ე.ი. ნებართვა ამიერიდან ადგილობრივ, საკუთარ ეპისკოპოსთა კრებაზე აერჩიათ და ხელდაესხათ კათოლიკოსი; სამაგიეროდ, ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და მასში 1000 დრაჰკანი გადაეხადა, ამასთან, ქართლის ეკლესიის წირვალოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენებიათ ანტიოქიის პატრიარქი.<sup>18</sup>

ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ ქართლის ეკლესიას დამოუკიდებლობა მიუღია არა V საუკუნის 70-80- იან წლებში, არამედ იმპერატორ კონსტანტინე კობრონიმის /741-775/ და ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს /745-751/ დროს, ე.ი. VIII საუკუნის 40-იან წლებში ანტიოქიის საეკლესიო კრების საგანგებო განჩინებით. ამ ცნობის ოდნავ გადაკეთებული ვარიანტი ჩანართის სახით მოიპოვება ჯუანშერის თხზულების XVIII საუკუნის ხელნაწერებში, ოღონდ ქრონოლოგია დარღვეულია - იგი ჩართულია იმპერატორ ირაკლის /610-641/ დროინდელ ამბების აღწერაში.<sup>19</sup>

თავის დროს ნ. მარმა აჩვენა, რომ ამ თხრობაში ბევრი რამ არაა დამატებული, ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ქრონოლოგიური პერსპექტივა, ცალკეული ფაქტები /მაგალითად, მირონის ანტი-

18 ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, ტექსტი გამოსცა თ. ზრუგაძემ, 1959, გვ. 9-10; შეად. M. Tamarati; L'Eglise georgienne, Rom, 1910, p.354-357.

19 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226-227.

ოქიდან მოტანა, ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიების დაწესება და სხვა/ რეალურ დადასტურებას ვერ ვპოვებენ. მაგრამ ნ. მარის აღიარებით, მთავარი ბირთვი ცნობისა - VIII ს-ის 40-იან წლებში ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის დამტკიცება ანტიოქიის პატრიარქატის საგანგებო კრების მიერ, ეჭვს არ იწვევს.<sup>20</sup>

ე. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს "მარტვილის ხელნაწერთა აღწერილობა". ამ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთის /"სიტყვის-გებაჲ ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთა მიერ"/ ბოლოს წერია: "რამეთუ ესრეთ შესასწავლებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინეპოლისასა და აღათონ რომთა პაპისა, გიორგი კონსტანტინეპოლისა და თეოფანე ანტიოქიისასა და მათ თანა ასოცლათთა მამათაგან გაპატონსდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამამთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზუდა საქართველოსა. და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და გაპატონსდა, რამეთუ არღარავისგან ხელქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამამთავარ არს".<sup>21</sup> ეს ცნობაც, ოღონდ უფრო ვრცელი რედაქციით, ჩართულია "ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნის ნუსხებში.<sup>22</sup>

აქ დასახელებული ყველა ისტორიული პირი VII საუკუნის მიღვაწეა, ხოლო VI მსოფლიო საეკლესიო კრება მიმდინარეობდა 680-681 წწ.-ში კონსტანტინოპოლში. მოტანილი ცნობებით ისე გამოდის, თითქოს ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ორჯერ დასმულა - პირველად VII საუკუნის 80-იან წლებში და ამ დროს კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრებაზე იგი დადებითად გადაწყვეტილა და მეორედ VIII საუკუნის 40-50 წლებში, როდესაც ანტიოქიის საეკლესიო კრებას მოუცია ქართლის კათოლიკოსისათვის დამოუკიდებლობა. თავისთავად უკვე ეს გარემოება ეჭვს იწვევს, რატომ გახდა საქირო ამ საკითხის ორჯერ დასმა, მით უფრო, რომ, თუ აღნიშნულ ცნობებს ვენდობით, ორივეჯერ საეკლესიო კრებებზე დამტკიცებულია ქართლის ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შემოხსენებულ ცნობებში აისახა ქართლის ეკლესიის მიერ სრული დამოუკიდებლობის

მოპოვების სხვადასხვა ეტაპი. ასე მაგალითად, ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ქართლის ეკლესია თავისი მდგომარეობით ავტოკეფალური გახდა უკვე VI საუკუნის დასაწყისში /ასე ათარიღებდა იგი ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმას/, მაგრამ საიმპერიო-საეკლესიო მასშტაბით ამ ფაქტის დამტკიცება საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მოხდა მხოლოდ VIII საუკუნეში.<sup>23</sup>

მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მეორე ვარაუდი: როგორც ჩანს, რაღაც მიზეზით ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე რამდენჯერმე დასმულა; ანტიოქიის პატრიარქები ცდილობდნენ კვლავ დაექვემდებარებინათ ქართლის ეკლესია, ან, ყოველ შემთხვევაში, ანტიოქიის საპატრიარქოზე მისი რაღაც დამოკიდებულება აღედგინათ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი შემთხვევა სხვაც იყო. კერძოდ, ოდესღაც ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი კ. კვიპროსის მიტროპოლია, შემდეგ ავტოკეფალიას მოიპოვებს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქები ორჯერ ცდილან ამ მიტროპოლიის დაქვემდებარებას; საქირო შეიქმნა ეფესოს და ქალკედონის საეკლესიო კრებათა მიერ კვიპროსის ავტოკეფალიის ხელახლა დადასტურება.<sup>24</sup> საფიქრებელია, ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ქართლის ეკლესიის შემთხვევაში. მაშასადამე, მოტანილი ცნობები ვერაფრით ვერ შეარყევენ დებულებას ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ. პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, რომ, მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა, საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეჯერ დადასტურებული იყო საეკლესიო კრებების მიერ, კერძოდ კი კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრების მიერაც.

როგორც ცნობილია, ანტიოქიის საპატრიარქო XI საუკუნის შუა ხანებში კიდევ ერთხელ ეჭვის ქვეშ დააყენა ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი და მასშინ დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს გიორგი მთაწმიდელს მოუხდა ჩვენი ეკლესიის დაცვა. ამ დროს დაძაბული ურთი-

20 Н.Я. Март, Исторический очерк Грузинской церкви - Журналы и протоколы заседания Предсоборного присутствия, т. III, СПб., 1907, №5, с.130-133.

21 ძველი საქართველო, ტ. III, განკ. I, 1911, გვ. 117.

22 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 231-232.

23 Н.Я. Март, Исторический очерк Грузинской церкви, с.133; შეად.: М. Tarchnsvili, Die Entstehung..., გვ. 118-119.

24 დიდი სჯულის კანონი, გვ.266; В.В. Болотов, Лекции..., с. 244.

ერთობა შეიქმნა ქართველ და ბერძენ სამღვდელთა შორის და უკანასკნელთ მოისურვეს ქართველი ბერების გაძევება სვიმონწმინდის მონასტრიდან. ამ მიზნით მათ ანტიოქიის მაშინდელ პატრიარქთან თეოდოსისთან /1057-1059/ ქართველი ბერები არამართლმადიდებლობაში დაადანაშაულეს, ხოლო როცა გიორგი მთაწმიდელმა ეს ცილისწამება გაჰგანტა, ბერძენმა სამღვდელოებამ ახლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებამოსილება დააყენა ეჭვის ქვეშ. მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ: გიორგი მთაწმიდელმა ურყევი არგუმენტებით ბრწყინვალედ დაასაბუთა ქართული ეკლესიის უფლებები. პატრიარქი თეოდოსი და მისი ხელქვეითი ეპისკოპოსები იძულებული იყვნენ ცხლთ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის სრული უფლებამოსილება.<sup>25</sup> ამრიგად, უშედეგოდ დამთავრდა ანტიოქიის ეკლესიის კიდევ ერთი ცდა - დაექვემდებარებისა საქართველოს ეკლესია.<sup>26</sup>

პატრიარქ თეოდოსისთან გიორგი მთაწმიდელის პაექრობასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის ცნობილი იურისტისა და საეკლესიო მოღვაწის თეოდორე ბალსამონის ცნობა იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. თეოდორე ბალსამონი კომენტატორია "სკულის კანონთა" კრებულისა, ითვლება ფრიად კომპეტენტურ კომენტატორად. ამასთან, ის ეყრდნობა მრავალ ისეთ საინტერესო საბუთს, რომლებიც სხვაგან არსად მოიპოვება. ამრიგად, მის ცნობებს თითქმის დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭება.<sup>27</sup>

კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების /383 წ./ მიერ მიღებული II კანონის განმარტებისას ბალსამონი აღნიშნავს: "ნუ გაიკვირებთ თუ სხვა ეკლესიებსაც იბოვი ავტოკეფალურად, როგორც მაგალითად, ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას... იბერიის არქიეპისკოპოსი პატრიარქი აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამზობენ, რომ მაშინ, როდესაც ლუთაებრივი ქალაქის ღიღი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელსაც მაშინ ექვემდებარებო-

და ანტიოქიის პატრიარქს."<sup>28</sup>

ამ ცნობაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიქცია გამოთქმამ ბოლო წინადადების დასაწყისში: "ამზობენ" / Λεχεται / ამან ზოგ სპეციადისს აფიქრებინა, რომ მთელი ცნობა იბერიის ავტოკეფალიის შესახებ დამყარებულია ზეპირ გადმოცემაზე. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი, გამოთქმა "ამზობენ" ეკუთვნის მხოლოდ ბოლო წინადადებას, ამდენად, თვით ფაქტი იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა და ამ უფლების ამ ეკლესიისათვის ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ მინიჭებისა, ბალსამონისთვის საეჭვო არაა.

მაგრამ უფრო მეტიც: რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ ბალსამონის მუშაობის შეთოდს, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ მხოლოდ ზეპირ გადმოცემაზე დაყრდნობა. გამოთქმაში "Λεχεται" უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომდევნო ცნობებს ამზობენ რაღაც წყაროები, რაღაც დოკუმენტები.

მეორე საკითხი ეხება ბალსამონის ცნობაში მოხსენებული ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს ვინაობის დადგენას. სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული მოსაზრება, რომ ბალსამონის "უფალი პეტრე" არის ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III, რომელიც ანტიოქიის პატრიარქი იყო 1053-1057 წწ-ში, ე.ი. იყო შემოსხენებული თეოდოსის უშუალო წინამორბედი.<sup>29</sup> ეს გაიგივება იმდენად უქვეყნად არის მიჩნეული, რომ მაგალითად, ბ. ლომინაძე გადმოგვცემს რა გიორგი მთაწმიდელისა და თეოდოსის დროინდელ პაექრობას, პირდაპირ ამბობს, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განხილულ იქნა ორ კრებაზე: პეტრესა და თეოდოსის დროს.<sup>30</sup> პეტრესდროინდელი კრება ბალსამონიდანაა აღებული, თუმცა გიორგი მთაწმიდელის გიორგი მცირისეულ "ცხოვრებაში" არც პეტრეა ამ კონტექსტში ნახსენები, ხოლო მის დროინდელ კრებაზე რაიმე მინიშნებაც კი არაა.

ამავე დროს, ბალსამონისეული "უფალი პეტრეს" მაინცა და მაინც პეტრე III-თან გაიგივება სულაც არაა უღაფო და ბალსამონის დადანაშაულება, რომ მან შეკლომით გადმოიტანა XI საუკუნეში ქართული ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, არასამართლიანია. ჯერ კიდევ 1910 წ. მ. თამარაშ-

25 გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 150-153.  
 26 XI ს-ში უკვე შეიძლება დაპარაკი სრულიად საქართველოს ეკლესიაზე და არა დოკალურად ქართლის ეკლესიაზე.  
 27 H.G. Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich, 1959, გვ. 657-658.

28 ს. ვახუშტისეული, გეორგიკა, VIII, 1950, გვ. 17-18.  
 29 ს. ვახუშტისეული, გეორგიკა, VIII, გვ. 18, შენ.2.  
 ბ. ლომინაძე, დასახ. შრომა, გვ.91.  
 30 ბ. ლომინაძე, დასახ. შრომა, გვ. 93.

ვილმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბალსამონის "უფალი პეტრე" არ შეიძლება იყოს პეტრე მესამე და უფრო სავარაუდოა მისი გაიგივება V საუკუნის 70-80-იანი წლების მოღვაწესთან, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონთან ანუ მკაწრველთან.<sup>31</sup> შემდგომ, 1934 წ. ერნსტ ჰონიგმანმა ექვი გამოთქვა, რომ ძნელი სათქმელია, ვის გულისხმობს ბალსამონი - პეტრე მკაწრველს თუ პეტრე III.<sup>32</sup> ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ბალსამონისეული "მეუფე პეტრეს" გაიგივება პეტრე III-თან გამორიცხებულად გვეჩვენება, პირველ რიგში, გიორგი მცირის თხზულების საფუძველზე. შეუძლებელია, თეოლოსი პატრიარქს მისი წინამორბედის პეტრე III-ის დროს შემდგარი კრების დადგენილება არ სცოდნოდა, ამ საქმეში სრულიად გაურკვეველი ყოფილიყო, როგორც "ცხოვრებიდან" აშკარად ჩანს და ასე მოკლე დროში კვლავ საჭირო გამხდარიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო მსჯელობა.

**ამრიგად, ბალსამონის ცნობა, ჩვენის აზრით, სწორედ იმის მყარ საბუთად გამოდგება, რომ ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია V საუკუნეში იყო აღიარებული და დამტკიცებული ანტიოქიის საეკლესიო კრების მიერ.**

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ დავასკვნით: V საუკუნის 70-80-იან წლებში ქართლის ეკლესიამ მოიპოვა დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსი, იგი გაფორმდა როგორც სრულყოფილი ავტოკეფალური ეკლესია, საკუთარი საეკლესიო კრებით /12 ეპისკოპოსი/, ეპისკოპოსთა ხელდასხმა - განკვეთის შეუვალი უფლებით, დამოუკიდებელი საჭეთმპყრობელით, რომელიც კათოლიკოსის ტიტულს ატარებდა. გაეხსენოთ "მოქცევაჲ ქართლისაჲს" სიტყვები, რომ "აქათგან იწყეს კათალიკოზთა მამამთავრობად". იგივე ტერმინია ჩვენს მიერ დამოწმებულ მარტვილის ხელნაწერშიც. ქართული ტერმინი "მამამთავარი" კი ფაქტიურად პირდაპირი თარგმანია ტერმინისა "პატრიარქი". საინტერესოა, აგრეთვე, იგივე "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ცნობა, რომ გარკვეული დროიდან ქართლის კათოლიკოსებად ხდებიან ადგილობრივი წარმომავლობის პირნი.<sup>33</sup> რაც ჩვენ აქამდე ვილაპარაკეთ, შეეხებოდა

აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლის ეკლესიას. ამავე ხანებში სულ სხვა ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. როგორც ცნობილია, ძვ.წ. I საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველო სხვადასხვა ფორმით რომეო იყო პოლიტიკურად დამოკიდებული და შესაბამისად ეკლესიურადაც ჯერ რომს და შემდეგ ბიზანტიას ექვემდებარებოდა, ოღონდ განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაცია ანტიოქიის ან რომელიმე სხვა აღმოსავლური საპატრიარქოს ხელქვეითი კი არ იყო, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქისა.

ადრეული ხანებიდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის შესახებ ჩვენ მხოლოდ ცალკეული ფაქტები ვიცით. ქართული ტრადიციის თანახმად, რომელსაც მხარს უმაგრებენ ბიზანტიური წყაროებიც, დასავლეთ საქართველოში, ისევე, როგორც სამცხის ცალკეულ ოლქებში, ქრისტიანობის გავრცელება ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოღვაწეობას უკავშირდება. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოშიაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.<sup>34</sup> 325 წ. ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, რომლის სამწყსო აღმოსავლეთ რომის პოლემონის პონტოს ეპარქიას ეკუთვნოდა.<sup>35</sup> შემდგომი ხანიდან კონკრეტული ფაქტები ჩვენ არ ვიცით, ხოლო VI საუკუნიდან, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ანუ ლაზიკის ეკლესიას განაგებდა მიტროპოლიტი, რომელიც ფაშისში იჯდა და რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის სამწყსოში შედიოდა; უკანასკნელს ექვემდებარებოდა, აგრეთვე, აზაგის არქიეპისკოპოსი, რომელიც სებასტოპოლისში ანუ ცხუმსოხუმში იჯდა. ასეთი სურათი ასახულია ე.წ. ნოტიციებში ანუ ტაქტიკონებში, რომლებიც წარმოადგენდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელქვეით საეკლესიო კათედრათა ნუსხებს. ამ ნოტიციათაგან უძველესი VII საუკუნისაა, თუმცა ამ საეკლესიო სისტემის ჩამოყალიბებას სპეციალისტები იუსტინიანე I ხანას, ე.ი. VI საუკუნეს აკუთვნებენ.<sup>36</sup>

აღნიშნულ ნოტიციათაგან, იმათში, რომლებიც IX საუკუნის პირველი ნახევრით და უფრო ადრე-

<sup>31</sup> M. Tamarati, L'Eglise georgienne, Rom, 1910, გვ. 357-358.32.

<sup>32</sup> E. Honigmann, Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches, Bruxelles, 1934, გვ. 211.

<sup>33</sup> ძეგლები... I, გვ. 94; M. Tarchnisi, Die

Entstehung..., გვ.118.

<sup>34</sup> ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, 1968.

<sup>35</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1961, გვ.2-4.

<sup>36</sup> Parthey, Hieroculus Synekdemus et Notitiae graece episcopatum, Berolini, 1866, p.

ლი ხანით თარიღდება, ფაზისის მიტროპოლიტი, თავისი ხელქვეითი ეპისკოპოსებით და სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისის პატრიარქს ექვემდებარებიან, ხოლო IX საუკუნის 80-იან წლების შემდგომ შედგენილ ნოტაციებში კონსტანტინოპოლისის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მღვდელმთავართა ნუსხებში აღარ შედიან აღარც ფაზისის მიტროპოლიტი, აღარც სებასტოპოლისის არქიეპისკოპოსი.<sup>37</sup> ამ ფაქტის საფუძველზე თავის დროს ნ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლისის საპატრიარქოს.<sup>38</sup> ეს აზრი შემდეგ გაიზიარეს სხვა მკვლევარებმაც.<sup>39</sup>

როგორც ცნობილია, VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა ერისთავმა ლეონ II გააერთიანა აფხაზეთის საერისთავო და ეგრისი და გაათავისუფლა ეს გაერთიანებული ქვეყანა ბიზანტიის ბატონობისაგან, მიიღო რა "აფხაზთა მეფის" ტიტული. ასე წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოში ე. წ. "აფხაზთა სამეფო", რომელიც არსებითად ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ანუ მოსახლეობის გადამწყვეტი უპირატესობით, კულტურულად და მის მესვეურთა პოლიტიკური მრწამსითა და მიმართულებით ქართული სახელმწიფო იყო. აფხაზთა სამეფოს გაფორმების შემდეგ, ეკლესიურად დასავლეთ საქართველო გარკვეული ხანი კონსტანტინოპოლისის პატრიარქის სამწყვსოში რჩებოდა, მაგრამ IX საუკუნეში იგი გამოეყო კონსტანტინოპოლისის საპატრიარქოს, დამოუკიდებლობა მოიპოვა და შემდეგ მცხეთის საკათოლიკოსო ტახტს დაექვემდებარა.

ყველა არსებულ წყაროთა ანალიზის საფუძველზე, ნ. ბერძენიშვილს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გარდაქმნების თანამიმდევრობა შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიიდან ერთბაშად არ ხდება. ჯერ საკუთრივ

აფხაზეთის /აზაზგიის/ ეკლესია მოიპოვებს გარკვეულ დამოუკიდებლობას; ეს უნდა მომხდარიყო VII საუკუნის ბოლოს, როდესაც აზაზგიის არქიეპისკოპოსი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის სტატუსს მოიპოვებს. შემდეგ ხდება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება /VIII ს. ბოლოს ან IX ს. დასაწყისში/ და გაერთიანებულ ეკლესიას სათავეში უდგება აფხაზთა კათოლიკოსი; ბოლოს, IX საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზთა სამეფოს ეკლესია გამოეყო კონსტანტინოპოლისის საპატრიარქოს და მცხეთის ტახტს დაექვემდებარა, ხოლო აფხაზთა კათოლიკოსი ქართლის კათოლიკოსს დაემორჩილა. საეკლესიო რეფორმა აფხაზეთში ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით საბოლოოდ X საუკუნეში დასრულდა. უფრო მოგვიანებით, როგორც ჩანს, აფხაზთა კათოლიკოსის სახელი გაუქმდა.<sup>40</sup>

ამრიგად, IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლის ავტოკეფალი კათოლიკოსი რეალურად სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმძღვანარი ხდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ XI საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იწოდება კათოლიკოს-პატრიარქად. პირველად ამ ტიტულით იხსენიება 1010-1033 წლების საქართველოს მღვდელმთავარი მელქისედეკ I მცხეთის სვეტიცხოვლისადმი ზოძებულ შეწირულების საბუთში.<sup>41</sup>

ვიფიქრობთ, რომ ეს ტიტული ასახავს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესების დასრულებას, სრულიად საქართველოს ეკლესიის საბოლოო ჩამოყალიბებას. ამასთან, საქართველოს ეკლესიის მეთაურის ეს ტიტული კანონიკური წესით ყოფილა უდავოდ მიღებული, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტულით შემდგომში მიმართავენ რომის პაპი და სხვა მაღალი რანგის უცხოელი სამღვდლო პირნი.<sup>42</sup>

37 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, 1959, გვ. 131-148.

38 ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, - ენიქის მოაზზე, X, 1941, გვ. 291-293.

39 პ. ინგოროყვა, გეორგი მერაული, 1951, გვ. 243-245;

ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, გვ. 180-202;

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 182-193.

40 ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 296-299, მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 187-193.

41 ი. ლილიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 18.

42 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1912, გვ. 19-20, ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 1913, გვ. 33; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, 1984, გვ. 88.

# საქართველოს ეკლესიის უწყისებები

პატრა, 12 მარტი, 1990 წ.

მის უნეტარესობას სრულიად საქართველოს პატრიარქს უფალ ილიას თბილისი

უნეტარესო,  
დიდის სიხარულით შევხვდით მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს უწმიდესი ეკლესიის საპატრიარქოდ ამადლებსა და თქვენი საყვარელი უნეტარესობისათვის საპატრიარქო ღირსების დადასტურების ფაქტს.

საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის მინიჭება ძალიან ძველ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ახლა კი დადგა დრო ღვთის წყალობისა, რათა ქრისტეს მიერ დიდი და სრულიად მართლმადიდებლობის უპირველესი ტახტის მიერაც დამტკიცდეს მცხეთის უძველესი საარქიეპისკოპოსო, ვითარცა ავტოკეფალური საპატრიარქო, თავისი იურისდიქციით და საქართველოს ღირსეული და მორწმუნე ხალხის დამოუკიდებელი მმართველობით.

ვულოცავთ თქვენს საყვარელ უნეტარესობას, რომლის ახლოს გაცნობის ბედნიერებაც მოგვეცა. ეს სიყვარული კეთილ მოგონებად დარჩება, ვეაშბორებით წმიდა აშბორით ქრისტე ღმერთისა ჩვენისა მიერ მაღალყოვლადუსამღვდელოეს იერარქიას თქვენი უწმიდესი საპატრიარქო ტახტისა, გისურვებთ, რომ წარმატებით სავე იყოს თქვენი ავტოკეფალური ეკლესიის გზა, სადიდებლად ღვთისა, საკეთილდღეოდ თქვენი სამწყსოსა და მთელი მართლმადიდებლობისა.

უფლისმიერი შოკრძალვებითა და სიყვარულით თქვენი უნეტარესობის ერთგული და  
ქრისტესმიერი ძმა  
პატრას პატროპოლიტი  
ნიკოლიმოსი.

## ქ. ინეგოლი /თურქეთი/

ჩვენი ერის უწმიდესო მამავ, პატივცემულო ილია III!

უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პატივისცემით და მამა-შვილური სიყვარულით გემთხვევით ხელზე-მსოფლიომ აშკარად დაინახა, რა მოუვიდა ქართველ ერს 9 აპრილს და შემდეგ შავბნელ დღეებში. ყველაფერი თავის დროზე კათოლიკურიად თურქეთელმა ქართველებმა რაც შეეძლო, მაგრამ დღესდღე ხმა ვერ მოგაწვდინეთ სამწუხაროდ. მტრის საწინააღმდეგო პროტესტები ვერ გამოვაცხადეთ. ამის მიზეზი არის ჩვენი აქაური მდგომარეობა...

ჩვენო უწმიდესო მამავ, ღმერთის შეყვარებული ქართველი ერი კეთილი და სასიამოვნო დღეების დროს ხომავ. აჰა, წავიკითხეთ თურქულ ჟურნალებში ასეთი საბედნიერო ამბავიც, თურმე დალოცვილა და მოგნიჭებიათ ის ყველაზე მაღალი წოდება. გილოცავთ ახალ ტიტულს და გამჩენ ღმერთს ვთხოვთ არასოდეს არ დაგარცხვინოთ არც წეთისოფელში და არც საიქიოს. ამინ.

მარად თქვენი კეთილისმსურველი ვახტანგ მალაყმაძე ე.ი.  
ჰაირი ჰაირიოდლე /თურქეთი/

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილბაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გულ-წრფელად ულოცავს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ქართველ ხალხს, სრულიად საქართველოს და პირადად თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, ღირსშესანიშნავ მოვლენას - ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და თქვენი, როგორც მისი მეთაურის, ღირსების ცნობას კონსტანტინეპოლის მსოფ-

ლიო მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წმიდა სინოდის მიერ.

გვწამს, რომ ეს მოვლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად აამაღლებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლს საქართველოს ერთიანობის, მისი წინსვლისა და სასიკეთო მომავლისათვის ბრძოლის საქმეში.

ღმერთი იყოს საქართველოს შემწე!

საქართველოს მ/ა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი  
აკადემიის წ.კ. პროფ. ზესარიონ ჯორჯენაძე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და  
უნეტარესს ილია მეორეს

გვაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უკიდევანო სიხარულითა და ამაღლებული სიამაყით შეხვდა ცნობას - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და ქართული ეკლესიის მეტაურის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის საპატრიარქო ღირსების აღიარების შესახებ, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო წმიდა სინოდის საბჭომო ცერემონიაზე, 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ამ უაღრესად ღირსშესანიშნავ დღეს ქართველ ხალხს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს, საეკლესიო მოღვაწეებს და, უპირველეს ყოვლისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს ქართული ეკლესიის ჭეშმარიტ აღმაშენებელს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატრიარქო ღირსების ცნობა ქართველ მეცნიერთა წრეში აღიქმება, ვითარცა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის აქტი და მიიხსნება ქართველი ერის, დუიისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მაღალი როლის აღიარებად საკაცობრიო ცივილიზაციაში შეტანილი ქრისტიანული წვლილისათვის.

გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი საბჭომო მამულიშვილოური მილოცვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს, ქართული ქრისტიანული ეკლესიის მრევლს და აღუთქვათ მათ ქართველ მეცნიერთა განუყრელი და საუკუნო თანადგომა, რამეთუ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია არის დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიაც.

პრეზიდენტის სახელით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის  
მოვალეობის შემსრულებელი აკადემიკოსი  
ანდრია აფაქიძე

სრულიად საქართველოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს  
ილია II-ს

თქვენო უწმიდესობავ, საქართველოში თქვენი ტრიუმფალური დაბრუნებით მეც ბედნიერად ვრაცხ თავს და ვულოცავ ქართულ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის ღირსეულ მწყემსმთავარს ამ უდიდეს გამარჯვებას.

გეხვევით, გკოცნით სიყვარულითა და განუზომელი პატივისცემით, მარად თქვენი ერთგული  
რეზო თაბუკაშვილი

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს**

თქვენო უწმიდესობავ!

გულწრფელად გილოცავთ პირადად თქვენ, წმიდა სინოდსა და სრულიად საქართველოს საქრისტიანო მრევლს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსების საყოველთაო აღიარებას.

დიდად ვხარობ, რომ როგორც ეს მოვლენა, ისე სხვა მრავალი საქრისტიანო სასიკეთო საქმეები, რაც უშუალოდ ქართველი ერის კონსოლიდაციის სამსახურში ჩადგა, თქვენს სახელთანაა დაკავშირებული.

მინდა გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე, მტკიცე ჯანმრთელობა და მხნეობა ჩვენი ხალხის, სრულიად საქართველოს სასიკეთოდ და საბედნიეროდ.

**მოკრძალებით, მარად თქვენი თანამდგომი  
როინ მეტრეველი**

**უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქს ილია II-ს**

ღრმად პატივცემულო ბატონო ილია, ნება გვიბოძეთ მოგილოცოთ ისტორიული გამარჯვება - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

თქვენი სიმონ ხეჩინაშვილი ოჯახით

**მის უნეტარესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილიას**

მიიღეთ ჩემი ღირსეული სურვილები და მოკითხვები ვკუმენური ტახტის მიერ თქვენი წმიდა ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით.

კარგების და სრულიად ფინეთის მთავარეპისკოპოსი იოანე

**უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქს ილია II-ს**

საქართველოს კულტურის ფონდი, საქველმოქმედო საზოგადოება "თბილისელის" გამგეობა, საბჭო და მისი ყველა წევრი იზიარებენ სასიბარულო და ღირსშესანიშნავ მოვლენას - მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოს I-ის მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურებას, რაც თქვენი უწმიდესობის დაუღალავი და თავდადებული შრომისა და მეცადინეობის შედეგია.

ქართველი ერი მარად მადლიერი დარჩება თქვენი ამ მამულიშვილური ღვაწლისათვის. ჩვენთან არს ღმერთი.

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი  
საქველმოქმედო საზოგადოება "თბილისელის" გამგეობა**

## ეპისკოპოსი კირიონი ( საძაგლიშვილი )

XIX საუკუნის ბოლოს უთანხმოება რუსულ საეკლესიო მმართველობასა და ქართველ ხალხს შორის თანდათან ღრმავდებოდა, XX საუკუნის დასაწყისში კი ჩვენმა სამღვდელეობამ კატეგორიულად დასვა საკითხი უწმიდესი სინოდის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

1906 წელს, იანვრის ბოლოს, პეტერბურგში გაიმართა ორი სათათბირო სხდომა ქართულ საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით. საქართველოს მხრივ ამ სხდომას ესწრებოდნენ ეპისკოპოსები ლეონილე ოქროპირიძე და კირიონ საძაგლიშვილი. რუსი სამღვდელეობა თავიდანვე უარყოფითად იყო განწყობილი განსახილველი საკითხისადმი და ქართველთა მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ ამ სხდომათა მასალები თავისთავად ძალზე საინტერესოა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და, კერძოდ, მისი ერთი მწვავე პერიოდის, დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიის შესასწავლად.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში კირიონ II /საძაგლიშვილის/ ფონდში ინახება უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის წერილები სხვადასხვა პირთადმი. ამ წერილებში ჩვენთვის საყურადღებო მრავალი ფაქტია აღწერილი და არაერთი საინტერესო აზრია გამოთქმული. ამავე დროს 256 და 257 ნომრით არის დაცული ორი წერილი მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი, რომლებშიც უწმიდესი კირიონ II, იმჟამად ეპისკოპოსი, დაწვრილებით აღწერს ზემოხსენებული ორი სხდომის ამბებს, როგორც მათი თვითმხილველი და უშუალოდ მონაწილე.

ჩვენის აზრით, ქართველი მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ წერილების გაცნობა, რის გამოც თითქმის მთლიანად ვბეჭდავთ მათ ტექსტებს.

## მამამ წმიდამ

გადაწყვეტილი მქონდა დაწვრილებითი წერილის მოწერა, როდესაც რითიმე დაბოლოვდებოდა საქმე, მაგრამ ხომ იცი რუსული "ზავტრა". აქაც გვაზავტრავებენ...

თანახმად სინოდის უქაზისა, მე და ეპისკოპოსი ლეონილე გამოვცხადდით პეტერბურგში. პირველად ყოვლისა, ვინახულეთ ვინც კი საქირო იყო ქართველი თუ რუსი. სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვარმან ვლ. ნილოვიჩ ობნობიშინმა, რომელთანაც ლეონილესათვის გამოეტანებინა მოსკოვიდან წერილი ნ. ნ. დურნოვოს, დახმარება ვერაფერი აღმოგვიჩინა. იმედი კი გვქონდა, რომ მოგვიხერხებდა ვიტეს ნახვას თუ არა, საშინაო საქმეთა მინისტრის დურნოვოს ნახვას მაინც. ყველაზედ თანაგრძნობით მოექცა ჩვენ საქმეს, - ეს ხომ იმისი საქმეცაა - პროფესორი ა. ა. ცაგარელი, რომელიც აპირობს მთელი სერიის სტატიების დაბეჭვლას ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გაზეთ "Слово"-ში. პირველი სტატია ხვალ გამოვა. ვნახეთ დ. ბ. მელიქოვიც. დიდად გულდაწყვეტილები დაგებრუნდით იმისგან. ერთი სანუ-გემო სიტყვა არ გვითხრა, თუცა მას, როგორც ობერ-პროკურორის დიდ მეტობარს, შეეძლო ჩვენი ეკლესიური საქმის კეთილად წარმართვა...

ჩვენ ხალისი მაინც არ დავკარგეთ, გავიორკე-

ცით მხნეობა და შევუდექით საქმეს. გადავიკითხეთ თუ რამ დაბეჭდილა ამ ბოლო დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზედ ჩვენ მტერ-მოყვარეთაგან და შევთანხმდით. მე ისტორიული დამტკიცება, მოწინააღმდეგეთა საბუთების დარღვევა, გაქარწყლება შეკისრნა, ხოლო ლეონილეს ცოცხლად წარმოედგინა აწინდელი უნუგემო მღვთმარობა ჩვენი მშობლიური საყდრისა. ამისთანა დიდი და პასუხისსაგები საქმის გაძღოლა სინოდის წინ ჩვენ ორთა გვზვდა და დაგვაწვა კისერზედ. ამგვარი საქმე თითქმის ათასი წლის წინად იკისრა და დააგვირგვინა კიდევ დიდებულმა საქართველოს შვილმა გიორგი მთაწმინდელმა, მაგრამ ჩვენ ორივენი არა ვღირვართ იმის ფეხის ნატამლად. ასე დავკინდით ეხლა ქართველები!!!

იანვრის 17-ს, საღამოს 7 საათზედ შემდეგის უწყებით მიგვიწვიეს:

"Канцелярия Его Высокопреосвященства, Митрополита С. Петербургского, по Его распоряжению, имеет честь доложить Преосвященнейшему Кириону, епископу Орловскому и Севскому, что совещательное заседание по грузинским церковным делам назначено в Святейшем Синоде завтра, во вторникъ, 17 января, в 7 часов

შეუერა<sup>1</sup>

ჩვენ ერთად გავუმგზავრეთ სინოდში, სადაც ანტონი მიტროპოლიტის გარდა ყველას თავი მოყვარა. ანტონიც დანიშნულ დროზე მოვიდა და შესდგა სინოდის სრული კრება. ამ არაჩვეულებრივ კრებას, რომელიც სინოდის პრისუტსტვიის გვერძე კანცელარიის დარბაზში მოხდა, დაესწრნენ: სამივე მიტროპოლიტი, ეგზარქოსი ნიკოლაოზი, მთავარეპისკოპოსი ვორონეჟისა ანასტასი, ეპისკოპოსი ტულისა ლავრენტი, ორი დეკანოზი - იანიშევი და ფელოზოვსკი, თბერპროკურორი თ. ალექსი დიმიტრის ძე თბოლენსკი, მისი ამხანაგი პ.ი. ოსტროუმიოვი, თბერსკერეტარი ვიჩესლავ სამუილოვი და ჩვენ ორნი.

შემდეგ, მცირეოდენი საზოგადო ხასიათის ბაასისა (აქვე გადასწვვიტეს სამძიმრის დეჟეშა დედოფალთან შამის გარდაცვალების გამო დანიამში), რომელიც წინასიტყვაობასავით იყო, მეთაურმა წვერმა უწმ. სინოდისა, მიტროპოლიტმა ანტონმა პირდაპირ მოგვემართა ორთავეს კითხვით - გვიამბეთ, რა ხდება ეხლა საქართველოს ეკლესიაში, რითი აიხსნება მისი უწუგეშო მდგომარეობა და რა ზომები უნდა ვისმართო, რომ აღვადგინოთ ნორმალური მიმდინარეობა საქართველოს ეკლესიის ცხოვრებისა? რაკი მომმართა ანტონმა პირველად მე (ანტონის პირდაპირ ვიჩეჟი, თბერპროკურორის გვერძე და ჩემს შემდეგ ლეონიდე), ამ როულ კითხვაზედ ვუპასუხე: ჩვენი ბედკრული ეკლესიის ეხლანდელი უწუგეშო მდგომარეობის დახატვა მეძნელება, რადგანაც აგერ ოთხი წელიწადი სრულდება, რაც მოშორებული ვარ სამშობლო ქვეყნას, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ წარსული 31 მანის ინციდენტის გამო მეტად გამწვავდა სარწმუნოებრივი კითხვა საქართველოში, ვინაიდან უდანაშაულო გამათრახებულმა და ცემით ამოხოცილმა ქართველმა სამღვდელელებამ არაფითარი ზნეობრივი დაკმაყოფილება არ მიიღო ვისგანაც ჯერ იყო. მსჯელობის დროს მე დიდის სიამოვნებით მოვიყვანე საჭირო ცნობებს და ვაღებულადაცა ვთვლი ჩემს თავს განვუზიარო ჩემი ცნობანი კრებას.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ სთქვა: დღეს ქრისტიანობა საქართველოში განიცდის საშინელ კრიზისს, - ხალხი აღარ დაიარება ეკლესიაში, სრულებით აპყარა პატივისცემა სამღვდელელებას,

1 ს. პეტერბურგის მიტროპოლიტის კანცელარიას, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის განკარგულებით, აქვს პატივი მოახსენოს ორლოვსკისა და სუფსკის ეპისკოპოსს, ყოვლადსამღვდელო კირიონს, რომ სათათბირო სხდომა ქართული ეკლესიის საკითხებზე დანიშნულია უწმიდეს სინოდში ხვალ, სამშაბათს, 17 იანვარს, საღამოს 7 საათზე.

მღვდლების მოქმედებას და სწავლა-ლარიგებას აღარ აქვს გავლენა მრევლზედ. როგორც სამღვდელეობა, ისე მორწმუნე ნაწილი ქართველი ერისა ერთადერთ საშუალებად იმისა, რომ არ მოისპოს საბოლოოდ ქრისტიანობა საქართველოში და სამღვდელეობამ მოიპოვოს კვლავინდელი ნდობა სამწყსოსი, სოვლის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას არჩევნებითი სისტემით. ეს დასკვნა ერისა და სამღვდელეობისა საბოლოოა, მეტად მტკიცეა და ვერა გვარი მოსამრება ვერ შეაცვლევინებს მათ ამ რწმენას. ამას მე დაფუძატიე, 14 იანვარს სამღვდელეობას გადაწყვეტილი ჰქონდა ავტოკეფალიის გამოცხადება და მხოლოდ სინოდის მიერ კომისიის დანიშვნის გამო არიან შემდგარნი მეთქი, და მოუთმენლად ელიან აქედან ცნობის მიღებას, რომელმედაც იქნება დამოკიდებული მათი საბოლოო გადაწყვეტილება-მეთქი.

კრებამ ერთხმად, და განსაკუთრებით თბერპროკურორმა იკითხა: რა საბუთი აქვს ან სამღვდელეობას ან ერს, რომ ავტოკეფალიის აღდგენა გააუმჯობესებს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას? ლეონიდემ უპასუხა - ეს დასკვნა იქიდან გამოჰყავს ყველას, რომ სინამ ავტოკეფალიური გამგეობა იყო ჩვენს ეკლესიაში, მანამდისინ ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, ხოლო როდესაც ავტოკეფალიური მართვა მოისპო და რუსეთის სინოდალური გამგეობა შემოვიდა, სარწმუნოებაც დაეცა, ზნეობაც შეირყა, ცოდნაც დაქვეითდა და სხვა...

მიტროპოლიტმა ვლადიმირმა წარმოსთქვა: სინოდი სად იყო, როდესაც ზაქათალის ოლქის ქართველობა გამაჰმადიანდა? ამაზედ მე სიტყვა მოვუქერი ვლადიმირს და დაურიდებლად ვუპასუხე: ზაქათალის ოლქის მცხოვრებლების გადაბირება მაჰმადიანობაზედ ადგილობრივი ადმინისტრაციის წინდაუხედველ და ბემჭვრეტ პოლიტიკას უნდა მიეწეროს-მეთქი. დიდი მთავარი მიხელო ნიკოლოზის ძე, ნაცვალი ხელმწიფისა საქართველოში, სამოციან წლებში წაბრძანდა ზაქათალის ოლქში, სადაც ახლად მონათლული ინგილოები, ქართველები იყვნენ, და ხალხის ყრილობას გამოუცხადა: სარწმუნოების მხრით მთავრობა ძალას არ დაგატანთ, მისთვის სულერთია რა სარწმუნოებისაც გინდა იყოთ, მხოლოდ ერთგულნი სახელმწიფოსი უნდა იყვნეთ. საკმარისი იყო ამ სიტყვების გაგონება და მონათლული ინგილო-ქართველების სრულად გადადგომა თორმეტ სამრევლოში. დამავიწყდა, ვერა ვსთქვი, რომ ლეონიდემ ვლადიმირის საპასუხოდ სთქვა - თათრებმა თოფითა და მახვილით გაამაჰმადიანეს ზაქათალის ოლქში ქარ-

თველები და რუსები ხომ იმათ არ უნდა დაეპა-  
ნებო.

ობერ-პროკურორი მაინც თავისას გაიძახოდა:  
ვერ შემთხვევია, რაგვარ გააუმჯობესებს სარწმუნო-  
ების საქმეს ავტოკეფალია? ყოვლად სამღვდლო  
ლეონიდიმ უთხრა: ეკლესიის სათავეში იდგება  
ისეთი კაცი, რომელსაც ეცოდინება თავისი  
სამწყსოს ენა, ჩვეულება, ფსიქოლოგია და განა ეს  
არ გააუმჯობესებს საქმესაო? დიად, ეგ მართალია,  
მაგრამ მაგისტრის მაინც საჭირო არ არის ავტოკე-  
ფალია. ჩვენ მოგვცემთ ისეთ კაცს, რომელსაც ყველა  
ეგ თვისება ექნებაო. ამაზედ მე შემდეგი პასუხი  
მივცი: მაგ სისტემის უვარგისობა ასი წლის  
განმავლობაში საკმარისად დამტკიცდა-მოეთქა, -  
დღეს რომ კარგი დანიშნოთ, ხვალ შეიძლება  
უვარგისი მოპყვეს მოეთქა. თქვენ კი არ უნდა  
დანიშნოთ, ხალხმა უნდა აირჩიოს ეკლესიის თავი,  
იგი ხალხის შვილი უნდა იყოს, ხალხის ნდობით  
აღჭურვილი, ხალხისთვის ნამდვილ კეთილ  
მშრომველ მამად და არა მამინაცვლად, იგი  
ხალხისთვისაა და ხალხს უნდა გაუწიოს ანგარიში,  
თორემ ვინცობაა უვარგისი გამოდგა, სინოდში  
დასასრული აღარ ექნება ამის შესახებ მიწერ-  
მოწერას და გამოძიებას და, მაშასადამე, ხალხი  
უნდა დარჩეს დაუკმაყოფილებელი. ხალხის და  
თემის არჩეულს კი ხალხივე გაასამართლებს და, თუ  
საჭიროება მოითხოვს, კიდევაც გადააყენებს,  
რასაკვირველია, სამართლით.

იყო ამგვარი შემთხვევა (კათალიკოსის გადა-  
ყენება) თქვენს ისტორიაში, თუ არაო - იკითხა  
ობერ-პროკურორმა. მე ვუპასუხე - რამდენიმე და  
დავუსახელებ უფრო ახალი დროის მაგალითი -  
კათალიკოს ანტონ I-ს თავგადასავალი, რომელიც  
საქართველოს ეკლესიურმა კრებამ განჰკვეთა მეფის  
დაპტკიცებით და რუსეთის სინოდმა კი უკანონოდ  
მიიღო იგი ერთობაში და დანიშნა  
მთავარეპისკოპოსად ვლადიმირისა და იეროპოლისა.  
როდესაც მონანა მან თავისი დანაშაული, იგი  
კვლავ იქნა მოწვეული კათალიკოსის კათედრაზედ  
და შემდეგ თვისს გარდაცვლამდე განაგებდა საქარ-  
თველოს ეკლესიას.

მიტროპოლიტმა ანტონმა სთქვა: ამ ოთხი წლის  
წინათ მე მნახა პატივოვანად ყოვლად სამღვდლო  
ლეონიდიმ და მაშინ მეტად შაფურად დამბატა  
თვისი შევიწროებული მდგომარეობა, როგორც  
მღვდელი მთავრისა, კანტორისა და ეგზარქოსის  
შირით. ლეონიდიმ უპასუხა - დასავლეთის  
საქართველოს ეპისკოპოსებს მხოლოდ სახელი  
ჰქვიათ ეპისკოპოსისა და უფლებას კი სრულებით  
მოკლებულნი ვართო. აქ ობერ-პროკურორის

ამხანაგმა წარმოსთქვა: წარმოუდგენელია ის  
უსამართლობა, რომელსაც აყენებს კანტორა  
ქართულ ეპისკოპოსებს. იქამდინ შემღვდულნი  
არიან ეპისკოპოსები, რომ მათ უფლება არა აქვთ  
მეტრიკის მოწმობა მისცენ მთხოვნელს, ან  
გადასწყვიტონ რომელიმე საჩივარი მღვდლის  
შესახებო.

ობერ-პროკურორის ამხანაგის სიტყვების შე-  
სახებლად წარმოსთქვი მე შემდეგი: განსვენ-  
ებულმა ეგზარქოსმა პავლემ დაიწყო დამარება  
სასულიერო სასწავლებლების საბჭოებიდან,  
იმერეთის ეპარქიიდან, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ  
დამტკიცებული ჟურნალებისა, წაშლიდა გაბრიელის  
განჩინებას და სულ სხვაგვარად მსწვევდა შვე-  
დათავებულს და გარჩეულს საქმეს, ეს პატივცემული  
მსცოვანი გაბრიელ ეპისკოპოსის დამცირება და  
გათახხირება შემდეგ ეგზარქოსებმა დააკანონეს. აქ  
თავი გამოიღო მიტროპოლიტმა ფლამბანკიმ და  
მოგვმართა მე და ლეონიდეს: თქვენ რომ კანტორის  
წვევებად იყავით, იმ დროს რატომ არა  
მსჯელობდით მაგვევარად, რატომ ვერ  
თავგამოდებდით არ იფარავლით მაშინდელ  
ეპისკოპოსებსო? ჩვენც თქვენ მაგალითს მივსდევდით  
და, როგორც გამოცდილს თავმჯდომარეს, თქვენ  
უნდა გესწავლებინათ ჩვენთვის კანონი და, მად-  
ლობა ღმერთს, რომ ჩვენ თვით შევიგნეთ, თუ რამ  
უსამართლობას ვჩადიოდით, - ვუპასუხეთ ჩვენ.  
ნალაპარაკებმა გააოცა ყველანი და ერთხმად  
აღიარეს, რომ საქართველოს ეკლესიის გამგეობაში  
დიდი უსამართლობა ყოფილაო. ვორონევის  
მთავარეპისკოპოსმა წარმოსთქვა: ეპისკოპოსი ყველ-  
გან თავისი უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი და  
არ მისმის რად უნებებია სინოდს ქართველი  
მღვდელთმთავრების დაჩაგვრაო. კანტორის უსარ-  
გებლობა, უსაფუძვლობა და მისი არაკანონიერი  
არსებობა ერთხმად აღიარა ყველამ.

მსჯელობამ მოიტანა სიტყვა სემინარიასა და  
სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის სწავ-  
ლების შესახებ. მე ვსთქვი, მხოლოდ 1883 წლიდან  
დაარსდა ქართული ენის კათედრა და მანამდე აბა  
რა ღვდლები იქნებოდნენ კურსდამთავრებულნი. მე  
თვითონ ქართული ენის შესწავლას შევედევქი,  
როდესაც სწავლა შევასრულე აკადემიაში. სასწავ-  
ლებლებში პირველად მირაოდოსის შუამდგომლო-  
ბით დაარსდა ქართული ენის კათედრა, რომელსაც  
დაუნიშნეს კვირაში 14 გაკვეთილი, შემდეგ ნელ-  
ნელა შეამცირეს გაკვეთილების რიცხვი და ეხლა  
მხოლოდ 12 გაკვეთილია. იმთავით აქამდე რაღაც  
უჩინარი ძალა უშლის ქართული ენის კარგად დაყ-  
ნებას. საეკლესიო წიგნების კითხვა ხომ ყოვლად

შეუძლებელია, შეისწავლოს მოწაფემ კლასში, ამისათვის საჭიროა პრაქტიკა ეკლესიაში, მაგრამ სამწუხაროდ, ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვა არ არსებობს სასულიერო სასწავლებლებში. მე ქართულ ენას ვასწავლიდი თბილისის სასულიერო სასწავლებელში და რომ ხუცური კითხვა ცოტათი მაინც შესწავლებინა, იძულებული ვიყავ მიმემართა ხუცური ასოების წერისთვის. მე და ყოვლად სამღვდელლო ლეონიდეს მოგვანდეს ქართული ენის პროგრამის შედგენა, ვიმუშავეთ კარგა ხანს, შევადგინეთ პროგრამა და წარვუდგინეთ ეგზარქოსს, რათა მას გაეგზავნა იგი მაღალ სასულიერო მთავრობისთვის, ხოლო მან ისევ სემინარიის სამმართველოს მიანდო მისი გარჩევა-დაფასება და დღესაც ისევ ირჩევა ჩვენგან შემუშავებული პროგრამა. ლეონიდემ სთქვა - დღესაც საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში სრულიად არ არსებობს სავალდებულო პროგრამა ქართული ენისათვის. ეგზარქოსმა წარმოსთქვა: სასულიერო სასწავლებლების ბავშვებმა საკმარისად იციან სამშობლო ენა და ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას არ ვაქცევთ ამ საგანსაო და ან რა საჭიროა ვასწავლოთ, როდესაც იმ ენაზედ თავისუფლად ლაპარაკობენო. ამაზედ მე შევნიშნე: ეგრე რომ იყოს, მაშინ არც რუსის ბავშვებისათვის იქნებოდა საჭირო რუსული ენის სწავლება, რადგანაც იგინი სასწავლებლებში შესვლამდისაც კარგად ლაპარაკობენ რუსულად.

შემდეგი კითხვა შეეხო ავტოკეფალიას. ამ ქვაკუთხედ კითხვაზედ იქ დამსწრეთ ყოყმანობით გამოსთქვეს თვისი ეჭვი საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიურ უფლებათა შესახებ, მაგრამ ჩვენ ცოტა არ იყოს ავიბრიბებით და მტკიცედ დავიცავით ძველად ჩვენი ეკლესიის შეურყეველი უფლებანი. მე პირადად გამოვიწვიე საღისპუტოდ ბ. სამუილოვი, რომელმაც სინოდის მინდობილობით ორი წერილი დასწერა და მოათავსა სინოდალურ ორგანოში საკამათო საგნის შესახებ და ქარაფშუტურ საბუთებით უარპყოფდა საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიას. 1783 წლამდე საქართველოს ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა, მას მუდამ იხსენიებდაო, სთქვა სამუილოვმა, და არა დროს საქართველოს სრული ეკლესიური დამოუკიდებლობა არა ჰქონიაო. ამაზედ დიდი ხანი ვეკამათე, მოვუყვანე ათასნაირი საბუთი 1) იაკობის ლიტურგია ხელთნაწერი VIII-IX საუკ., რომელშიაც იხსენიება მხოლოდ კათალიკოსი მცხეთისა და მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი; 2) წესი აღრჩევისა, ხალხი ირჩევდა და მეფე ამტკიცებდა, ხოლო XVII-XVIII სს-ში კათალიკოსს ამტკიცებდნენ სპარსეთის შახები; 3) კათალიკოსის

კანონები. 4) საკუთარი ეკლესიური კრებები და მათი დადგენილებანი; 5) გადაყენება და განკვეთა კათალიკოსებისა; 6) მწერლები ურევნ ორ ივერიას: ივერიას - ქართლს და ივერიას - თემს, რომელიც გაძლიერდა დიდი დავით კუროპალატის დროს; 7) არსებობა მცირე აზიაში სამი ქართული კათედრისა, სამიტროპოლიტოსი სინას მთაზედ და 2 საეპისკოპოსოებსა გოლგოთამე და, ათონის მთაზედ ერისოში; 8) იარაღით დაცვა აღმოსავლეთის მიწმინდეთა და იერუსალიმის ადგმა ქართველთა მიერ; 9) ორმოცამდე ქართული მონასტერი წმ. ადგილებში, ბოლგარიაში და სხვ. 10) მიწმობა ყველა ხალხის მწერალთა და მეცნიერთა საქართველოს სრულ საეკლესიო ავტოკეფალიაზედ; 11) ყალბი ადგილები სამუილოვის და ნიკანდრას სტატიებში; 12) დამახინჯება ნიკანდრას და სამუილოვის მიერ პლ. იოსელიანის სიტყვებისა; 13) უქონლობა რამე აქტისა, რომ საქართველოს ეკლესია დაემორჩილა სინოდს; 14) მიწვევა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა საეკლესიო კრებაზედ რუსეთს და ფლორენციაში; 15) გაძლიერება საქართველოს და დაარსება თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიისა; 16) დიპლუმატი გიორგი მთაწმინდელისა ანტიოქიის პატრიარქთან ავტოკეფალიის შესახებ და სხვ... მერე ნაწყენის კოლოთი წარმოვსაქვი. Так рассуждать об автокефалии, как это делает г. Самуилов, нельзя. Говорить так с точки зрения простой логики, требующей обоснованной последовательности, а не предвсудительной скоростности. К нашему глубокому сожалению мы должны констатировать, что ни +какой резонной точки опоры для возбуждения сомнения о несомненной автокефальности грузинской церкви мы найти не смогли в тенденциозных статьях архим. Никанора И. Г. Самушлова.<sup>1</sup> ყველამ ცხადად დაინახა ნიკანდრის და სამუილოვის შემცდარი აზრი და აღიარეს: ისტორიულის მხრით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურ უფლებათა შესახებ ჩვენ აღარაფერი ეჭვი არა გვაქვს, ეს ეკლესია, როგორც დამტკიცდა, ნამდვილად ავტოკეფალური ეკლესია

<sup>1</sup> ისე მსჯელობა ავტოკეფალიაზე, როგორც მსჯელობს ბ-ნი სამუილოვი, არ შეიძლება. მარტივი ლოგიკაც კი მოითხოვს, რომ საჭიროა ვილაპარაკოთ დასაბუთებული თანამიმდევრობით და არა მიკერძოებული აჩქარებით. ძალიან ვწუხვარათ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ არქ. ნიკანდრისა და ბ-ნი სამუილოვის ტენდენციურ სტატიებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერავითარი გამართლებული საყრდენი წერტილი საქართველოს ეკლესიის უეჭველ ავტოკეფალიაში ეჭვის აღსაძვრელად.

იყო, მაგრამ ეს ღირსება დაჰკარგა მას შემდეგ, რაც საქართველო პოლიტიკურად რუსეთს შეუერთდა, დღეს საქართველოს ეკლესიას სინოდი განაგებს და მისი განცალკევება სინოდისაგან წარმოუდგენელია; შეუძლებელია, აგრეთვე, რომ ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი დამოუკიდებელი მთავარი ეკლესია არსებობდეს, - მოკლედ - თუ ხალხმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგა, უეჭველად ესვე ბედი უნდა ხვდეს მის ეკლესიასაც. მე ვუჩვენე მაგალითები, როგორ თავსდებოდნენ ავტოკეფალური პატრიარქები და კაპრის მთავარეპისკოპოსი ერთ მართლმადიდებელ ბიზანტიის იმპერიაში. დავეუსახელე ნამესტნიკები, ავტონომია ფინლიანდიისა და სხვ. ყოვლად სამღვდელთა ლეონიდემ ჰკითხა: მაშ რა იმერთმა რომ გაუმარჯოს რუსეთის იარაღს და აიღოს კონსტანტინოპოლი, იერუსალიმი, ანტიოქია და სხვ... ვანა თქვენ მოსპობთ იქ საპატრიარქოებს?! მიტროპოლიტმა ფლაბიანემ აღტაცებით წამოიძახა: უეჭველად, უეჭველად, საპატრიარქოებს გავაჰქმენდით!!!

ობერ-პროკურორმა სთქვა: ავტოკეფალი ქართველებს თავში არც კი მოსვლიათო; ეს აზრი მათ დურნოვომ ჩააგონა, რომელმაც "Петербургские Ведомости"-ში ამბზედ რამდენიმე სტატია დაწვინდა. ქართველებს თავის დღეში არ გამოუცხადებიათ თვისი უკმაყოფილება სინოდის წინააღმდეგო. ამბზედ მე ვუპასუხე: მაშ რა იყო, თუ არა პროტესტი, ვერეთ წოდებული "Церковный съезд в Имперети" 1820 წელსა მეთქი. პროტესტს აცხადებდნენ ხან პირდაპირ, ხან ჩუბად. ჟამთა ვითარებისა მიხედვით და, მაშასადამე, ნ.ნ. დურნოვომედ ადრე შქონდათ ქართველებს შეგნებული თვისი არასასურველი და შევიწროებული სამშობლო საყდრის მდგომარეობა.

ყველა ცდილობს გზა აუქციოს ავტოკეფალიას. მასზედ ხანგრძლივი მსჯელობა დიდად ემძიმებათ, რადგანაც პოლიტიკურის მხრით საკონებელ საგნად

მიაჩნიათ იგი. კრებაზედ გამოირკვა ის აზრი, რომ სინოდმა მხოლოდ თათბირი უნდა იქონიოს ამ საგნის შესახებ, და მისი საბოლოოდ გადაწყვეტა კი უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზედ, სახელმწიფოს მთავარ დაწესებულებათა და სასულიერო უწყების შეთანხმების შემდეგ. მე გამოვსთქვი შემდეგი აზრი: უწყებული კითხვის გადაწყვეტა აღემატება მომავალ საეკლესიო კრების კომპეტენციას, რადგანაც ამისთანა საქციელი მსოფლიო კრებების დადგენილებით სასტიკად აკრძალულია მეთქი.

მიტროპოლიტმა ანტონმა ჩვენი საეკლესიო კითხვის გამოსარკვევად, საშუალების გამოსანახად და მოსაგვარებლად შეადგინა კომისია, რომელშიაც დანიშნა შემდეგნი: მიტროპოლიტები ვლადიმირი და ფლაბიანე, ეგზარქოსი ნიკოლაოზი, ობერ-პროკურორი, მისი ამხანაგი და ორნი ჩვენ. მე გამოვთხოვე სამუილოვის დანიშვნა კომისიაში და შემდეგი პროფესორების მოწვევა: ა.ა. ცაგარლისა, ი.ი. სოკოლოვისა და ბ. ავალოვისა. სხვათა შორის გამოსთქვეს სურვილი ტიხომიროვის (რევიზორის) მოწვევისა, მაგრამ მე მოურიდებლად წარმოვსთქვი, რომ ტიხომიროვს ქართველმა სამღვდელთა კრებაზედ ზიზღი გამოუცხადა უსამართლო რევიზიის გამო და უხეზბულია მეთქი მისი მოწვევა ჩვენთან.

შემდეგი კრება დანიშნა ხუთშაბათისთვის. ფლაბიანე მიტროპოლიტი ჩუბად სთხოვდა ობერ-პროკურორს და სინოდის წევრებს - დიმიტრი ზალტის ეპისკოპოსი მოვიწვიოთ და ის გვეტყვის სიმართლესაო.

ამით გათავდა პირველი კრება. ჩვენ წამოვედით და ფლაბიანე კიდევ დიდხანს ელაპარაკებოდა დაბალის ხმით ობერ-პროკურორს, ალბათ ისევ რძენაწყენ დიმიტრიზედ.

ეპისკოპოსი კირიონი  
1906 წ. 27/1.



იანვრის 18-ს მოგვივიდა ამგვარი შეტყობინება:<sup>1</sup> "Экзекутор Святейшего Синода имеет честь довести до сведения Вашего Преосвященства, что в четверг, 19 го сего января, в 6 час. 30 мин. веч., в покоях Высокопреосвященнейшего Митрополита Московского (Фонтанка 44, у Анучкова моста) состоится при Вашем участии, совещание по делам Грузинского Экзархата.

Января 18 дня 1906 года.

ამ კრებაზე დაესწრნენ: ორი მიტროპოლიტი, ეგზარქოსი, ორნივე ჩვენ, ობერ-პროკურორი, მისი ამხანაგი და ობერ-სეკრეტარი სამუილოვი.

კრების დაწყებამდე ლეონიდე რადაცაზედ ელაპარაკებოდა ეგზარქოსს კუთხეში, მე, თუმცა ახლო ვიდექი, მაგრამ ვერ გავიგე რაზედ ლაპარაკობდნენ. ლეონიდე სთქვა - ვესაუბრებოდი ეგზარქოსს იმის შესახებ, რომ ქართველ სამღვდელოებს და ერს მტკიცედ აქვთ შეგნებული ავტოკეფალიის აღდგენის საჭიროება და თუ მხარი არ დაუჭირეთ ამ კითხვას, თითონ აასრულებენ თავიანთ განზრახვას, ჩვენ შერცხვნილნი დავრჩებით და ისტორია ჩვენ დაგვდებს ეკლესიური განხეთქილების ბრალს. ამაზედ ეგზარქოსმა სთქვაო: აქ, პეტერბურგში, ზევრი პატივცემული ქართველი თავადთაგანი ამტკიცებს, რომ ავტოკეფალია უბედურება იქნება ჩვენი ეკლესიისათვის (ეს აზრი კრებაზედ ობერ-პროკურორმა წარმოსთქვა და, ეტყობა, დ.მ. შელიქოვის გავლენით). ეგ კითხვა წამოაყენა ამ არეულობის დროს სულ ახალგაზრდა და ცხოვრებაში გამოუცდელმა სამღვდელოების უმცირესმა ნაწილმა, არც ხალხი და არც უმრავლესი ნაწილი სამღვდელოებისა არ არის მომხრე ავტოკეფალიისა; გარდა ამისა, ნამდვილად გავიგე, რომ ავტოკეფალიის ქვეშ იფარება ეროვნული ავტონომიაო. ლეონიდეს თურმე უპასუხებია - ვგონებ თავადებიც იყვნენ და დიდად პატივსადები პირებიც; რომ ნამესტიკს წარუდგენ და მტკიცედ სთხოვს

<sup>1</sup> "უწმიდესი სინოდის ეგზეკუტორს აქვს პატივი აცნობოს ქვეს ყოვლადსამღვდელოებას, რომ ხუთშაბათს, ამა წლის იანვრის 19-ში, საღამოს 6 სთ. 30 წთ. მისი ყოვლადსამღვდელოების მოსკოვის მიტროპოლიტის სამყოფელში (ფანტანკის 44, ანიჩკინის ხიდთან) თქვენის მანაწილეობით შედგება თათბირი საქართველოს ეგზარქატის საკითხებზე. 18 იანვარი, 1906 წელი.

სამშობლო ეკლესიის აღდგენა. ავტოკეფალიას რომ ავტონომიად სთვლიან ეს იქიდან სჩანს, რომ მთელი ხალხი ავტოკეფალიასთან ერთად თხოულობს კერძოდ ავტონომიასაც.

სანამ კრება გაიხსნებოდა, ეგზარქოსმა ხმამაღლა სთქვა: ქართველ სამღვდელოებს უკვე მიუძღრთავს ავტოკეფალიის თაობაზედ კონსტანტინოპოლის პატრიარქისთვის და, ამბობენ, მისგან თანხმობის პასუხი მიუღიათ, ამაზედ მე მივეცი შემდეგი პასუხი - კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოაკიმე III ძალიან ბრძენი კაცია და მაგგვარი მიწერ-მოწერა რომ ნამდვილად ყოფილიყო, ის თავის პასუხს რუსის სინოდსაც აცნობებდა, და რადგანაც სინოდს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსვლია, ცხადია, რომ თქვენ ვილაცხას შეცდომაში შეუყვანინხართ.

გაიხსნა კრება და საქართველოს ეგზარქოსმა განაცხადა - საეგზარქოსოს არც ერთ სასწავლებელში სწავლა არ სწარმოებს, სამღვდელოებს არ შეუდგენია სასწავლებელთა შესანახად საჭირო ხარჯთაღრიცხვა, მან უარყო არსებული პროგრამები სასწავლებელთა და მათ მაგიერ შეიმუშავა ახალი გეგმა სწავლებისა... აღინიშნა სამღვდელოების გაჭირვებული მდგომარეობა მატერიალურად და განმათავისუფლებელი მოძრაობის არასასურველი გავლენა ხალხზედ ეკლესიურის მხრით. შემდეგ ობერ-სეკრეტარმა წაიკითხა ყოფილი ეგზარქოსის პაულის ვრცელი მოსაზრება (პროექტი) საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის წესიერ ნიადაგზე დაყენების შესახებ და კანტორის რეორგანიზაციამდე.

მე დაწვრილებით განვუმარტე კრებას სინოდალური კანტორის დებულება 1814 წლისა, რომელიც შემდეგ ყოველმა ეგზარქოსმა ნელ-ნელა შესცვალა და მიიყვანა კანტორა ეხლანდელ მდგომარეობამდე, და ეხლა, მართლაც, არასასურველი წესები სუფევს მასში. 1) პირველი ეგზარქოსი მიტროპოლიტი ვარლამი იყო ქართველი, მის შემდეგ დაკანონდა რუსის ეგზარქოსად დანიშვნა; 2) მეორე ეგზარქოსის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსს ჩამოაცალეს მიტროპოლიტობა; 3) კანტორის დებულებით პროკურორი უნდა ყოფილიყო ქართველი, მაგრამ პირველი პროკურორის შემდეგ ქართველი აღარ დაუნიშნიათ; 4) არც კანტორას და არც ეგზარქოსს ნება არა ჰქონდათ დასავლეთ

ეპარქიების მართვაში ჩარეულიყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკანონოდ შემოუღეს დასავლეთის ეპარქიალურ ეპისკოპოსების უფლებანი; 5) მეტრიკების წარმოება უნდა ყოფილიყო ქართულს ენაზე, მაგრამ ესეც დაარღვიეს; 6) კანტორაში ყველა ეპარქიას თავისი წარმომადგენელი წევრი უნდა ჰყოლიყო, მაგრამ ესეც შესცვალეს; 7) საეპისკოპოსო კათედრის გათავისუფლების შემდეგ, კანტორას უნდა წარედგინა ორი საეპისკოპოსო კანდიდატი სინოდში, მაგრამ ეს წესიც მოსპეს; 8) კანტორაში ეგზარქოსი იყო თავმჯდომარედ, ნამდვილად კი მან ბატონის როლი მიითვისა; 9) მე კანტორის არქივი გადავისინჯე და ვერ ვპოვე მასში ვერც ერთი ცალკე აზრი ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ, - ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეგზარქოსის სურვილი კანონად გახდა კანტორაში; 10) ეგზარქოსის კანცელარიაში მიითვისა ისეთი საქმეები, რომლებიც კანტორის მოქმედების სფეროში უნდა ყოფილიყვნენ; 11) კანტორის შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა აღმოსავლეთის საქართველოს ეპარქიას; 12) ეგზარქოსების ხელში მეტად დაჩაგრულები იყვნენ ქართველი ვიკარები, მათ არ ანდობდნენ სასულიერო სასწავლებლების საქმეებს (იხილეთ ინსტრუქცია ვიკარნთა); 13) მეტად უსამართლოდ უნიშნავდა კანტორა მღვდლებს ხაზინიდან გამოსულ შემწობას, - რუსების სამრევლოებში, სადაც კრებულს მიწაცა აქვს მიზომილი, უნიშნავდნენ 500-900 მან., ქართველ მღვდლებს მედავითნეებით, მიუხედავად მიწის უქონლობისა, 180-400 მან. მეტს არ უნიშნავდნენ; 14) კანტორა პოლიტიკის უკუღმართ გზას დაადგა: 1839 წ. მან იშუამდგომლა, რომ გორის ვიკარნად დაენიშნათ ველიკორსიელი არხიმანდრიტთაგანი, - ამაზედ გონივრული რეზოლუცია დაადო იმპერატორმა ნიკოლაოზ I, მან ბრძანა, რომ ქართული ენა იმ მხარეში საჭიროაო და ადგილობრივი ქართველი არხიმანდრიტებიდან ამორჩიეთ კანდიდატი საეპისკოპოსოთაო. ამავე მოსაზრებით კანტორამ ვერ აასრულა თვისი მეორე განზრახვა, ქუთაისში სოფრონის მაგიერად რუსის მთავარეპისკოპოსის დანიშვნის შესახებ, რომელზედაც კანტორამ შუამდგომლობა აღძრა 1841 წელს; 15) პირველი რუსი ეგზარქოსი თეოფილაკტე იყო კაცი სასტიკი, უსამართლო, მრისხანე, შეუბრალებელი და გაუტანელი. რუსეთში ყველამ შეიძულა იგი და მიტროპოლიტმა ფილარეტმა თავიდან მოსაშორებლად საქართველოში გადმოსტყორცნა. მან თან წამოიყვანა თვისი ღვიძლი ძმა ეგზარქოსის კანცელარიის გამგედ და ეს უკანასკნელი მეტად "წინდახედულ და თავაზიან"

კაცად გამოდგა, - კანცელარიის კარებზედ გააკრა მან ნიხრი: მღვდლობა 300 მან., მთავარდაკვნობა - 200 მან, ხოლო მედავითნეობა 100 მანეთით და სხვ....

ბოლოს წაიკითხეს ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ დააქვეითა ყოველმხრივ საქართველოს ეკლესია ეგზარქოსების მართვამ ერთი საუკუნის განმავლობაში და რამდენად აუცილებელია მომავალში მოსპობა ამ მანვე მმართველობისა ავტოკეფალიის აღდგენით. სიმართლით საესე მოხსენებამ გული ატკინა აწინდელს და ყოფილ ეგზარქოსებს და დღედ გაცხარდა ეხლანდელი ეგზარქოსი ნიკოლაოზი. მან თრთოლით და გულის ცახცახით წარმოაფქვია - მოხსენება უსამართლოდ და უსაფუძვლოდ აყენებს შეურაცხებას საქართველოს ეგზარქოსებს; მათი მოქმედება საქართველოში ყოველთვის დღედ სასარგებლო ყოფილა და არის კიდევ, განა ისიღორე და იოანიკეს ღვაწლი საქართველოს ეკლესიის საბუნდუროდ მარად დაუვიწყარი არ დარჩება? მე არავისგან არ მხმენია ეგრეთი სამღურავი ეგზარქოსების ღვაწლის შესახებ, ეგ არის კერძო აზრი თვით ყოვლად სამღვდლო ლეონიდესით. ძველი ქართველებით, განაგრძო მან, დიად, პატრიარქებში იყვნენ იმის გამო, რომ მახვილით ქრისტიანობას იცავდნენ მაჰმადიანებისაგან, მაგრამ თვით სარწმუნოება მათ გულს არ მიჰკარებია, მათ არ ჰქონიათ შეგნებული, შეთვისებული; ძვალრბილში გამჭლარი აზრი, ძალა და მნიშვნელობა ქრისტიანობისა. ამით აიხსნება, რომ ქართველებს მეტად ცოტა ჰყავთ წმინდანები, თუ არ მივიღებთ სახეში ასურეთიდან მოსულ უცხო მამებსო. ამ აზრს ამტკიცებს ის მოვლენაც, რომ ქართველებს მწვალებლები არ ჰყოლიათ და ამ გარემოებით სულ ტყუილად მოაქვთ მათ თავიო.

ამგვარმა ურცხვამ მსჯელობამ მთლად აგვადლევა. ლეონიდმა მიადანა - სცდებით, არ იცით რას აშზობთ, ილარიონ ქართველი, დოდო, პეტრე ქართველი, გაბრიელი, ექვთიმე, გიორგი - სულ ქართველი ბერები იყვნენ. ეხლაც საქართველო მთლად მოფენილია მღვდელთმთავართა და მონაზონთა განუხრწნელი გვამებით, ყორნები სწიწნიან მათ გვამებს, მაგრამ თქვენ ამას ვერ ხედავთ და არც გინდათ დაინახოთ.

მე შემდეგი პასუხი მივეცი: თქვენ კეწყინათ ეგზარქოსებზედ გაკვრით ნათქვამი ორიოდე სიტყვა და იმას კი არ უკვირდებით, რა დიდს და ძნელად აუტანელს შეურაცხებას გვაყენებთ, როდესაც უარს ჰყოფთ ჩვენს წმინდანებს და ხალხის მორწმუნეობას წარსულში. ვინ გითხრათ, რომ ჩვენ წმინდანები

არა გვყავს, რა საბუთი გაქვთ, რომ მაგას ვერც  
 გაბედულად ამბობთ?! თქვენ არ იცით ჩვენი მწე-  
 ჩვეულება და ისტორია და მე კი ეხლავე თითებზე  
 ჩამოგითვლით, რომ ქართველებს გაცილებით მეტი  
 და უფრო დიდებული წმინდანები ჰყავდათ, ვიდრე  
 რუსებსა. დიდად თავი მოსაწონია და ჩვენც  
 ყოველთვის თავი მოგვაქვს, რომ ჩვენმა მშობლიურ-  
 მა საყდარმა არ იცოდა და არც იცის რას ჰქვია  
 მწვალებლობა. მწვალებლობას, მომეტებული ნაწი-  
 ლი ნასწავლი პირებისა, სთვლის პირდაპირ შედე-  
 გად ხალხის გონებრივი სიბნელისა და მწეობრივი  
 დაცემისა.

შესახებ ქართველთა რელიგიურ რწმუნებისა  
 ვსთქვი შემდეგი: უნდა ვიცოდეთ ხალხის ხასიათი,  
 მისი წმიდათა-წმიდა, რომ საფუძვლიანი და  
 ჭეშმარიტი ამრიგად წარმოვსთქვათ მის სარწმუნოების  
 თვისებაზედ. Христианство, განვადრე მე, ни  
 одним народом не усваивалось во всей его  
 полноте, во всем его объеме. Из него, как из  
 нешсякаемого источника каждый народ черпал  
 только те элементы христианской жизни, которые  
 были ему по силе по своему умственному  
 укладу. Так Католичество развило строгую  
 церковную организацию и своеобразное церковное  
 зодчество. Греки выработали сложную и строгую  
 догматику. Русские, усвоив внешние обряды,

развили главным образом дисциплину – устав  
 церковный внешнее благоличие.<sup>1</sup> Грузины же,  
 охристианизовав свои вековые национальные  
 верования и создав свою жизнь по христианским  
 началам, придали христианству черты своего  
 национального характера: мягкость, сердечность,  
 теплоту, незлобие и устойчивость.<sup>2</sup>

თუ ქართველები იარაღით ხელში იცავდნენ  
 სარწმუნოებას, შევნიშნე მე ეგზარქოსს, ეტყობა  
 ღრმა რწმენაც ჰქონიათ მათ ქრისტიანობისა, ვისაც  
 არა სწამს, იგი არც თავს გამოიღებს, ადვილად  
 ირყევა სარწმუნოებაზედ და იცვლის მას კიდევ.

ეგზარქოსების მოქმედების ილუსტრაციისათვის  
 ვუჩვენე შემდეგი: აკრძალვა წმ. ნინოს  
 სასაფლაოზედ ქართულად წირვა-ლოცვისა და  
 ანდრძის აგებისა; ვოსტორგოვის შემწეობით უღირ-  
 სი მღვდლების და ეპისკოპოსების კურთხევისა, უკან-  
 ნონოდ მიღება თბილისის სემინარიაში საეკლესიო  
 ხარჯზედ რუსეთის სემინარიებიდან გამორეკილ  
 შეგირდებისა; ყურადღების მიუქცევლობა საღვთო  
 და საეკლესიო წიგნების ბეჭედის საქმეზედ, უარის  
 თქმა წმ. ნინოს დაუტომლის დაბეჭედისა,  
 რექტორების უკანონო მოქმედება, რომელმედაც  
 მიუღი წიგნი მაქვს რუსის მიერ შედგენილი და სხვ.  
 კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და  
 კრება განგებ იქმნა ჩქარა დახურული.

1 "у большинства русских", говорит М. Меньшиков,  
 "всра есть обычай, а не нравственное убеждение".  
 Новое время, 1905 г. Apr.16.

2 ქრისტიანობა არც ერთ ხალხს არ შეუთვისებია მთელი  
 მისი სისასით და მთლიანობით. მისგან, როგორც უმრავლი  
 წყაროდან, ყველა ხალხი იღებდა მხოლოდ იმ ელემენტებს  
 ქრისტიანული ცხოვრებისას, რომლებიც მისთვის იყო  
 ხელმისაწვდომი თავისი გონებრივი და მწეობრივი  
 მდგომარეობის შესაბამისად. ასე, კათოლიკობამ განავითარა  
 მკაცრი საეკლესიო ორგანიზაცია და თვითმყოფადი  
 საეკლესიო სუროთმოდერება. ბერძენებმა გამოიმუშავეს  
 რთული და მკაცრი დოგმატიკა, რუსებმა, შიითვისეს რა  
 გარეგნული წესები, ძირითადად განავითარეს დისციპლინა –  
 საეკლესიო განაწესი, გარეგნული კვილსაბოვნება; ("რუსების  
 უმრავლესობისათვის" – ამბობს მ. მენშიკოვი, "რწმენა არის  
 ჩვეულება და არა მწეობრივი მრწამსი"), ხოლო  
 ქართველებმა – გააქრისტიანეს რა თავიანთი საუკუნოვანი  
 წარმართული კრებები და ააგეს რა თავიანთი ცხოვრება  
 ქრისტიანულ საწყისებზე, ქრისტიანობას მისცეს თავიანთი  
 ეროვნული ხასიათის ნიშნები: ღმობიერება, გულთაძლობა,  
 სითბო, უბოროტობა და მღვრადობა.

"ჯვარი ვაზისას" მკითხველს ვთავაზობთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (1860-1921) 1919 წლის 5 აგვისტოს ეპისტოლეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ტიხონის (1865-1925) მიმართ, რომელიც "შთარგმნელის" ხელმოწერით და კომენტარებით გამოქვეყნებულია საქართველოს ერთნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ "სამშობლოში" (პარიზი, 1932, N11, გვ.36-56). წინამდებარე ლოკუმენტი საინტერესოა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიისათვის, როცა ქართული ეკლესია ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ პირველ ნაბიჯებს ღვაძლად დამოუკიდებლობის გზაზე...

გურამ შარაძე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

წმიდესი ლეონიდეს მისტიკა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, წმიდესი

ტიხონის მიმართ

მღაბალი ლეონიდე, წყალობითა ღვთისათა კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა, საყვარელ შეუფესა და ქრისტეს მიერ უპატიონსნესა ძმასა და თანამსახურსა, უწმიდეს ტიხონს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს.

გამსვენებელი პიროვნებისა სარწმუნოებისა შენისა (II ტიმ.1,5) და სიყვარულისა წმიდითა გულითა და კეთილითა სინდისითა (I ტიმ. 1,5) ჭეშმარიტებისადმი, ივერიის ეკლესია იხარებდა სიხარულითა დიდითა, რაჟამს იუწყა აღსვლა შენი ეკლესიაზედა რუსეთისასა და ამრიგად აღდგენა მასში კანონიკური წესისა. გარნა 29 ქრისტეშობისთვის 1917 წლის თარიღის მესამე ნომრით აღნუსხული შენი ეპისტოლის მიღებამ ეს ჩვენი დიდი სიხარული დრმა მწუხარებით შესცვალა, ვინაიდან ამ ეპისტოლეში ჩვენ ვერა ვპოვეთ შენი სათვისლო "შვიდობისა და სიყვარულის სიტყვანი", არამედ მხოლოდ ბრალდება ქართველი ეპისკოპოზებისა მასში, რომ მათ კანონიკური მიმართება მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიასთან დაარღვიეს და არ დაიყოვნეს დროებით მთავრობისაგან გამოეკათ დადგენილება (27 მარტი, 1917.) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ხოლო ამითი სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობა დაარღვიეს მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიასთან და შესწყვიტეს მასთან, წინააღმდეგ კანონიურ წესდებათა, ყოველივე ურთიერთობა, მაშინ როდესაც (ასე სწის შენი სახიერება):

1) "ერთმორწმუნე საქართველო ას წელზე მეტია, რაც შეუერთდა რუსეთს ერთი საეკლესიო მთავრობის ქვეშ და იმ დროთაგან უმადლესი საეკ-

ლესიო მმართველობა საქართველოში მინიჭებული ჰქონდა უდავოთ რუსეთის უწმიდეს სინოლს".

2) ამგვარი წესი "საუკუნის სტადიონზე არ იწვევდა არავითარ წინააღმდეგობას" და

3) "როცა 1905 წელს გამოირკვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცდა, უწმიდესმა სინოლმა 1906 წელს განაჩინა აღნიშნული საკითხი გადაცემულიყო განსახილველად რუსეთის ეკლესიის მომავალ ადგილობრივ კრებაზე, რომლის სამსჯავროზე ჩვენ თანამდებრივად ვარგვედგინა ჩვენი საეკლესიო სურვილები და ბრახეუბი და უნდა გველოდნა მისი გარდაწყვეტილებისათვის.

ნათქვამიდან სჩანს, რომ უწმიდესობა შენი კმაყოფილათ ვერ გარკვეულა ჭეშმარიტებაში, ამისა გამო ვალათ მივიჩნიე თქვენს სახიერებას ივერიის ეკლესიის თაობაზე წინადაულო სიტყვა სიმართლისა წმიდისა.

I

ერთმორწმუნე საქართველო (ამტკიცებს შენი უნეტარესობა) შეუერთდა რუსეთს საერთო საეკლესიო ხელისუფლების ქვეშ და ამის შემდგომ უმადლესი ეკლესიური გამგებლობა საქართველოში "უცილობლათ ეკუთვნოდა რუსეთის უწმიდეს სინოლს".

ას წელზე მეტია, როგორც შენმა უწმიდესობამაც უწყის, რაც მოწამებრივი საქართველო მართლაც შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს ერთი საზოგადო სამოქალაქო ხელისუფლების ქვეშ, გარნა ამავე დროს მას სრულებით არაფრით განუცხადებია თვისი სურვილი მასთან ეკლესიურადაც შეერთებულყო.

ამგვარი პაზრები შესაძლებელია აღძრულან ამა თუ იმ მის სამოქალაქო მმართველობაში, ხოლო ეკლესიის უფლებამოსილ მესვეურთა კრებული, შესახებ ამ საგნისა, იდგა გარკვეულ გარდაწყვეტილებებზე; სამოქალაქო ცხოვრების ახალს პირობებშიაც დაცულ ყოფილიყო მისი ეკლესიური დამოუკიდებლობა.

თავდაპირველად თვით რუსეთის უწმიდესი სინოდიც კი არ იჩენდა სურვილს ქართულ საეკლესიო საქმეებში ჩარეულიყო; ასეთი პაზრის მიმცემნი პირველ ხანებში სასესიით იყვნენ "უფროსნი ამა ქვეყნისანი" მის იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელს რომ ეფარებოდნენ. სისწორისათვის მოვისმინოთ მოვლენათა სარწმუნო აღმსახველის - ისტორიის ხმა: უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა თავადმა გოლიცინმა რომ მიიღო საქართველოს მთავარმართებულის გენერალ ტორმასოვის მიმართუთა "საეკლესიო მამულთა შესახებ (NN94,99)", მან ისარგებლა ამ საბუთებით და იმპერატორს შესაბამი მოხსენება წარუდგინა, ხოლო შემდგომ (28 ენკენისთვე, 1810) ასე უთვლიდა ტორმასოვს: "ამ შემთხვევისა გამო, იმპერატორმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ უწმიდესი სინოდს გავლენაც არა ჰქონია და არც ცნობები მოეძოვება ქართულ სამღვდელთების საქმეთა თაობაზე; იმპერატორი ავალებს თქვენს მაღალაღმატებულებას: რათა უმჯობესად მოსაზრებულნი იქმნენ ამ საქმეთათვის განზრახული დადგენილებანი, საჭირო არის მიჰმართოთ საქართველოში მყოფ მთავარეპისკოპოს ვარლამს (ყოფილი ალთაღელი, თავად ერისთავთა გვარისა) და ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით წარმოდგენილ იქმნეს მოხსენება: რა სახითა და რაგვარ საფუძველზე მოეწყოს ქართველ სამღვდელთების მმართველობა, რომ ის დაეუქმდებაროს უწმიდეს სინოდს" (კავკას. არქივ. კომის. აქტები, ტ. IV, გვ.: 157, 158, 161.)

გენერალმა ტორმასოვმა, რომელმაც თავ. გოლიცინის მიუთითებლათაც მიჰყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში ხელის ჩარევას (1809 წლის 6 თებერვლიდან) და რომელმაც 1810 წლის 3 გიორგობისთვეს რუსეთში გადასახლა კათოლიკობი ანტონ II,<sup>1</sup> - წარუდგინა თავ. გოლიცინს (10 თებერვალს 1811 წელს, N28) "საქართველოს ეკლესიის მმართველობის პროექტი" შორსუჭრეტ და პატიუმოყვარე

მთავარეპისკოპოს ვარლამთან შეთანხმებით გამოუმუშავებული. ამ პროექტი საქართველოს ეკლესიის სათავეში უნდა მდგარიყო მცხეთისა და ქართლის მღვდელმთავარი, ვითარცა უფროსი ქართველი სამღვდელთებისა და რომელსაც მიენიჭებოდა უფლება წოდებულყოფილ მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტად და სინოდის ექსარხოსად საქართველოში; ის უნდა ჩარიცხულიყო უწმ. სინოდის უწყებაში, რომლის სახელზე ვალდებულიყო საგანგებო და სხვა საჭირო შემთხვევებში ეგზანა პატაკები, აგრეთვე ეწარმოებინა საზოგადო მიწერ-მოწერაც (იქვე გვ. 162).

იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წელს, 1 აპრილს უბრძანა უწმიდეს სინოდს განეხილა პროექტი და სინოდიც "იძულებული შეიქმნა" ჩარეულიყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში (დეკანოზი პროფ. ბუტკევიჩი)<sup>2</sup> с вопросом об автокефалии грузинской церкви, გვ. 19, 23). ამ საქმისათვის მან დაამზადა უქვეშევრდომილესი მოხსენება და 21 თებერვლის 1811 წელს წარუდგინა მეფეს; ეს მოხსენება უკან დაბრუნებულ იქმნა მეფის საკუთარი ხელმოწერილი რეზოლუციით: "იქმნეს ამისაკერ" (აქტები, ტომი IV, გვ. 166-169).

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არის არა ნებაყოფლობითი შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან, არამედ ნამოქმედარი "ამაქვეყნის უფროსთა". ხოლო თქვენს უწმიდესობას კარგათ მოეხსენება, რომ საეკლესიო საქმეებში "სოფლიურ უფროსთა" ჩარევას ღვთაებრივი კანონები არ ეგუებიან (მოციქულთა კან. 30; მეოთხე მსოფლიო კრება, 12; მეშვიდე მსოფლიო კრება, 3), ისინი მხოლოდ იძულებულნი არიან აიტანონ ასეთი ჩარევა, როდესაც ხელმწიფებზე მეფისა პავეცს "ნამდვილი მიტროპოლიტის" ოლქს ახალი ქალაქის დაარსებით და ისიც იმგვარად, რომ ძველი მიტროპოლია არ განიცდიდეს შევიწროებას. ეს "ატანაც" მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კანონების შემომქმედ მამათ "არა აქვთ შესაძლებლობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობისა" (IV მს. კრება, 12 და 17; IV მს. კრება, 38; ზონარის განმარტება IV კრების მე-17 კანონისა). უწმიდესმა სინოდმა კი, რომელიც თითქოს გაურბოდა საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობას და რომელსაც მისდამი თავი ეჭირა რუსის ეკლესიის ისტორიკოსისათვის გაუგებარი დელიკატობით (ბუტკევიჩი), თანაც ამ ურთიერთობისაგან (საქართველოს ეკლესიასთან) არაფერს გამოელოდა, თვინიერ უსიამოვნებისა (ბუტკევიჩი - 16, 19), - ამისდა მიუხედავად, მან ერთი სიტყვაც არ გაიმეტა საქართველოს. საეკლესიო საქმეებში გენერალ ტორმასოვის ჩარევის წინააღმდეგ; პირიქით,

ისარგებლა შემთხვევით, რომ იმის შემწვობით მიეღო ბრძანებლობა საქართველოს ეკლესიაზე და ამრიგად დაარღვია შემდეგი კანონები:

1) არც ერთმა ეპისკოპოსმა არ უნდა იკადროს ერთი ეპარქიიდან მეორეში გადასვლა, არც სხვა ეპარქიის ტაძრებში ვისიმე ხელდასხმა ღვთისმსახურების შესრულებისათვის, არც თუ ვისიმე მიყვანა პუნ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოწვეულ იქნება მიტროპოლიტისა და მასთან მყოფ ეპისკოპოზების სიგელებით, რომელთა ოქებს გასასვლელი აქვს. უკეთუ არავისაგან ჰქონია მოპატიჟება და უწესოთ შევა ვიფთხიმეთა ხელდასახმელად და მისდამი უკუთვნილ საეკლესიო საქმეთა მოსაწესრიგებლად, ყოველივე მისგან ჩადენილი იყოს ძალუღებო, თვითონ კი უწესობისა და უმართებულო საქციელისათვის ჭერარს შესაბამისი სასჯელის მიღებად - წმიდა კრების მიერ თანამდებობიდან დაუყოვნებლივ განდევნით (ანტიოქ. კან. 13).

2) საოლქო ეპისკოპოზები ნურცა ავრცელებენ თვისს უფლებას ოლქის გარეშე მღებარე ეკლესიებზე და ნურცა აღრევენ ეკლესიებს. მიუპატიჟებლად ეპისკოპოზი ნუ გარდავა თვის ოლქის საზღვრებს ხელდასახმელად, ან რაიმე სხვა საეკლესიო განკარგულების მოსახდენად. ხოლო გემოაღნიშნულ კანონის დაცვით, საეკლესიო ოლქათვის ცხად არს, რომ თვითოეული ოლქის საქმეთ კეთილ აწესებს იმავე ოლქის კრება, ვითარცა განმარტებულ არს ნიკეაში (II მსოფ. კრება, 2).

3) ... აღსასრულებლად ყოველს ეპარქიათა შინა: ნურავინ ღვთის საყვარელ ეპისკოპოზთაგანი განავრცელებს უფლებას სხვათა ეპარქიაზე, რომელნიც წინადაც და პირველიდგანვე არა ყოფილა მის წინამოადგილის ხელქვეით; უკეთუ ვინმემ განავრცელა და რომელიმე ეპარქია ძალდატანებით დაიმორჩილა, მისცეს უკანვე; ნუ გადაილაზნება მამათა კანონები, ნუ შემოიპარება ღვთიურ მოქმედების სახით მსოფლიურ ხელმწიფის მელიდურება და ნუ დავკარგავთ თანდათანობით, შეუშხველად იმ თავისუფლებას, რომელიც ყოველთა ადამიანთა განმათავისუფლებელმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ სისხლითა თვისითა მოგვანიჭა ჩვენ. და ასე, წმიდა და მსოფლიო კრებას ენუბება, რათა ყოველმა ეპარქიამ დაიცვას სიწმინდით და შეუიწროებლად თავიდანვე მიკუთვნილი უფლებები, ძველად დამკვიდრებულ ჩვეულებისამებრ... უკეთუ ვინმემ წინადასდო აწ განმარტებული და წმიდა და მსოფლიო კრების მიერ ნებული დადგენილების საწინააღმდეგო რაიმე, იქნეს იგი ძალუქონილი

(III მსოფ. კრება, 8).

უწმიდესმა სინოდმა უგულებელყო აღნიშნული წმიდა კანონები, ის უმაღლესი ბრძანების "აზჯარში შეიმოსა" (ეფ. 6,14.) და "უწიკვლოდ" (ბუტკევიჩ, გვ.26) შეეცადა იმას, რომ 10 თიბათვეს 1811 წ. იმპერატორმა ალექსანდრე პავლოვიჩმა "შეიწყნარა საქართველოს კათალიკოზის ანტონის არბა და უმოწყალესად დაითხოვა ის სასულიერო საქმეთა გამგებლობისაგან საქართველოში". საქართველოს ეკლესია მისი იერარქის კრების დადგენილების გარეშე დაქვემდებარებულ იქნა სრულიად რუსეთის სინოდისადმი, ხოლო ამ ეკლესიის სათავეში აღიყვანებენ პატივმოყვარე ვარლამს, იმ დროს უკვე მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს, - სინოდის წევრისა და საქართველოში მისი ექსარქოსის ტიტულით (Christianskoe tschenie, 1905, ტ.I, გვ.105-111).

ასე მოხდა, წმიდაო მეუფეო, საქართველოს შეერთება რუსეთთან ერთ საზოგადო საეკლესიო ხელისუფლების ქვეშ, და ასეთს შეერთებას უწმიდესობა შენი კანონიურ მოქმედებათა სოფლის "სიმართლისა და სიყვარულის სიტყვასთან" შეზავებულად.

II

სახიერება შენი ამტკიცებს: "საქართველოს შეერთება რუსეთთან ერთის საზოგადო საეკლესიო მმართველობის ქვეშ მთელი საუკუნის სტალიონზე არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევდა", პირიქით, "უწმიდესი" სინოდის განკარგულებაში იმყოფება მრავალი საბუთი, თვით ქართველი ხალხისაგანაც გამომდინარე ამიერკავკასიის ეპარქიებში მის მმართველობის კეთილნაყოფიერების დასამტკიცებლად. ქართველი სამღვდელთებისგანაც კი, ყოვლადსამღვდელო კირიონის, აწ საქართველოს კათალიკოზის სახით მის წიგნში: "საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია XIX საუკუნეში" დამოწმებული არის, რომ საქართველოს შეერთებას რუსეთთან მოჰყვა დაქვეითებაში მყოფ ქართველთა საეკლესიო ცხოვრების აღორძინება. უწმიდესო მეუფეო! "სულსა არა ღვთისასა" (I იოანე, 4,1) მხოლოდ ძალედო შენს სმენამდის მოეწოდებინა, რომ მთელ საუკუნის სივრცეზე ამ მიერთებას არავითარი წინააღმდეგობა გამოუწვევია! ნუთუ არ უწყი შენ, რომ საქართველოს მცხოვრებნი ვერ ურიგდებოდნენ მათი ეკლესიის თვითმყოფლობის მოსპობას და მის დაქვემდებარებას უწმიდეს სინოდზე, რომ ექსარქოს თოფილაქტის სიტყვით "ქართულ ეკლესიაში უწმიდეს სინოდის მხოლოდ მამინ იხსენიებდნენ, როცა ამწივედნენ საყდარში რუსის მოხელეებს და რომ სწორედ ამ ეკლესიური თვითარსებობის დაკარგვაში უნდა

ვეძიოთ უმთავრესი მიზეზი ამ მხარეში მომხდარ ყველა პერიოდულ მღვდელმთავრებათა" (Chrst. tchentie, 1905, ტ. II, 543).

განა შენს სახიერებას არ მოეხსენება "სიტყვის მიგება" იმერეთის ხალხისა და სამღვდელთა მითროპოლიტების დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის მეტაფორებით, რომელნიც აი ამ სიტყვის მიგებისათვის "ბრალდებულ იქმნენ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებაში და უსამართლოთა და გამოუძიებლათ დაპატიმრებულნი და მრავალრიცხოვან დარაჯებთ გარშემორტყმულნი გადაყვანილ იქმნენ ტფილისში და შემდგომ რუსეთში? რაოდენ ძლიერათ იქმნა მიმჩნეული დასახლებულ მღვდელმთავრების "სიტყვის მიგება", სიანს იმ სისასტიკიდან, რაიცა მართლმადიდებელ რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ამ იერარქებისადმი გამოიჩინა: "რათა ნატყვევნი უფრო წყნარათ იყვნენ - სწერს გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს პოლკოვნიკი პუზირევსკი - ვერ შესძლონ გაქცევა, არ იცოდნენ ურთერთის ვინაობა და არ იქმნენ ცნობილნი მცხოვრებთაგან მათ გატარების დროს, მათ ზედ დავაცვამ ტილოს ტომრებს ბაგესთან სასუნთქით, კისერთან და წელთან კი ავაკრამ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში განზრახული მაქვს დავზოცო, გვაშები კი წყალს მივცე" (არქ. კომ. აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 579). ასეთი ზომების მიღება "მიმგეგმვისადმი" გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს საკმაო ფრთხილად არ ეჩვენება, ამიტომ თავის ხელქეციის ის ურჩევს: "ყველაზე მეტად უნდა შშიშობდე, რათა მითროპოლიტები სიკვდილით არ დაისაჯნენ, მათ მკვლელობას შეუძლიან მთლად ააღელვოს სამღვდელთა და თავადებისაგან წაქეზებული ხალხი, ეს აგრეთვე საფრთხით კარგ შთაბეჭდილებას არ მოახდენს ჩვენს ჭარისკაცებზედაც, რომელთაც, მათი რწმენის მიხედვით, ძლიერი სასიება უნდა ჰქონდეთ სამღვდელთა მდინარე... მაგრამ უკეთუ საჭირო გახდა მოხუც მღვდელმთავრების ამოხოცვა (ბრძანება გენერალმა 1820 წ. 23 თებერვალს გამოსცა), არამც და არამც არც ერთი გვაში არ იქმნეს დატოვებული იმერეთში, არც დასაფლავდეს, არც გადაიგდოს მდინარეში; ვინაითგან, სწრაფი ღენისა გამო, შესაძლებელია მდინარემ გვაშები ჩააქანოს და მოკლულნი აღმოანახვინოს ცრუმორწმუნე ხალხს. თვითოეული მათგანი უნდა გადაყვანილ იქმნას მოზდოკამდის, არ დაიტოვოს საქართველოშიაც კი," ანდა მიყვანილ იქმნენ კაიშაურამდის მაინც და იქ შესაძლებელია მათი მისამარება (იქვე, გვ. 582). უფროსის ბრძანება შესრულდა ზედმიწევნით და ერთი "სიტყვის მიმგებელთაგანი" - ქუთათელი -

ამოალრჩევს ტომარაში გზათმიმავალთ სურამიდან გორში. დიდხანს არ იცოდნენ, რა ექნათ მოწამემღვდელმთავრის ცხედრისათვის, მიმყოლ ჭარისკაცთათვის არ გაუმხელიათ ეს ამბავი ანანურამდის, სადაც ბოლოს მოვიდა ბრძანება საქართველოს სინოდალურ ექსარქოსისაგან მღვდელმთავრის დასაფლავებისათვის "ყოვლად მარტივათა და უცერემონიოთ" (ვ. პოტტო: Kavkasskaia voina, ტ. II, გვ. 699, შეადარე აქტები IV, I, გვ. 586).

ვკონებ, უწმიდესო მეუფეო, რომ ეს მონაწერი ოფიციალური წყაროებიდან საკმაოდ ნათლად ამოწმებენ სიძლიერეს იმ "სიტყვა მიგებისას", რაიცა შენს უწმიდესობას საქართველოს ეკლესიის სინოდალური პერიოდის ისტორიიდან არ მოჰსენებია. არა მსურს აღვრიო მოძმის მოყვარება შენი სხვა "სიტყვის მიგებათა" დაწვრილებითი ჩამოთვლით, ვიტყვი და, რომ "სიტყვის შეძრახას" რუსეთის მთავრობა ისე საშიშოთ სთვლიდა, რომ აშკარათ ამზობდა: "დრო არს ბოლო მოელის იმერეთის სამღვდელთაგანს გადაჭარბებულ გავლენას ხალხის გონებაზე" (აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 574). ამიტომ მთავრობა მიჰმართავდა ყველა ზომას ამ გავლენის მოსასპობათ, და ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებათ დასახულიყო გადასახლება რუსეთში ყველა იმათი, ვინც არ ეგუებოდა სინოდალურ მმართველობას საქართველოში (იქვე, გვ. 575, 576, 678, 686). ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სამღვდელთა ასეთი განუკითხაობის მხედველი ქართველი თავად-აზნაურობა და გლეხობა აი რა სახის მოთქმით აფრქვევდა თავის გულის ნადებს: ეკლესიის თვითარსებობის ძალდატანებითი დაკარგვით, საქართველოში "მრავალი ტაძარი დაიქცევა, პატროსანსა და ყოვლადქებულ ხატებსა და ჯვრებს გაიტაცებენ, საყდრებს მოაკლდებთ მათგანვე აღმრდილი და მათთვის შემავედრებელი მოძღვარნი, ქართველები განშორებულ იქმნებიან თვის მღვდელმთავართა კურთხევისაგან" და ამიტომ ავქსონნი ეკითხებოდნენ: "უკეთუ არ შეხებულა რჯული ბრმათმყოფებრავლთა, რჯული სომეხთა და კათოლიკეთა, რისთვის ჩვენ უნდა შევადგენდეთ გამოწაკლის? თუ იმ დროთა შინა, როდესაც ჩვენ აღარონელთა ხელქვეით ვიმყოფებოდით, არვინ ეხებოდა ჩვენს მტკიცე რწმენას, და არც ამგვარ მწუხარებას გვაყენებდნენ, მაშ რაღა დავაშავეთ ამ ჟამად, რომ გვტაცებენ შეჩვეულ მღვდელმთავრებს, ტაძრებსა და მღვდლებს?" (აქტები, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 391).

"პირისშემორუნებელთა" წინააღმდეგ მიმართულმა აღნიშნულმა ზომებმა და ისეთების წინააღმდეგ, რომელნიც თვით გენერალ ტორმასოვის სიტყვით რუსეთის ერთგულნი იყვნენ, რაიცა

"მრავალი მაგალითებით" დაამტკიცეს (აქტები, IV, 230, 232, 250, 366, 369), შიშა და ძრწოლაში შთააგდეს წვერნი და მსახურნი ქრისტეს ეკლესიისა; ამიტომ ახდომი საწინააღმდეგო გამოსვლებს ამის შემდეგ იშვიათად თუ განიზრახავდა ვინმე, გარდა ანტიკანონიკური წესების წინააღმდეგ. საქართველოს ეკლესიაში ყოველ უკმაყოფილება მუდამ გაისმოდა და ეს აშკარად გამოითქმოდა, როგორც ლიტერატურაში, ასევე უფლებამოსილ პირებთან კერძო ზაასში. ამის მაგალითები მრავალია, ხოლო მე სიყვარულსა შენსა მხოლოდ ზოგრაშს ვაუწყებ: 8 გიორგობისთვის 1841 წ. სინოდის მოხსენებაზე საქართველოში ვიკარ-ეპისკოპოსის განწესებისათვის, იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ასე დააწერა: "თანახმა ვარ, მაგრამ იქ ადგილობრივი ენის ცოდნა თითქმის აუცილებელია, რომ დაცულ იქნეს შესაბამისი გავლენა ხალხზე; ამისათვის სასურველია აღირჩივნენ ენისმცოდნე პირები, თუნდ ისე განათლებულნიც არ იყვნენ, როგორც ეს საჭიროა ამ შემთხვევაში (სინოდალური კონტორის საქმე, 1841, N6240). ასეთი მზრუნველობა რუსეთის იმპერატორისა ქართულ სამწყსოსათვის განა არ არის ნიკოლოზ პავლესძის სმენამდის მიღწეულ "სიტყვისმიგებათა" შედეგი? მე აღარას ვაშბობ ყოვლადსამღვედელო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის გამოსვლათა თაობაზე გასული საუკუნის 70-სა და 80-იან წლებში ექსარქოს ვესევისა და სამოქალაქო პირთა (ივანოვსკისა, ზავადსკისა, ვერსკისა და სხვათა) წინააღმდეგ. მათი პოლიტიკის გაკიცხვით ეკლესიის რუსიფიკატორულ ზრახვათა იარაღთ გარდაქცევისათვის, სასულიერო სკოლებში ქართველების ღვევისათვის, სიწმიდეთა დარბევისათვის, ისეთი რუსის მღვდელმთავრებისა და მოძღვრების დანიშვნისათვის, რომელთაც არ ესმოდათ სამწყსოს ენა, ზნე-ჩვეულებანი და ხალხის სული და ხასიათი (Tonkmelis - Pravda ob avtokephalii qrusinskoi tzerkvi. 161-180). რაღა ითქმის იმ უკმაყოფილებაზე პრესაში და საზოგადოებაში, რაიცა გამოწვეულ იქნა ტაძრებისა და მონასტრების ჩამორთმევისა გამო, როგორც მაგალითად: ზიჯინტისა, სიმონ კანანელისა, დრანდისა, მოქვისა, საფარისა, აღთალისა და უმეტესად კი ზოდბისა, სადაც განისვენებს წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს ნეშტი. განა ყველა ეს "სიტყვის მიგება" არ არის რუსეთის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებისა და მისი ადგილების წინააღმდეგ საქართველოში?

თვით სინოდის ექსარქოსებმაც უწყოდნენ ეს "სიტყვის მიგება", ჰმენიათ ასეთები თავისი ყურით, მაგრამ ყველა ამას ჰხსნიდნენ ქართველების "მსჯე-

ლობსადმი უნიჭობითა", "სიჩლუნგითა", "ქართველი ხალხის სიცოფითა და კაცთმკვლელობისადმი მიდრეკილებით". ასე ესმოდა ქართველების "სიტყვის მიგება" რუსეთის ეკლესიის გამოჩენილ მღვდელმთავარს, უწმიდეს სინოდის თავმჯდომარეს, მაღალყოვლადუსამღვედელოეს იოანნიკეს - ყოფილ ექსარქოსს საქართველოში (Sapiski prissustvuiusch. Tschlena Sv. Sinoda archiep. Nikanora, 35,36). მაღალყოვლადუსამღვედელოეს იანნიკეს მოადგილე საექსარქოსოში მთავარეპისკოპოზი პავლე - კი ტვერის მთავარეპისკოპოზ საბასთან მიწერ-მოწერაში (ტ.8, 102) თვის სამყვსოს ახასიათებდა როგორც "ველურს", ხოლო საკუთარხელ-წერილ წერილში - (იქვე, 349) საქართველოს ჰახასავს "ველურ და მხეცურ ქვეყნად". გარნა რამდენად ქართველნი ჩლუნგები, ცოფიანები, ველურები და მხეცები არიან, შენს უწმიდესობას შეუძლიან განსაჯოს მოვლენათა თუნდა უკანასკნელი - ამ საერთო ნგრევისა და დარბევის ებოქის - ორი წლის მიმოხილვიდანაც: ყოფილ რუსეთის იმპერიაში საქართველო ერთადერთი კუთხეა, სადაც ელლინებიცა და იუდელებიც, სკვითებიცა და ზარბაროსებიც მშვიდათა ცხოვრობენ და არც თუ შიში აქვთ თავის სიცოცხლისა და რწმენისათვის.

აქ უსაფუძვლოა, დირსპატივცემულო მეუფეო, შენი მტკიცება, რომ მთელი საუკუნის სტადიონზე საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარება სინოდისადმი არ იწვევდა დავას ქართველების მხრით; ამისდამიუხედავათ, მე მაინც მჯერა შენი, რომ სინოდის განკარგულებაში ინახებიან ქართველების მიერ წარდგენილი მასალები. საქართველოში სინოდალური იმპერატორების კეთილნაყოფიერების აღნიშვნით, მაგრამ მერწმუნე შენც მე, რომ ეს მასალები გამოძინარეობენ რითიმე დაინტერესებულ პირთაგან და იმავე დირსებას შეიცავენ, როგორც შენი უწმიდესობის მიერ აღნიშნული ციტატა ნეტარხსენებულ კათალიკოზ კირიონის თხზულებიდან, ხოლო მაღალ ავტორს შემოდასახელებულ წიგნაკში გამოთქმული ჰაზრები შემდგომ არა ერთგვით უარუყვია (Journal zasedanii predssobornago prissuststvia, 1906, ტ. III, ნაწ. II, გვ. 35). ჩვენი ცხოვრების პირობები თითქმის შეუძლებლათა ჰბიდნენ სიმართლის წერას. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოვლადსამღვედელო კირიონის შემონაჩვენებ წიგნაკში გამოთქმული შეხედულება სრულებით არა ჰგულისხმობს მთელი ქართველი სამღვედელოების ჰაზრსაც, როგორც შენს უწმიდესობას ჰგონია; ეს სრულებით შეუძლებელია, რადგანაც ნეტარხსენებული ავტორის შეხედულება მუდამ დაგმობილი იყო ქართველი სამღვედელოების მიერ.

საქართველოს ექსარქოსებიც კი არ იზიარებდნენ ხსენებულ ავტორის პაზს; როდესაც მთავარეპისკოპოზი პლატონი გაეცნო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას, პირდაპირ ჩასთვალა იგი ტრაგიკული მით აღსაყვით და განადგურებისაკენ მიმავალათ (Pribavlenie k zserkownim vedomostiam, 1906, N21, გვ.502). რუსის ერთ-ერთი უგანათლებულესი მღვდელმთავრის ეს სიტყვები დიდმნიშვნელოვანია: სჩანს უკანასკნელმა ექსარქოსმა შეფასება მოუბღინა მის წინამორადგილეთა მოღვაწეობას საქართველოს კათედრაზე სინოდალური ბატონობის რეჟიმის განმავლობაში ჩვენში.

არქიეპისკოპოზ პლატონის სინოდალური ექსარქოსების საქართველოში მოღვაწეობის თაობაზე ასეთი მსჯავრის შემდეგ, ვიმედოვნებ, უწმიდესობა შენი აღარ მიიჩნევს სიმაღლესთან შეფარდებულად მტკიცებას, თითქოს სინოდის მმართველობა საქართველოში კეთილნაყოფიერი ყოფილიყო!

### III

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცდაში რომ გამოირკვა 1905 წელს - სწერს შენი უწმიდესობა - უწმიდესმა სინოდმა 1906 წელს დაადგინა: "აღნიშნული საკითხი გადატანილ იქნას რუსეთის ეკლესიის მომავალ ადგილობრივ კრებაზე განსახილველათ" და ამ კრების სამსჯავროს წინაშე ჩვენ "გემართება წარგვედგინა ჩვენი ეკლესიური სურვილები და ზრახვანი და დაგვეცადა მის განაჩენისათვის". წინა რუბრიკაში (II) მოყვანილ ფაქტებიდან შენი უწმიდესობა მიჰვლდებოდა, რა მიზეზისა გამო მხოლოდ 1905 წელს გამოაშკარავებულ იქნენ "ცდანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის". მხოლოდ ამ წელს არ იყო განა ოფიციალურად ნებადართული მართლის თქმა?! და ჩვენც გამოვთქვით ეს. არა თუ მხოლოდ ჩვენ შორის აღიძრა 1905 წელს ცდა კანონიკური წყობილების აღსადგენად: თვით რუსეთის ეკლესია, რომელიც საქართველოს ეკლესიასთან შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ორ საუკუნის მტ მანძილზე ემონებოდა "... ფრაკოსანსა და მუნდროსან პატრიარქებს, "ურწმუნოებსა" და "რჯულისაგან აშკარათ გადამდგარ პირებს" ("Vsseross. zerkovno-obsch. vestnik" 1917. N156. "Dejanja Ssobora" - 25 ღვინობისთვე), განა იმავე 1905 წელს არ ამეტყველდა პატრიარქობის აღდგენისათვის? უწმიდესობას შენსას ალბათ დავიწყებული არ ექნება ის გარემოება, თუ როგორ მრისხანეთ შეუბღვირა პოხელნოსცევმა რუსის ეკლესიის საუკეთესო მღვდელმთავრებს რუსეთის

საკლესიო მმართველობაში ნორმალური წყობილების დაფუძნების ცდისათვის და რაზომ დიდი იყო მღვდელმთავართა დარცხვენა უძლიერესი ვებირის ამ შეტყვისა გამო. ამის გარდა, უწმიდესობა შენი აქაც სცოლებს ჭეშმარიტების წინააღმდეგ: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი გადაცემულ იქნა სრულიად რუსეთის მომავალ კრებაზე გასარჩევთ არა უწმიდესი სინოდის დადგენილებით, არამედ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ნებით, ვითარცა პასუხი ქართველ ეპისკოპოზთა მიმართებაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენისათვის. უწმიდესმა სინოდმა მარტივი განკარგულებაც კი არ გასცა, რათა უმაღლესი ნება თავის ოფიციალ ორგანო - Zerkovnia vedomosta- ებში გამოქვეყნებულიყო და ეს უმაღლესად გამოთქმული სურვილი ქართველ ეპისკოპოზებს კავკასიის მეფისნაცვლის საშუალებით ეუწყათ. ხოლო არსებითათ, 1906 წელს გამოთქმული ეს დადგენილება, ანუ ნება, საქართველოს ეკლესიას უმზადებდა უფრო უარეს მდგომარეობას. საქმე იმაშია, რომ განზრახულ კრებას არ შეეძლო სისწორით გადაეჭრა მის მსჯელობაზე გადაცემული საკითხი, - ამისი თავლები იყო დაგზავნილ შეკითხვებზე პასუხი იმ მღვდელმთავრებისა, რომლებიც კრების სრულუფლებიან წევრებად უნდა ყოფილიყვნენ: ყოვლად სამღვდლო მეუფენი თავის პასუხში ან არ ეხებოდნენ ამ საკითხს, ან მას უარსაყოფელად სწყვეტდნენ, ზოგიერთნი კი მოითხოვდნენ ჩვენს მიცემას სასჯელში (ტულის მღვდელმთავარი ლავრენტი: Otvizi eparchialnich archierejev - ნაწ.3, გვ.387).

უკეთესი მიმართულება არ მიუღია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს კრების წინასწარ თათბირზეაც (Predsbornoe prissustvie): ამ თათბირმა საკითხი უარყოფითად გარდასწყვიტა და ეკლესიურ საქმეთა მოგვარებას ამიერკავკასიაში შეუდგა მის სახელზე დეკანოზ ვოსტორგოვის მიერ წარდგენილი ორი პროექტიდან ერთის მიღებით. ხოლო ეს პროექტი პროფ. პ. გლუბოკოვსკის სიტყვითაც კი "კანონიკური თვალსაზრისით არ იყო მთლად უმწიკვლო", ვინაიდან ერთსა და იმავე ტერიტორიაზე განზრახული იყო "ორი ურთიერთშორის მოქიშპე საეკლესიო ხელისუფლების დაარსება, რომელთა შორის მოსალოდნელი იყო მტრული განწყობილება (კრების წინასწ. თათბირის ჟურნალები და პროტოკოლები, ტ. III, ნაწ. II, გვ.277). განზრახული კრების მომავალი წევრებისა და მათი დამქაშების ასეთი სულისკვეთებისა გამო, განა შეიძლებოდა ჩვენი სურვილები და მისწრაფებანი დამოუკიდებ-

ლობისადმი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების სამსჯავრობზე წარგვედგინა?

მაგრამ შენს უწმიდესობას იქნება ჰგონია, რომ "ჩვენს სურვილებს დამოუკიდებლობისადმი" შეეძლო სამართლის მხრივ დამცველები შეეძინა 1906 წელს გამოთქმული უმაღლესი კეთილსურვილის შემდგომ საქართველოს ეკლესიის ზედის უახლოეს ხელმძღვანელთა სახით?

დიდათა ვწუხვარ, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ერთობ მცირე ოფიციალი მასალა შესახებ იმისა, თუ როგორ ამუშებდნენ ამ საკითხს უმაღლესი საეკლესიო მთავრობის წინაშე საქართველოს ექსარქოსები, გარნა ის მტკიცებანიც, რაიცა ჩვენს განკარგულებაში არის, საკმაო ნათლად ახასიათებს ეგრეთწოდებულ საქართველოს ექსარქოსებს. უმაღლესი განკარგულების და კეთილსურვილების შემდგომ მოვლინებული პირველივე ექსარქოსი არქივისკოპოზი ნიკონი აი რას სწერდა 20 იანვარს 1908 წელს უწ. სინოდის თავმჯდომარეს მიტროპოლიტ ანტონს: - "სამღვდელოებამ (საქართველოსამ) დაადგინა სემინარიისა და სასულიერო სწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება შემოიღოს ქართულ ენაზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ხოლო თუ მათ მაინცდამაინც მიეცემოდით ნებართვა ქართულ ღვთისმეტყველებაში ევარჯიშნათ, მაშინ ამ საქმეს ბოლომდის უნდა მივყვეთ და არაფრით არ უნდა გადავუხვიოთ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს და შეიძლება, როგორც ვწერ უწ. სინოდისადმი მოხსენებაში, წაერთვას სემინარიას შემწეობა სახელმწიფო ხაზინიდან, რაკი მასში სწავლებას ნაციონალურ ენაზე შემოიღებენ და ჩამოერთვას ის უფლებებიც, რასაც იგი თავის მოწაფეთ ანიჭებდა ამ ხნობამდის, ვიდრე იყო სასესებით რუსული. მაშინ ქართველები ჩადენილი საქციელის მონანიებით და ცრემლთა ღენით შეწყალეხითათვის, უარს განაცხადებენ თავის ეროვნულ პრეტენზიებზე და ხვეწნით მოგვმართავენ დაუბრუნოთ ის, რაცა ჰქონდათ. თავაზიანობა მათთან არა ღირს ("Sakavkasie", 16 აპრილი, 1917 წ.). ნუთუ შესაძლებელი იყო, ღირსი ბუნდო მძავო, ასეთი სტრიქონების ავტორისაგან დახმარების მოლოდინი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალ უფლებათა საკითხის დადებითად გარდაწყვეტისათვის?..

მთავარეპისკოპოზ ნიკონის მოადგილემ მაღალყოვლადუსამღვდელო ინოკენტიმ იმერეთის სამღვდელოების მილოცვაზე მისი ექსარქოსად დანიშვნის გამო და იმედის გამოთქმაზე, რათა ივერიის ეკლესიის საკითხი კეთილმითვლილად გარდაწყვეტილიყო, ასე შეუთვალა: მე ვცნობ მხოლოდ რუსეთის

ეკლესიას, ხოლო არა ვცნობ ივერიის ეკლესიას. ექსარქოს ინოკენტის მოადგილე არქივისკოპოზი ალექსი II 7 ქრისტეშობისთვის 1913 წ. ხელმწიფე იმპერატორისადმი მირთმეულ მიმართვაში, ქართველების ცდას ეკლესიური თვითარსებობისათვის უწოდებს "ქართველ ავტოკეფალისტ ინტელიგენტების ფანტასტიურ ბოღვათ" (უწ. სინოდის ბრძანება, N6167, 11 აპრილი, 1914 წელი, სინოდ. კანტორის საქმე, 1914 წ. N300). ახლა არქივისკოპოზ პლატონის საქციელი: საქართველოს ეკლესიის სამღვდელოების კრებას მან ჩამოართვა პატაკი ღიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზისადმი გადასაცემათ, რომელშიაც გამოთქმული იყო შუამდგომლობა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, **ნამღვლილად კი არაბა თვითონ დაიტოვა, ხოლო სამღვდელოებას არწმუნებდა, რომ იგი უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.**

რაც ითქვა, უწმიდესო მეუფეო, საკმარისია იმის გასაგებათ, თუ როგორ ამზადებდნენ რუსეთის ეკლესიის კრებას მის განსახილველათ გადაცემულ საქართველოს ეკლესიის საკითხის გარდაწყვეტისათვის და რაგვარი დადგენილების მიღება შეეძლო კრებას ამ საკითხზე. რუსეთის ეკლესიის კრების მიერ ავტოკეფალიის საკითხის უარყოფით განჩინებას კი შეეძლო წარმოეშვა განყოფილება და მტრობა-კონფლიქტი უკვე ორ ეკლესიას შორის - ქართულისა და რუსულისა, რაიცა ჩვენ არასდროსა გვსურდა და არც ახლა გვსურს. ეკლესიურ საქმისათვის მეცადინე ქართველები ამიტომ დაუფარავად აცხადებდნენ, რომ რუსეთის საეკლესიო კრებას 1906 წლის 11 მარიაამობისთვის უმაღლესი ბრძანების შემდეგაც ნება არა აქვს გარდასწყვიტოს ქართული საეკლესიო საკითხი და რჩევას იძლეოდნენ ყოველივე ღონის მისაღებად, რათა განზრახული სრულიად რუსეთის კრება მასზე განსახილველათ გადაცემული საკითხის განსჯაში არ შესულიყო (Tiflis, N16, 12 ღვინობისთვე 1906 წ. Mnenie gruppi svjatschennikov).

შემდგომ ყოველივე ამისა, საჭირო შეიქმნა ან დაშთენა სინოდალურ ხელისუფლების ქვეშ და ცდა მისგან მმართველობის ნაწილობრივი რეფორმების გამოღებისათვის ავტოკეფალიის საკითხის აღუძვრელად, ან არა და, საჭირო იყო ლოდინი ხელისშემწყობ გარემოებისა, რათა თვით საქართველოს ეკლესიას შესძლებოდა თვისი აღდგენა ავტოკეფალურ, თვითგამგე ეკლესიის უფლებებში. უფალმა ინება ისეთი გარემოების შექმნა, რომელთა მეოხებით საქართველოს ეკლესიამ მეორე მზის არჩევა შესძლო და, ვითარცა შედეგი, მოგვცა 1917 წლის 12 მარტის თვითგამორკვევის ღიდი აქტი და ამის გამო გვკიცხავ შენ, სიყვარულით აღსავსევი?!

## IV

მაგრამ შენ, უნეტარესო, განაგრძობ ჩვენს ბრალდებას და ამბობ, რომ ჩვენ "დავარდვიეთ (სწორედ 1917 წლის 12 მარტის აქტით) კანონიკური მიმართულება მართლმადიდებელ რუსის ეკლესიასთან და ავტორიტეტით გამოგვეაჯანა დროებითი მთავრობისაგან 27 მარტის დადგენილება შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა.

უწმიდესო მეუფეო, ღვათაებრივ განგებას ენება, რათა მოცილებულიყო ის, რაიცა 1917 წლამდის აზრკოლებდა რუსული საეკლესიო კრების მოწვევას და რამაც მოსპო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, - თვითმპყრობელურმა მთავრობამ აღვილი დაუთმო სახალხო წარმომადგენლობას. ამგვარი ცვლილებისა გამო, საქართველოს ეპისკოპოზებმა და სამღვდლოებმა და ერისკაცთა წარმომადგენლებმა კეთილდროულად მიითვალეს შეკრებილიყვნენ 1917 წლის 12 მარტს მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა ტაძარში და ერთხმათა და ერთსულოვნებით დაედგინათ: ამიერიდგან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა აღდგენილად ჩაითვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დროებით მთავრობას, რომელმაც შესცვალა ხელისუფლება, 1811 წელს რომ მოსპო ეს მმართველობა, ხოლო 1906 წელს თხოვნა მიიღო იგივე მმართველობის აღსადგენათ. დროებითა მთავრობამ დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის გამოსცა სრულიად დამოუკიდებლად და არა ქართველი ეპისკოპოზების მხრით რაიმე ცდისა გამო, როგორც ამას უწმიდესობა შენი შემცდარათ ჰგონებს ("Vestnik Vremennogo Pravitelstva" 1 1917, N18; შეადარე: "Serkovnia Vedomosti", 1917, N9-15). ამ დადგენილებაში დროებითი მთავრობა თუმცა შეჰნიშნავს, რომ ის საქართველოს ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენის კანონიურ მხარეს არ ენება, მაინც სწორედ ამ მხრივ შეეხო მას, ამიტომაც საკითხი ანტიკანონიკურად გადასჭრა, ვინაიდგან საქართველოს ავტოკეფალ ეკლესიას მიუკუთვნა ეროვნული ქართული ხასიათი და არ შეზღუდა იგი განსაზღვრულ ტერიტორიით, როგორც ამას კანონები აწესებენ; იმავე კანონთა საწინააღმდეგოთ, მან ყველა მართლმადიდებელი სამრევლოები - რუსულნი და სხვა არაქართულნი - მართლმადიდებელი რუსული ეკლესიის უწყებაში დასტოვა. საკითხის ამგვარი შეტრიალება საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ სკნო ანტიკანონიკურად და იმავე დროს, როცა მიიღო დეკრეტით ეს დადგენილება - 28

მარტს - გამოაცხადა ასეთი შინაარსის პროტესტი: "საქართველოს ეკლესიის ცნობას ნაციონალ ეკლესიად და არა ტერიტორიულ ავტოკეფალიად ისტორიაში პრეცედენტი არა აქვს და სავსებით ეწინააღმდეგება მართლმადიდებლებისათვის სავალდებულო ეკლესიურ ყველა კანონს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უნდა იყოს ცნობილი ტერიტორიულ საფუძვლებზე ძველი დროის ქართულ საკათოლიკოზო საზღვრებში". საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ პროტესტი შეტანილი იქმნა იმ პროექტშიაც, რომელიც ხელმოწერილი იყო დროებითი მთავრობის წევრებისაგან და მისი დროებითი რწმუნებულის საქართველოს საქმეთათვის პროფესორ ვ. ნ. ბენეშვიჩისაგან: "მთავარი საფუძვლები საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში". მაგრამ დროებითმა მთავრობამ უარყო ეს სამართლიანი პროტესტი, არ ჩასთვალა შესაძლებლად ანგარიში გაეწია საეკლესიო კანონთა მოთხოვნებისათვის და, ამ რიგად, დააკანონა ეკლესიის მიერ დაგმობილი ფილექტში. ამის გამო, დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულ "რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის პროექტის" მიღებისთანავე ("Vestnik Vremennogo Pravitelstva, N140 (180), 1917), საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და მის ყველა ეპარქიულ განყოფილებათა საგანგებო კრებამ გაუგზავნა ა.ვ. კარტაშვილს ფრიად მკაცრი შინაარსის პროტესტი.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს შენი სათნოებისათვის, რომ რაკი უწმიდესი სინოდი XIX საუკუნის დასაწყისში გაურია საქართველოს ეკლესიის საქმეებში არა თავის ინიციატივით, არამედ ზედსაფერების გავლენითა და იძულებით (ბუტკევიჩი, გვ.16,19), საქართველოს ეკლესიას საფუძველი ჰქონდა დაიმედებულიყო, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, უწმიდესი სინოდის სახით, 1917 წელს სხარულით მიეგებებოდა თავის განთავისუფლებას მასზე იძულებით მოხვეულ საქართველოს ეკლესიისათვის გარჯისა და მზრუნველობისაგან და ამით გამოასწორებდა დროებითი მთავრობის მიერ ჩადენილ შეცდომას. ეს მაინც არ მოხდა: უწმიდესი სინოდის წევრმა მთავარეპისკოპოზმა პლატონმა ჩვენგან ცნობა რომ მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის თაობაზე, რის შემდეგ მას ზუნებრივად უნდა აპყროდა უფლება ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოზთა და საქართველოს ექსარქოსათ დაშთენლიყო, ძმური საღამის მაგიერ, რუსის სალდათების ხიშტებით დაგვემუქრა. უწმიდესმა სინოდმა კი არ დააყოვნა

დამდგარიყო თქვენ მიერ სამართლიანად წოდებულ ბულგარულ სქიზმის თვალსაზრისზე და 1917 წლის 14 მკათათვეს გამოცა "დროებითი წესები კავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობისათვის" ("Zerkovni Vedomosti" 1917, N30) რუსული სამიტროპოლიტო კათედრის დაწესებით, იქ, სადაც V საუკუნიდან მოყოლებული არსებობს ქართული ტფილელი მიტროპოლიტის კათედრა, რაიცა ეწინააღმდეგება I მსოფლიო კრების მე-8-ე კანონს: "რათა არ იყვნენ ორნი ეპისკოპოზნი ერთსა ქალაქსა შინა".

მოთხრობილის შემდგომ, ვიმელოვნებ, უწმიდე-სობა შენი შესძლებს სთქვას "ღრმითა შეგნებითა თვისით", რომ საქართველოს ეპისკოპოზნი მუდამ იცავდნენ კანონიკურ წესებს იმ დროს, როდესაც ისინი, ვინც თავის თავს რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებათ ჰსახავდნენ, ღვთაებრივ კანონთა წინააღმდეგ ვიღოდნენ.

V

უწმიდესობა შენი გვისაყვედურებს ჩვენ კიდევ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართ სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობის დარღვევას და მასთან, წინააღმდეგ ყოველივე კანონიკური წესებისა, ურთიერთობის შეწყვეტას. გარნა არც ეს საყვედური დაგვიმსახურებია, ამიტომ ესეც უსაფუძვლოა. მართალია ჩვენ 1917 წლის 12 მარტიდან - განსაკუთრებით 27-დან - არა ვცნობდით ჩვენზე უწმიდესი სინოდის ისედაც უკანონო მთავრობას, მაგრამ სულაც არ გვიფიქრია დავშეთნილიყავით "რუსეთის ეკლესიასთან ყოველივე ურთიერთობის გარეშე". ჩვენ მიერ 1917 წელს, 14 მარტს არქიეპისკოპოზ პლატონისათვის გადაცემულ საბუთებში გარკვეულათ იყო ნათქვამი, რომ მას "ერთმევა უფლება გამგებლობისა საექსარქოსოს მხოლოდ ქართულ ეპარქიებზე, სამრევლოებზე, სასულიერო სასწავლებლებზე და საეკლესიო დაწესებულებებზე საქართველოს საკათალიკოზო საზღვრებში" განურჩევლად იმისა, თუ როგორი იყო და არის ეროვნებათა შემადგენლობა, როგორც საკათალიკოზო, აგრეთვე საქართველოს ყოფილ საექსარქოსოს დანაშთენ ნაწილებში. ამგვარი კანონიკური მოთხოვნილება მიუღებლად მოეჩვენა არქიეპისკოპოზ პლატონთან შემდგარ ქალაქ ტფილისის სამღვდლოებისა და ერისკაცთა კომიტეტს, რომელშიაც თავმოყრილიყვნენ უმთავრესად დეკანოზ ვოსტოგოვის ყოფილი თანამოღვაწენი. ამ კომიტეტმა 27 მარტს დაადგინა - ეცნობოს უწმიდეს სინოდს შემდეგი: "რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება

შესრულებული ფაქტია, ხოლო ჩვენთვის შეუძლებელი არის საქართველოს საკათალიკოზოში შესვლა, ვშუამდგომლობთ უწმიდესი სინოდის წინაშე, დაარსდეს ამიერკავკასიის საექსარქოსო, უწმიდესი სინოდისადმი დაქვემდებარებული, რომლის შემადგენლობაში უნდა იყვნენ ყველა რუსული სამრევლოები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა მართლმადიდებლებიც, უკეთუ ისინი ამას მოისურვებენ".

ამ მომენტიდან ქალაქ ტფილისის რუს სამღვდელოებისა და ერისკაცთა კომიტეტს ორ ეკლესიათა ურთიერთობაში შეაქვს არაკანონიკური ელემენტი და ჩვენ ტფილისის კომიტეტის ამ მოქმედებას ვრაცხდით ძალადობად რუსის ეკლესიის შვილებზე, რომელნიც საკათალიკოზოს ტერიტორიის გარეშე ცხოვრობენ, ამიტომაც არქიეპისკოპოზ პლატონს, და ეხლაც მის მოადგილეს, მუდამა ვცნობთ რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრად კავკასიაში, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის გარეშე; ხოლო ჩვენ რომ არ გვსურდა და არც ახლა გვსურს მართლმადიდებელ რუსულ ეკლესიასთან სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთობის დარღვევა და მასთან ურთიერთობის შეწყვეტა, ეს უწმიდესობას შენსას შეუძლიან ნათლად დაინახოს შემდგომი ფაქტებიდან: როცა ქალაქ ტფილისში 1917 წლის მაისში გაიხსნა კავკასიაში მოსახლე რუსების საეკლესიო კრება, ჩვენ მივგზავნეთ ამ კრების წევრთა მისასალმებლად ჩვენი წარმომადგენლები ერთი მღვდელმთავრისა და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის ერთი წევრის სახით. იმავე წელს თიბათვეში გადამგზავრეთ სპეციალური დელეგაცია უწმიდესი სინოდისათვის ძმური სალაშმის გადასაცემათ. 28 თიბათვეს დელეგაციამ წერილობით მიჰმართა ობერპროკურორ ვ.ნ. ლოვოს ნებართვა გამოეთხოვა უწმიდესი სინოდისაგან მის მისაღებად და ასეთ დღეთ უწმიდესმა სინოდმა 1927 წლის 1 მარიაშობისთვის დანიშვნა იწება. დელეგაცია უწმიდესმა სინოდმა, მთელის შედგენლობით თავმოყრილმა მიიღო, ხოლო დელეგაციის მეთაურმა ყოვლადსამღვდელო ანტონმა მიჰმართა უწმიდეს სინოდს შემდეგი მისაღმებელი სიტყვებით: "თქვენო უწმიდესობავ, ღვთიებრძენო მწყემსთაფარნო და მამანო! კურთხეულ ივერიის ძეთ, რომელთაც ჯერ კიდევ წმიდა მოციქულთა სწორის ნინოს დროიდან ეპყრათ თვალი ღიდფასიანი - მართლმადიდებელი სარწმუნოებისაკენ და მის დაცვისათვის მრავალ საუკუნეთა მანძილზე სისხლით იცლებოდნენ, - XVIII საუკუნის დამლევს გადასწყვიტეს უბიწო ტრედის დაცვა რუსეთის ძლიერების საფარველის ქვეშე ეპოვათ. საქართველოს შეროების შემდგომ ერთმორწმუნე რუსეთთან ეკლესია გამოკეთდა

ძველი, მტრისხელისაგან მიღებულ ჭრილობისაგან და შეუდგა თვის შვილთა თავმოყრას - თავისუფალი თვით არსი დაედო ჩვენს ივერიის ეკლესიას! გარნა თვითმპყრობელ მთავრობის წარმომადგენლების დაჟინებისა გამო, თავმოკვეთილ და ძალით დამორჩილებულ იქმნა თვისი უმცროსი ძის - სრულიად რუსეთის ეკლესიისადმი. რაოდენი მუდარა და ვედრება გაისმოდა ბრალუდები ტყვის განთავისუფლებისათვის, გარნა ყოველივე ეს იხშებოდა და იკვეთებოდა, ხოლო როდესაც ამა წლის 3 მარტს რუსეთში გამოცხადდა მოქალაქობრივი თავისუფლებანი, ეკლესიურმა ხალხმა საქართველოსამ მოიწადინა და 12 მარტს აღადგინა თავისი მშობლიური ეკლესია მის ავტოკეფალ უფლებებში და ეს თვითგამორკვევის აქტი იქმნა დამტკიცებული ამა წლის 27 მარტს დროებითი მთავრობის მიერ და დიდ აქტად წოდებული. ივერიის ავტოკეფალური მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია აუწყებს ამას ქრისტეს მიერ საყვარელ თავის დას - სრულიად რუსეთის მართლმადიდებელ კათოლიკე ეკლესიას, თქვენი უწმიდესობის სახით, და უძღვნის მართლმადიდებლობის შინა მყოფ რუს მოძმე ხალხს ქრისტიანულ წრფელსა და მხურვალე ამბორს. ქრისტეს მიერ ამ საყვარულის ცხოველ გრძნობით ჭვაროსანი ეკლესია ივერიისა ითვალისწინებს განვლილ ფაშათა შინა საუკუნეთა სტადიონზე ორივე ეკლესიათა მიერ მართლმადიდებელ სარწმუნოების წმიდა ღოგამათა თანხმობლივ დაცვას და გამოსთქვამს მტკიცე რწმუნას იმაში, რომ ამიერიდან ორივე მონათესავე სარწმუნოებთაცა და სულიერ მისწრაფებით ეკლესიანი იცხოვრებენ კეთილთანხმობით, მჭიდრო კავშირისა და ურთიერთისადმი საყვარულით, რათა ერთი გულითა, თუმცა არა ერთითა ენითა, აღიდებდნენ ყოვლადპატიოსანსა და დიდათ შვენიერსა სახელსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ქრისტე არს ჩვენ შორის".

ჩვენი დღეგაცის მისალმებაზე უპასუხა უწმიდესი სინოდის სახელით სინოდის თავმჯდომარე იფინლანდიის არქიეპისკოპოსმა სერგიმ შემდეგი სიტყვებით: "უწმიდესი სინოდი ევედრება ღმერთს (და მტკიცეთ სასოებს ამას), რათა ერთმორწმუნე ქართველმა ხალხმა თავის რელიგიურ-პოლიტიკური ცხოვრების ახალ პირობებში ჰპოვოს წყარო ახალი ღონისა თვის სულიერი განვითარებისა და ქრისტეს ჭეშმარიტების დღემუდამ დაცვისათვის. არ არის საჭირო მოგაგონოთ, რომ რუსულ ეკლესიურ შეგნებას აროდეს ეუცხოებოდა პაპრი, რათა საქართველოს ეკლესიას დაჰრუნებოდა მისი წინანდელი წყობილება. და თუ ეს პაპრი ამ ხნობამდის ვერა პპოულობდა განაარსებას, ეს მიეწერება სხვაგვარ,


ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებს. მით უფრო დიდი სიხარულით ახლა, საერთო თავისუფლების გაზაფხულის დღეებში რუსული საეკლესიო შეგნება მზად არის მიესალმოს თქვენი დიდი ხნის ნატვრის აღსრულებას და უწმიდესი სინოდიც მთელის სულით მიუერთდებოდა ამ მისალმებას; სამწუხაროდ, ყველა ეს მოხდა რაღაც უჩვეულოდ და სინოდის გარეშე... გარნა ვიმედოვნებთ ჩვენ, რომ ღმერთი ყოველას სიკეთით აღაგებს, რომ ზოგიერთი გაუგებრობა ამ საქმეში მოგვარდება, რომ წინამდებარე საეკლესიო კრებაზე ჩვენ ერთმანეთს ძმურათ შევხვდებით და საერთო განსჯით - ქრისტეს საყვარულისა და ერთობის სულისდაგვარად - შევძლებთ გამოვნახოთ გზა ურთიერთის გაგებისათვის, რათა მომავალში ჩვენმა ორმა ერთმორწმუნე, საეკლესიო აღთქმათა შინა სარწმუნო ხალხმა შესძლოს მშვიდობიანი ცხოვრება მხარისმხარ მიცემით და თვითოეული შეუდგეს თავისი დანიშნულების შესრულებას ჩვენ ყოველთა საცხოვრებლათ და ღვთის სადიდებლად". ("Petrogradskia Vedomosti", 1917, N103).

ჩვენ ეხლაც ვიმედოვნებთ, უწმიდესო მეუფეო, "რომ ღმერთი ყოველას აღაგებს კეთილად, რომ ამ საქმის ზოგიერთი გაუგებრობა მოწესრიგდება", და თუ ჩვენ ძმურად ვერ შევხვდით რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, ამაში უწმიდესო მეუფეო, ბრალი ჩვენ არ მიგვიძღვის: ამ კრებაზე ჩვენ არავის დაუძახივართ "ძმურათ", როგორც დაძახილ იყვნენ კონსტანტინოპოლის, ელლადის, სერბიის და სხვ. ეკლესიათა წარმომადგენლები, თუმცაღა ამას დაპირებული იყო ობერპროკურორი ბ-ნი ა.ვ. კარტაშვი. მაინც ჩვენი დაუსწრებლობა კრებაზე შენმა უწმიდესობამ არ უნდა დასახოს, ვითარცა სურვილი "რუსეთის ეკლესიასთან ყოველივე ერთობის გარეშე დაშთენისა", ვინაიდგან სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე 1917 წელს, 19 მარიაამობისთვეს მოსმენილ ჩვენ მიერ წარგზავნილ დეპეშაში ჩვენ მივესალმენით კრების გახსნას და ვთხოვეთ სინოდის ობერპროკურორსა და დროებითი მთავრობის წევრს კარტაშევს გადაეცა აღნიშნულ კრებისათვის საქართველოს ეკლესიის სახელით ძმური, ქრისტეს მიერ ხალხში და სურვილი ნაყოფიერებისა მის წინამდებარე უდიდეს სააღმაშენებლო მუშაობაში ("Vsserossiiskij Zerkovno-obtschestv. Vestnik" N99, 1917).

ყოველივე ნაამბობის შემდეგ, შენი უწმიდესობის მიერ ჩვენი მიპატიჟება, რათა წარსდგეთ სრულიად რუსეთის საღმრთო კრებაზე და ჩვენი შეცოდებანი აღვიართ, უადგილოც არის და თანაც უშედეგო: ჩვენს საქმეთა შინა ცთომებს არ აქვს ადგილი - ხოლო უკეთუ ასეთები შეგვენიშნა, მათი ადკვეთისათვის ყოველ ეკლესიას მოეპოვება საშუა-

ლება, შენი უწმიდესობის მიერაც, ცნობილი: დაუ-  
შრეტელი "მაღლი სულისა წმიდისა, რომლისა მეო-  
ხებითა ქრისტეს მიერ მღვდელთაგან სიმართლე  
დაინახვის გონებით და შეინახვის მტკიცეთ". ამი-  
ტომ ნუ ინებებ, ძმაო, ზოგიერთა თხოვნით ჩვენს  
მიპატიჟებას სრულიად რუსეთის კრების სამს-  
ჯავრობე, "რათა არა გამოსჩნდე წინაშე პირისა  
წმიდისა ეკლესიისა, ვითარცა შემტანი ამპარტავ-  
ნობისა სოფლისა ქრისტეს ეკლესიასა შინა, რომე-  
ლიც ღვთისა ხილვის მოსურნეთ მიუვლენს სინათ-  
ლეს სიმარტივისასა და ღღესა სიმდაბლისა" (აფრი-  
კის ეპისკოპოზთა კრების ეპისტოლე რომის პაპის  
მიმართ). რაიცა შეეხება იმ გაუგებრობას, რომლის  
თაობაზე ამბობს უწ. სინოდის თავმჯდომარე ყოვ-  
ლადსამღვდლო სერგი და რასაც მართლა პქონდა  
ადგილი ჩვენშიც და თქვენშიც, ასეთები გამოწვეუ-  
ლი იყვნენ საერო უფროსთა ჩარევით საეკლესიო  
საქმეებში ასი წლის წინათ და კიდევ იმით, რომ  
საერო მთავრობის მიერ დადგენილი უმართებულესი

სინოდი მოწადინებული იყო მორჩილებაში  
ჰყოლოდა ქართული ეკლესია. გარნა შენ უწყო,  
უნეტარესო, რომ ყოველივე ეს "მოხდა არა  
ეკლესიური წესით, არამედ ადამიანთა სხვაგვარი  
ზრახვებით", და ამიტომ, რაკი აღვადგინეთ კანონი-  
ური წყობილება ქართულსა და რუსულს ეკლესია-  
შიც, მტკიცეთ უნდა ვუთვალყუროთ, "რათა შემ-  
დგომში არავითარი ესეგვარი არ იქმნეს" (I მს.  
კრება, კან.2). ხოლო ეს მით უფრო მასაძლებელიც  
არის და საჭიროც, რომ "წყალობითა ღვთისათა  
ძველი გარდავიდა, აწ ყოველივე ახალ არს" (2  
კორინთ. 5,17). საეკლესიო-სახელმწიფოებრივი  
ცხოვრების განახლებისას ჩვენცა გვძართვეს  
განვახლდეთ ჩვენს გრძნობებში ურთიერთისად  
"რათა ამ ჩვენმა ორმა ერთმორწმუნე ხალხმა, თვის  
ეკლესიურ აღთქმათა ერთგულად დამცველებმა,  
შესძლონ მშვიდობიანი ცხოვრება და თვითოულმა  
ადასრულოს მოწოდებანი თვისი ჩვენ ყოველთა საც-  
ხოვნებლად და საღიღებლად ღვთისა".



მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა  
და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ ჩვენ ყოველთათანა.  
ამინ. N3949. 5 მარიაშობისთვე, 1919 წელი, ტფილისი.

1) უკანასკნელი კათოლიკობი საქართველოს სა-  
მეფოს დროისა მეფე ერეკლე II-ის ძე გადასახლე-  
ბულ იქმნა ქ. ნიჭინოვგოროდში და იქვე მიიკვალა  
1827 წელს 21 ქრისტეშობისთვეს. ასაფლავია იმავე  
ქალაქის ხარების ტაძარში.

2) პროფ. დეკანოზმა სახელ. საბჭოს წევრმა  
ბუტკევიჩმა თავი "ისახელა" 1906 წლის უწმიდეს  
სინოდთან დაარსებულ საეკლესიო კრების წინასწარ  
თათბირზე, როგორც საქართველოს ეკლესიის უკი-  
ღურესმა მოძულემ. მისმა გამოსვლამ და მოხსენე-  
ბებმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ  
აიძულეს აკადემიკოსი ნიკო მარი განეცხადებინა  
თათბირის თავმჯდომარისთვის, რომ მას შესაძლებ-  
ლად არ მიაჩნია კამათი ასეთ უვიც მოხსენებათა  
ავტორთან. 3) ავტოკეფალიის მოსპობის შემდეგ  
პირველი რუსი ექსარქოსი საქართველოში (1817-  
1821); მის წინ ექსარქოსობდა ვარლამ ერისთავი  
(1811-1817).

4) იგულისხმება ამერეთი, აღმოსავლეთ საქარ-  
თველო.

5) ექსარქოს პავლეს დროს მოჰკლეს ტფილისის  
სემინარიის რექტორი ჩუღეცკი, რომლის პანაშვიდზე  
მან სიტყვა წარმოსთქვა და დასწყევლა საქართვე-  
ლო. ტფ. თავად-აზნაურთა მარშალმა დიმიტრი ყი-  
ფიანმა ამის გამო საჯარო პროტესტი განაცხადა,  
რასაც მოჰყვა ამ სახელოვანი ქართველის ქ. სტავ-  
როპოლში გადასახლება და იქ ციხეში მისი მხეცუ-  
რად მოკვლა.

6) ფრიად დამახასიათებელია, რომ ჩვენი ეკლე-  
სიის ავტოკეფალიის მტრები ხშირათ იმოწმებენ  
ტექსტში აღნიშნულ განსვენებულ კათოლიკომ კი-  
რიონის წიგნაკს, ხოლო ავიწყლებათ, რომ ამ საიუ-  
ბილო (ასე ვთქვათ, სათამადლო) სიტყვის გარდა,  
მალალ ავტორს ეკუთვნის მრავალი ნაწერები, რომ-  
ლებშიაც ის მეცნიერული კრიტიკის ქარცეცხლში  
ატარებს სინოდის ანტიკანონიკურ დაუფლებას ქარ-  
თულ ეკლესიაზე. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც  
მხოლოდ ის ოთხი კლასიკურად დამთავრებული ყო-  
ველი მხრით შესანიშნავი მოხსენება: ა) ქართული  
საეკლესიო საკითხი; ბ) რა აიძულეს ქართველებს  
იმეცადინონ თვისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგე-  
ნისათვის; გ) რომელ ივერიას მიენიჭა ავტოკეფალია  
XI საუკუნეში; დ) ნაციონალური პრინციპი ეკლესი-

აში, რომელნიც მისმა უწმიდესობამ (იმ დროის  
ეპისკოპოზმა) წარადგინა უმაღლესი ბრძანებით  
დაარსებულ 1906 წლის საეკლესიო კრების წინას-  
წარ თათბირზე, რომ არარათ იქცნენ საიუბილო  
წიგნაკში გამოთქმული შემთხვევითი კომპლიმენტები  
ექსარქოსებისადმი. ჭკვთამყოფ ადამიანს უნებლიეთ  
აღედვრის ერთი კითხვაც: თუ კათოლიკობი კირიონი  
ასეთი სარწმუნო დამცველი იყო რუსეთის სინოდა-  
ლური რეჟიმისა საქართველოში, მაშ ასევე სინოდი  
რადიასათვის სდევნიდა მას უმოწყალოდ, რისთვის  
მიუსაჯა ექსორია რუსეთში, რა მიზეზით ალპობდა  
მას სუბდალისა და სხვა ყრუ მონასტრების ციხეებ-  
ში? განა რომ "Kulturnaia rol Iverii v Rossii"-ის ავ-  
ტორს მშობელი ქვეყნის მშის ხილვა ეღირსა მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ მცხეთის საყდარი თავისი უფა-  
ლი შეიქმნა! საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობე-  
ლის კვერთხიც მიენიჭა პირველადვე მას - ეკლესი-  
ისა და ერისათვის განაწამებსა და ღვაწლითმოსილ  
მომამაგეს.

7) მოკლულ იქმნა 1908 წელს ტფილისში  
სინოდ. კანტორის კიბეზე. მკვლელობის ადგილზე,  
სინოდის განკარგულებით, ააგეს ნიშის მსგავსი  
რამ, სადაც გამოჰფინეს მოკლული ექსარქოსის ანა-  
ფორა და ბარტულა. ავტოკეფალიის გამოცხადების  
უმაღლვე, როგორც ეს ნივთები, ასევე ნიშიც ალაგე-  
ბულ იქმნენ.

8) ცნობილია, რომ დროებითი მთავრობაც აღ-  
მაცურად ეპყრობოდა ავტოკეფალიის საკითხს:  
კერენსკიმ ჩვენი საეკლესიო დელეგაცია არ მიიღო,  
თანაც მიჰმართავდა ყოველგვარ ზომებს საქმის გა-  
საჭიანურებლად. რევოლუციის "გამღრმავებლების"  
ჰაზრით ქართული ავტოკეფალია სახიფათო გახდა  
"Edinaia nedelimaia"-სათვის, ხოლო რუსეთის რუვო-  
ლუციის ზვირთებზე მდგომი ზოგიერთი ჩვენი თანა-  
მემამულე უფრო გატაცებული იყო "voina do pobe-  
dogo kontza" -ს ლობუნგიით და ამის გამო არც  
ეცალათ ასეთ სათაკილო "კლერიკალ" პრეტენზიების  
გამოსარჩლებისათვის.

9) იმ დროს მდგომარეობა ისეთი ახირებული  
შეიქმნა, რომ ახლად აღდგენილ ავტოკეფალ ეკლე-  
სიის უფლებანი მის საკუთარ ტაძრებზე და სხვა შე-  
ნობებზე, თუ საზოგადოდ ქონებაზე ეროვნულ-დე-  
მოკრატიული პარტიის განკარგულებით შემდგარ

რამდენს უნდა განეყარებინათ. იყო ასეთი შემთხვევა: წმიდა ნინოს ზოდბის მონასტრის ილუმენია ნინომ (ვაჩნაძე) მოახსენა საკათალიკოზო საბჭოს, რომ ტფილისში არსებულ აღნიშნული მონასტრის მეტოქის ყოფილი ილუმენია ანასტასია (რუსი) არ ანებებს მას, ხოლო შენობის დასაცავათ დაუყენებია რუსის შავრაზმელები "ღუბინებით". ამ საქმის მოსაგვარებლათ კათალიკოზის ბრძანებით "ზაკავკაზსკი კომისარიატში" წარიგზავნა დელეგაცია, რომელიც მიიღო ერთმა ღიღმა მოხელე ქართველ სოციალ-დემოკრატმა; მან უსიამოვნოდ მოუსმინა დელეგაციას და უარი განუცხადა დახმარებაზე. დელეგაციის პასუხზე, რომ საკათალიკოზო საბჭო იძულებული გახდება სხვა ზომებს მიჰმართოს, "სანოენიკმა" შეუჭყვივლა. *la vas arestui!* მეტოქი შეიარაღებულ "მეციხოვნეებს" მაინც ჩამოერთვათ კომისარიატის წევრის ბ. რ-ლის შემწეობით.

10) აწ განსვენებული ქუთათელი მიტროპოლიტი - გიორგაძე.

11) ამჟამად, რუსეთის პატრიარქის მოსაყდრის მოადგილე, განსწავლული ღვთისმეტყველი, რომლის ნაწერები გადათარგმნილია ევროპულ ენებზე. ჩეკა-

ში მრავალხნობით ნაწამები და ამისა გამო სრულეზობით გამოთავანებული, დაავადებული და ილაჭგაწყვეტილი. მისი მშართველობა უნდა ჩაითვალოს რუსეთის ეკლესიის აღრევისა და დაკნინების ხანათ. მასვე მიაწერენ სამარცხვინო ფორმულას: "საბჭოთა მთავრობის სიმწუხრე ჩვენი სიმწუხრეა, ხოლო მისი სიხარული ჩვენი სიხარულია".

12) იგულისხმება კართაგოს მეექვსე ადგილობრივი კრება (V საუკ.). ამ კრებაზე თავმჯდომარეობდა კართაგოს მღვდელმთავარი ავრელიუსი; იმ ხანებში რომის კათედრას მწყეშობდა პაპი ცელესტინო პირველი (423-432), კათოლიკურ ეკლესიის მიერ წმიდანათ აღიარებული. რომის ეპისკოპოსს რომ არც აფრიკის ავტოკეფალი ეკლესია მშოსავდა განსაკუთრებული პრეროგატივებით მისი ეპარქიის გარეშე, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ ეკლესიაში განკვეთით ისტებოდა ყოველი მღვდელი (და საზოგადოთ მღვდელმსახურნი), რომელიც, რაიმე მიზეზისა გამო, საჩივრით პაპს მიჰმართავდა. შეადარე: ვატიკანის 1870 წლის კრებაზე მონსინიორ შტროსმაიერის სიტყვა.

მთარგმნელი

DJVARI VAZISA  
(The Cross of Vine)

N 3. 1990

The present issue of the journal is dedicated to one of the most important events in the life of the Georgian Church and people - the recognition of the Georgian Church Autocephaly and Patriarchal Dignity by the Ecumenical Patriarchate.

The journal opens with the greeting speech delivered by His Holiness and Beatitude ILIA II, at the Church Service in Sioni Cathedral, after the arrival from Constantinople.

"The Deed of Recognition of the Georgian Holy Church Autocephaly" and "Patriarchal and Synodal Decision of Recognition of the Patriarchal Dignity", given to the Head of Georgian Church, His Holiness and Beatitude ILIA II, in Constantinople on the Feast of Orthodoxy, by His All Holiness Dimitrios I, are published in the journal.

The greeting speeches of His All Holiness Dimitrios I and His Holiness and Beatitude ILIA II, delivered at the above mentioned Feast, are printed here. The journal also presents the interview given by His All Holiness Dimitrios I to the USSR News Agency.

The article by professor Nodar Lomouri is dedicated to the history of Autocephaly of the Georgian Church. The recognition of the Autocephaly of the Georgian Church, based on georgian and foreign sources and numerous scientific literature, is believed to date from the 5th century.

The letters from the heads of different Orthodox Churches to Catholicos-Patriarch ILIA II, concerning the status of the Georgian Church and its place in the Diptych of the Orthodox Churches are published in the journal.

The article "And You Will Know the Truth and the Truth Will Make You Free". /John 8:32/ covers all the important events and facts which have taken place in the life of the Georgian Church for the past ten years concerning the recognition of Autocephaly of the Georgian Church and Patriarchal Dignity. The Feast of Orthodoxy in Constantinople and impressions of the Georgian Church delegation is described here, as well.

At the beginning of XX century the georgian clergy categorically brought attention of the Russian Holy Synod to the question of the reestablishment Autocephaly of the Georgian Church. In connection with this two meetings were held in Petersburg. Two articles, by Patriarch Cyrion II describing course of these sessions, are published here.

The epistle of Patriarch Leonid to the Patriarch of All Russia Tykhon, reprinted from the journal "Sakartvelo", (It was published in France, in 1935) is also published in the journal.

This document is interesting for the history of the recognition of the Georgian Church Autocephaly. By that time, more than a century had passed since the Georgian church took its first steps on the way of independence.

Finally, the journal acquaints the reader with some telegrams of congratulation concerning the recognition of the Autocephaly of the Georgian Church.

---

## ДЖВАРИ ВАЗИСА

/Крест из лозы виноградной/

№ 3, 1990

Настоящий номер "Джвари вазиса" посвящен одному из важнейших событий в жизни Грузинской Церкви и грузинского народа: признанию Вселенским Патриархатом автокефалии Грузинской Церкви и патриаршего титула ее предстоятеля.

Журнал открывается приветственным словом его Святейшества и Блаженства Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II, произнесенным в Сионском Кафедральном Соборе на молебне, посвященном этому факту, сразу же после прибытия из Константинополя.

Публикуется "Грамота о признании и утверждении автокефалии Грузинской Святой Православной Церкви" и "Патриаршее и синодальное распоряжение о признании патриаршего титула главы Святой Грузинской Церкви", которые были переданы главе Грузинской Церкви Святейшему и Блаженнейшему Илие II в Константинополе на Торжестве Православия Всесвятейшим Димитриосом I.

Здесь же печатаются приветственные речи Его Всесвятейшества Димитриоса I и его Святейшества и Блаженства Илии II, с которыми они обратились друг к другу на упомянутом торжестве. Публикуется также интервью его Всесвятейшества Димитриоса I, данное им корреспондентам АПН.

Статья профессора Нодара Ломоури посвящается истории автокефалии Грузинской Церкви. Как свидетельствует анализ грузинских и иностранных источников, а также многочисленной научной литературы, провозглашение автокефалии Грузинской Церкви произошло в V веке.

Публикуются письма глав различных Православных Церквей Католикосу-Патриарху Илие II, в которых выражено отношение их и их Церквей к статусу Грузинской Церкви и ее месту в Диптихе Православных Церквей.

О событиях последних десяти лет, касающихся признания Вселенской Патриархией автокефалии Грузинской Церкви и патриаршего титула ее предстоятеля, повествует статья Тамары Месхи "Познайте истину, и истина сделает вас свободным". В этой же статье переданы впечатления от поездки делегации Грузинской Церкви в Константинополь и описан праздник Всеpravославия.

В начале XX века грузинское духовенство категорически поставило перед Святейшим синодом России вопрос о восстановлении автокефалии Грузинской Церкви. В связи с этим в 1906 году в Петербурге были проведены два заседания. Публикуем две статьи Патриарха Кириона II, в которых описан ход этих заседаний.

Публикуется также послание /1919/ Патриарха Леониды к Патриарху Московскому и всея Руси Тихону, перепечатанное из изданного в 1932г. в Париже журнала "Сакартвело". Этот документ интересен для восстановления истории Автокефалии Грузинской Церкви.

И наконец, печатаются поздравительные телеграммы, пришедшие в Грузинскую Патриархию в связи с признанием автокефалии.

---

## შინაარსი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II სიტყვა, წარმოთქმული სიონის ტაძარში 1990 წლის 13 მარტს . . . . .	.3
საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი . . . . .	.7
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სიტყვა წარმოთქმული მსოფლიო საპატრიარქოში წირვის შემდგომ დიმიტრიოს I მისასალმებელი სიტყვა მისი უნეტარესობის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-სადმი . . . . .	.11
ანტიოქიური ქრონოგრაფი . . . . .	.12
მაკარიოსი . . . . .	.12
საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ზოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება. მისი ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის ბატონ დიმიტრიოსის მისასალმებელი სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სიგელისა და საპატრიარქო ტიტულის განჩინებაზე ხელმოწერისას . . . . .	.14
მისი ყოვლადუწმიდესობის, მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოს I ინტერვიუ აას-ის კორესპონდენტებთან . . . . .	.15
თეოდორე ბალსამონი. მიხეილ ბრეკი . . . . .	.16
მათე ბლასტარესი . . . . .	.17
სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ . . . . .	.18
სტამბოლი, მართლმადიდებლობის დღესასწაული მსოფლიო საპატრიარქოში . . . . .	.21
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის . . . . .	.25
საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის პატრიარქის წოდების დამადასტურებელი წყაროები . . . . .	.25
გამობმარეზანი . . . . .	.29
ეპისკოპოსი მოსიძე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის . . . . .	.36
საქართველოს ეკლესიის მეთაური . . . . .	.41
ნოდარ ლომოური. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია . . . . .	.45
საქართველოს ეკლესიას ულოცავენ . . . . .	.53
ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), წმიდაო მამაო . . . . .	.56
1906. 28/I. მეორე კრება. . . . .	.61
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი ტიხონის მიმართ . . . . .	.64
რეზიუმე ინგლისურ ენაზე . . . . .	.77
რეზიუმე რუსულ ენაზე . . . . .	.78

გარეკანზე

- I გვ-ზე - **წმიდა ნინო**  
მით მღვდმე, მე-17 ს. II ნახ.
- IV გვ-ზე - **ლაზარეს აღდგინება**  
მე-12 ს. მინახარი

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე  
ეპისკოპოსი ზოსიმე (შიომელი)

რედაქტორი  
დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი

**Джвари вазиса**  
(Крест из лозы виноградной)  
№ 3 (31), 1990 г.  
Грузинская патриархия  
Тбилиси, пл. Ираклия № 1

**DJVARI VAZISA (THE CROSS OF VINE)**  
№ 3 (31), 1990  
Georgian Patriarchate  
Tbilisi 1, Erekle's square

რედაქციის მისამართი  
სრულიად საქართველოს საპატრიარქო  
თბილისი, ერეკლეს მოედანი, № 1

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.05.1990 წ. ტირაჟი 10000

